ვახტანგ გოილაძე

მირიანი და ვახტანგ გორგასალი ქართულ ისტორიოგრაფიაში

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ნიგნში განხილული საკითხები, ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, ავტორმა 1982 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში" (ისტორიის.... სერია №4) და 1983 წელს „მნათობში" (№11) გამოქვეყნებული გამოკვლევებით გააცნო. პირველ გამოკვლევაში უარყოფილია „მეფეთა ცხოვრებაში" ლეონტი მროველის ჩანასწორები მირიან მეფის ირანელი უფლისწულობის შესახებ, მეორეში დადგენილია ვახტანგ გორგასლის ზეობის წლები. შემდეგში ეს საკითხები აისახა 1990/91 წლებში გამოცემულ მონოგრაფიებში.

ამჯერად, ავტორი მკითხველს კვლავ აცნობს, რამ შეუწყო ხელი ლეონტი მროველს მირიან მეფის ირანელ უფლისწულად მისაჩნევად, მოაქვს ის მასალა, რომელზე დაყრდნობითაც დადგინდა ვახტანგ მეფის ზეობის წლები და აუცილებლად მიიჩნევს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხულ, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ამ ორ დიდ წარმომადგებელს: მირიან მეფეს ჩამოცილდეს ირანელ უფლისწულობაზე მინიშნება, ხოლო ვახტანგ გორგასლის ზეობის ახალი დათარიღება აისახოს საქართველოს ისტორიის სალექციო კურსებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში.

რედაქტორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

თსუ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი, პროფესორი გიორგი ჭეიშვილი

წიგნი იბეჭდება მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტის, პროფესორ ანანია ჯაფარიძის, ღოცვა-კურთხევით.

ვახტანგ გორგასლის სურათის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი
მირიანის გამოსახულება იხ.
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Mirian_III.jpg?uselang=ka&fbclid=IwAR2l2TvqZ_pLUbB6jP7q9r-EHGXb_QKET4_aYLZOsdTlfH_0lsfFDD8v_eM .

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გოილაძე

© ვ. გოილაძე, 2022

ISBN 978-9941-36-010-7

წინათქმა

მირიანი და ვახტანგ გორგასალი ქართულ ისტორიოგრაფიაში

XVIII ს-ის შუა ხანიდან (ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 1745 წელს დაასრულა) კარგა ხანს, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული ხანის ქართლის მეფეთა რიგი და ქრონოლოგია ქართული ისტორიოგრაფიისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, ქართული ჰაწერლობის „უებრო ბუმბერაზმა“, „გონებამახვილმა და ღრმად მოაზროვნე დიდებულმა ისტორიკოსმა“ ვახუშტი ბატონიშვილმა (გარდ. 1757 წ.) დიდი შრომა გასწია, რათა „ქართლის ცხოვრების“ თარიღები „სწორ-რიცხული და რიგიანი“ ყოფილიყო[1]. ვახუშტიმ ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ყველა მეფის ზეობის თარიღი მიუთითა. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის შთამომავალთა ქრონოლოგიის გამართვისას, მან პირველად გაითვალისწინა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის – ჯუანშერის მითითება: „მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე“, რომ „გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი“. გასული იყო „წელიწადი ას ორმოცდაჩჯდმეტი“[2]. ვახუშტიმ მირიანის ზეობის ხანა 265-342, ხოლო ვახტანგ გორგასლისა 446-499 წლებით განსაზღვრა[3].

XX ს-ის დამდეგამდე ქართულ მეცნიერებაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად მიჩნეული იყო ვა-

---

[1] ჯავახიშვილი ივ., ბატონიშვილი ვახუშტი, წიგნში *ისტორიის მიზანი, წყაროები*....., წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 330, 334.

[2] იქვე, გვ. 330.

[3] ამ საკითხზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, გვ. 90-91.

ხუშტი ბატონიშვილის მიერ მითითებული 499 წელი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ, რიჰარდ რაააბემ, 1895 წელს პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ გერმანული თარგმანი გამოსცა (1896 წელს აკად. ნ. მარმა პეტრე იბერის ასურული და ქართული „ცხოვრებების“ ცნობები გააანალიზა[4]), აღმოჩნდა: პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი კი არა, „დიდი ბაკური“ იყო დასახელებული. იმ დროიდან საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული ქართველი ისტორიკოსების წინაშე დაისვა კითხვა: ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის საკითხში რომელი წყაროსათვის უნდა დაეჯერებინათ, ასურულისათვის თუ ფარნავაზ მეფიდან „ჟამითი-ჟამად“ ნაწერი „მეფეთა ცხოვრებისათვის“.

პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ გამოქვეყნების დროისათვის რუს შოვინისტ ისტორიკოსებს იმდენი უარყოფითი ჰქონდათ ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეების – „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ შესახებ[5], რომ სწორედ იმ დროს ისტორიის ასპარეზზე გამოსულმა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ძველ ქართულ წყაროთა მიმართ ჰიპერკრიტიკული მიდგომა მოითხოვა. მან „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად XI ს-ში მოღვაწე ლეონტი მროველი, ხოლო ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებისა“, ასევე, XI ს-ში არარსებული ვინმე ჯუანშერი გამოაცხადა[6]. მისივე მტკიცებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე „უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებია“[7] და ის ლეონტის „უმთავრესი წყარო“ იყო“[8].

---

[4] Житие Петра Ивера Царевича-подвижника и епископа Майумского V века. Грузинский подлинник издал, перевел и предисловием снабдил Н. Марр. ППС. т. XVI, вып. Второй. СПБ., 1986.

[5] ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991, თავი I.

[6] ჯავახიშვილი ივ., ლეონტი მროველი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 176-188; მისივე, ჯუანშერი, იქვე, გვ. 189-194.

[7] ჯავახიშვილი ივ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 112.

[8] იქვე, გვ. 187.

თავისთავად ცხადია, XI ს-ში შედგენილ „მატიანეებში“ IV-V ს-ების ისტორია არარეალურად იქნებოდა გადმოცემული. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ ზღაპრული ხასიათის თხზულებად იქნა გამოცხადებული. ამის შესახებ თვით ბ. ივანე წერდა: ჯუანშერის თხზულება „ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარსა და სანდო საბუთს“[9]. ასეთი შეფასებიდან გამომდინარე, ბ. ივანე ძველი ქართული წყაროს მონაცემებს, თუ ის უცხოენოვანი წყაროს ცნობით არ იქნებოდა დადასტურებული, არ ენობოდა. შედეგმაც არ დააყოვნა – ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მან რუსი მკვლევრის ვ. ბოლოტოვის კვალდაკვალ დიდი ბაკური მიიჩნია[10]. მირიანის შთამომავალ მეფეებად კი პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებასა“ და IV ს-ის რომაელი ავტორის ამიანუს მარცელინუსის თხზულებაში მოხსენიებული პირები, რის შემდეგაც ვახუშტი ბატონიშვილისაგან სრულიად განსხვავებული მეფეთა რიგი და ქრონოლოგია შეიგვთავაზა[11], ვახტანგ გორგასლის გარდაცვალება 502 წლის შემოდგომით განსაზღვრა[12].

მირიან მეფის შთამომავალ მეფეთა რიგის „დადგენის“ და მათი ზეობის წლების განსაზღვრის ცდა, რა თქმა უნდა, ბ. ივანეს მომდევნო თაობის მკვლევრებსაც ჰქონდათ (ეს პროცესი რადგან დეტალურად მაქვს გაანალიზებული ფარნავაზი-

---

[9] ჯავახიშვილი ივ., ჯუანშერი, გვ. 192, ბ. ივანე იმავე აზრისა იყო „მეფეთა ცხოვრებაზე“. იგი წერდა: „მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“, ამ თხზულების „მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის ახლა თითქმის სრულებით გამოუდეგარია“; იხ. მისი, ლეონტი მროველი, გვ. 185, 188.

[10] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 273; ასეთი თვალსაზრისი ს. გორგაძემ იმთავითვე არ გაიზიარა. იხ. მისი, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, თხზულებანი, ტ. I, ზაზა აბაშიძის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 2018 (ესაა 1905 წლის გამოცემის გამეორება).

[11] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 262; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზ., ტ. VI., თბ., 1982, გვ. 157-164; გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის..., გვ. 29.

[12] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I. გვ. 329.

ანთა სახლის ქრისტიან მეფეებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში[13], აქ ამ საკითხზე თხრობას აღარ გავაგრძელებ), მაგრამ ძველი ქართული წყაროებისადმი უნდობლობის გამო, ამ მხრივ, არსებითი გარდატეხა არ მოხდა.

ზემომოთხრობილის ფონზე გასულ საუკუნეში მნიშვნელოვანი იყო 1955 წელს „ქართლის ცხოვრების" პირველი ტომის გამოცემისას აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეულ (XV ს.) ნუსხაზე დაყრდნობით, მირიან მეფის შთამომავალ მეფეთა 15-წევრიანი რიგის აღდგენა[14]. როგორც გაირკვა, ასეთივე რიგია წარმოდგენილი XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში, რაც ჩემ მიერ იმის დასტურად იქნა მიჩნეული, მეფეთა ეს რიგი IV-V ს-ებიდან რომ მომდინარეობს[15].

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში არსებული ასეთი მონაცემების მიუხედავად, ზოგი თანამედროვე მკვლევარი უყურადღებოდ ტოვებს მათ, ცდილობს, რაღაც ახალი შემოგვთავაზოს. წინამდებარე ნაშრომში, რა თქმა უნდა, ამ საკითხზეც მაქვს საუბარი, მაგრამ მთავარი თემა თანამედროვე მკვლევართა მიერ კარგა ხნის წინათ გადაჭრილ საკითხს – ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის კვლავ ირანელ უფლისწულად გამოცხადების უარყოფას ეხება. მკითხველს ვუხსნი, ვახტანგ გორგასლის ზეობის ჩემეული ახალი დათარიღება რა მასალებზე დაყრდნობით შევძელი და რატომ დარჩა ის უყურადღებოდ. IV-V ს-ების ქართლის სამეფოს ისტორიის სწორად გადმოსაცემად აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ 369-439 წლებში ფარნავაზიანთა სამეფო სახლში ორი დაპირისპირებული – ბაქარიანთა და რევიანთა შტოები რომ არსებობდა[16]. აღნიშნული და ჩემ მიერ გადაწყვეტილი არაერთი

---

[13] გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი., გვ. 30-41.

[14] იქვე. გვ. 48-51.

[15] აღნიშნულს მოწმობს ის, რომ როგორც „ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეულ ნუსხაში, ისე ჯუანშერის თხრობაში ვახტანგი მირიანიდან მეათე მეფედაა ათვლილი (ამ რიგის შესახებ იხ. ქვემოთ).

[16] ჩვენს მეცნიერებაში ძველი ქართული წყაროების მიმართ დიდი უნდობლობა რომ არ ყოფილიყო (იხ. ჩემი, ვახტანგ გორგასალი და

სხვა საკითხი გასულ საუკუნეში ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან მიკვლევად მიმაჩნია. ყველა ამ და სხვა საკითხებზე ვრცლად მაქვს მოთხრობილი გამოსაცემად გამზადებულ ვრცელ მონოგრაფიაში „ქართლი სასანიანთა ხანაში“. ეს მონოგრაფია თითქმის 50-წლიანი კვლევის შედეგადაა შექმნილი. მასში გავაერთიანე როგორც საკანდიდატო (დავიცავი 1980 წლის 29 იანვარს), ისე სადოქტორო დისერტაციის (დავიცავი 1998 წლის 22 სექტემბერს) ტექსტები. მონოგრაფიაში შესული ცალკეული თავები დღემდე ახალგამოსული სამეცნიერო ლიტერატურით მდიდრდება. რადგან დღეს ამ ვრცელი მონოგრაფიის გამოცემის პერსპექტივას, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, გადავწყვიტე, საკითხით დაინტერესებულ ქართულ საზოგადოებას, წიგნის შესავლის ნაწილთან ერთად, ქართლის ორი გამოჩენილი მეფის – მირიანისა და ვახტანგ გორგასლის – შესახებ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული პრობლემები გავაცნო. განვაცხადო იმ სიახლეების შესახებ, რომელსაც მე მივაღწიე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული ამ ორი მეფის ღვაწლის, წარმომავლობისა და ზეობის წლების შესახებ. ნინამდებარე მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ იმედი მაქვს, სა-

---

მისი ისტორიკოსი, გვ. 21-25), ქვემოთ დასახელებულ წყაროებში არსებული მითითებები განა საკმაო საფუძველს არ იძლეოდა, ფარნავაზიანთა სამეფო სახლში ბაქარიანთა და რევიანთა შტოების არსებობაზე მიეთითებინათ? ესენია: I. ვახტანგ გორგასლის სიტყვები: სარწმუნოება „რომელნი დანერგნა მამამან ჩუენმან მირიან, გინა თრდატ, დედით ნათესავმან ჩემმან“ (ქ. ცხ. I, გვ. 169), II. მირდატ ვარაზ-ბაქარის ძე რომ იყო „მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი, ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი“ (ქ. ცხ. I, გვ. 138); III. მირიან მეფიდან ვახტანგამდე გასულ 157 წელში რომ ათი მეფე და რვა ნათესავი მეფობდა (იხ. ზემოთ); IV. ვახტანგის თანამედროვე მირიანი (რომელსაც სამეფო ტახტი უნდა დაეკავებინა, ლაშქრობიდან ვახტანგი ცოცხალი თუ ვერ დაბრუნდებოდა), რომ „ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად“ (ქ.ცხ.I, გვ. 151); V. ასევე, მირიანი რომ იყო „მამა“ და „მამის მამა“ ვახტანგ მეფისა (ქ. ცხ. I. გვ. 163). რვა ნათესავ მეფეში სწორედ რევიანები იგულისხმებიან. რევიანი უფლისწული იყო საზღვარგარეთ – პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერი. ძველი ქართული წყაროების ცნობებისადმი უნდობლობის გამო ეს უნიკალური მითითებები ჰიპერკრიტიციზმის მიმდევრებისათვის არაფრის მთქმელი იყო.

ქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული ქართული საზოგადოება გამიგებს, ათასწლოვანი ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის ორ დიდ მეფეს რატომ უნდა ჩამოვაშოროთ ყველა ის „ლაქა“ (მაგ. მირიანის ირანელი უფლისწულობა, ვახტანგ გორგასალს – ხოსროიანობა და ა.შ.), რაც დროთა განმავლობაში მათ ბიოგრაფიებში გაჩნდა.

რაც შეეხება ვახტანგ მეფის ქრისტიან წინაპართა და შთამომავალ მეფეთა 15 პირის რიგის აღიარებას, ამ მხრივ, თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების ზოგ წარმომადგენელს ვურჩევ, მეტი ყურადღებით მოეკიდოს ძველ ქართულ წყაროთა ცნობებს. ქვეყანას არც ერთი მეფე და მისი ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთ.

* * *

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც სხვა პრობლემებთან ერთად ადრეფეოდალური ხანის ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს ვიკვლევ. ჯერ კიდევ 1980 წლის დამდეგისათვის მზად მქონდა ნაშრომი „ქართლის პოლიტიკური განვითარება VI ს-ის დასაწყისიდან VII ს. 30-იანი წლების ბოლომდე“ (საკანდიდატო დისერტაციის ტექსტი). ის იყო, ამ ნაშრომის გამოქვეყნებაზე უნდა მეზრუნა, რომ ანონიმი სირიელი ჰაგიოგრაფის თხზულების„ფირან გუშნასპის მარტვილობის“ ტექსტში[17] მივაკვლიე ცნობას 491 წლის [გაზაფხულზე] ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ირანელებთან მომხდარი ბრძოლის შესახებ. ეს ის ბრძოლა აღმოჩნდა, რომელსაც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერი

[17] ამ ჰაგიოგრაფიული თხზულების შინაარსი აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1935 წელს „ძველი სომხური საისტორიო მწერლობისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაში გააანალიზა, მაგრამ 491 წლის გაზაფხულზე ირანელთა ქართლში ლაშქრობის შესახებ მასში არსებული ცნობისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ჰაგიოგრაფიული ძეგლის ჩემი თარგმანის გამოქვეყნებამდე (იხ. გოილაძე ვ., „ფირან გუშნასპის მარტვილობის“ ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1988, №2) ქართული ისტორიოგრაფიისათვის, „მარტვილობის“ სრული ქართული ტექსტი უცნობი იყო.

„იორსა ზედა ბრძოლად“ იხსენიებს და რომელ ბრძოლაშიც ვახტანგ მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა[18].

აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, პირველი გამოკვლევა 1983 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№11) გამოვაქვეყნე. ჰაგიოგრაფიულ ძეგლში არსებული ცნობით, „იმ მხარეში გურზანისა და არანისათვის (ე.ი. ქართლისა და ალბანეთის – ვ.გ.) მიმდინარე ომის დასრულების (ზავის დადების) მეორმოცე წელს ავიდა ხოსრო მეფე ტახტზე“[19]. „ხოსრო მეფე“ ირანის შაჰი ხოსრო I-ია. იგი 531 წელს გამეფდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ომი (591-40) 491 წელს დამთავრებულა. ჯუანშერის ცნობით, გარდაცვალებისას ვახტანგ მეფე რადგან 60 წლისა იყო, მისი გარდაცვალება 491, ხოლო დაბადება 431 წელზე მოვა. თავის მხრივ, რადგან ჯუანშერი ქართლში მიმდინარე ამბებს ვახტანგის დაბადების წლიდან აითვლის, ქართლის პოლიტიკური ისტორიის არაერთი მოვლენა ზუსტად დათარიღდა.

ძეგლის ავტორის ცნობით, რადგან ფირან გუშნასპი ქართლ-ალბანეთის მარზპანი იყო, „მარტვილობაში“ მიკვლეულმა ცნობამ, ფაქტობრივად, ახალი შინაარსი შესძინა ჯუანშერის თხზულებას. გარდა იმისა, რომ ვახტანგ გორგასლის ზეობის ზუსტი თარიღები დადგინდა, გაირკვა მისი ოჯახური ქრონოლოგიის მრავალი საკითხი, ახლებურად წარმოდგა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და V ს-ის II ნახევრის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორია. უფრო მეტიც, სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლისა და ძველ ქართულ წყაროთა მონაცემთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის და მის შთამომავლთა ზეობის წელთა შედარებით ზუსტი განსაზღვრა. დაზუსტდა და გა-

---

[18] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 204.

[19] გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 98-99. ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში დეტალურად მაქვს წარმოდგენილი ის შეხედულებები, რომლებიც ვახტანგ გორგასლის ზეობის თარიღებისა და მისი „ცხოვრების“ ავტორის – ჯუანშერის მოღვაწეობის დროის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებობდა. იხ. თავი II-IV.

ირკვა არაერთი სხვა საკითხიც, რაც საბოლოოდ აისახა ჩემს მონოგრაფიებში: „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“ (თბ., 1990), „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“ (თბ., 1991); ცალკე მონოგრაფიაში – „ქართული ეკლესიის სათავეებთან“[20] (თბ., 1991) – გაერთიანდა ის საკითხები, რომლებიც ქართველთა მოქცევასა და ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას ეხებოდა.

დასახელებულ მონოგრაფიებში გაცხადებული მეცნიერული სიახლეების გათვალისწინებით, 1992 წლისათვის უკვე მზად მქონდა სადოქტორო დისერტაციის ტექსტი – „ქართლის სამეფო III ს-ის 50-იან წლებიდან VI ს-ის 30-იანი წლების დასასრულამდე“ (ურთიერთობა სასანიანთა ირანთან და რომი-ბიზანტიასთან), რომლის დაცვა, იმხანად არსებული რთული ვითარების გამო, მხოლოდ 1998 წელს მოვახერხე.

სადოქტორო დისერტაციის ტექსტი, იმ დროისათვის არსებულ სამეცნიერო სიახლეებზე დაყრდნობით, ძირითადად, 1991/1998 წლებში იყო შესრულებული. 1998 წლიდან დღემდე III-VII საუკუნეების ქართლის ისტორიის შესახებ სხვადასხვა ავტორის არაერთი საჟურნალო გამოკვლევა და მონოგრაფია გამოქვეყნდა. რადგან სასანიანთა ხანის ქართლის ისტორიის სრულად გადმოსაცემად მათი გათვალისწინება აუცილებელი იყო, ჩემი ნაშრომის – „ქართლი სასანიანთა ხანაში“ – ზოგიერთი თავი გარკვეულწილად გადავამუშავე, მონოგრაფიის მოცულობაც შედარებით გაიზარდა. ამდენად, ვფიქრობ, ასეთი ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შესრულდა და მისი გამოცემა უახლოეს მომავალში მეტად საჭირო და მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია.

---

[20] სამივე მონოგრაფიის საერთო ტირაჟი 17 300 არის. საყურადღებოა ისიც, რომ „ქართული ეკლსიის სათავეებთან“ პირველი წიგნი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოიცა. მანამდე ასეთი სათაურით ეკლესიის ისტორიაზე წიგნის გამოცემა შეუძლებელი იყო.

თავი I. საკვლევი ხანის ქართლის სამეფოს პოლიტიკური განვითარების ეტაპები

გამოსაცემ მონოგრაფიაში ქართლის პოლიტიკური ისტორია ახ. წ. III ს-ის დამდეგიდან VIIს–ის 30-იანი წლების დასასრულამდე ირანი-ბიზანტიის მეტოქეობის ფონზეა გადმოცემული. ამ დროის მანძილზე ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების რამდენიმე ეტაპი გამოიკვეთა. სასანიანთა სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ახ. წ. 224/226 წ.), ისე, როგორც ამიერკავკასიის სხვა ქვეყნები, ქართლის სამეფოც პირველივე სასანიანი შაჰების ყურადღების ცენტრში მოექცა[21], რამაც ქართლისა და რომის მანამდე არსებულ ურთიერთობაში კორექტივი შეიტანა. იმდროიდან რომაელ ხელისუფალთ ქართლის სამეფოს მესვეურებთან მეგობრული ურთიერთობა აღარ აწყობდათ. მათ ყოველი ღონე უნდა ეხმარათ, რათა ქართლში სასანიანთა გაბატონება არ დაეშვათ. ასეთ პირობებში ქართლის მეფეები კარგად იყენებდნენ ირანსა და რომს შორის არსებულ წინააღმდეგობებს, რაც მათ მეტნაკლებად დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალებას აძლევდა. ასეთმა თავისუფლებამ განაპირობა რწმენის საკითხში მეფე მირიანის არჩევანი – დაახლ. 318 წელს მან ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რაც უკვე ქვეყნის რომაულ-დასავლურ ორიენტაციას ნიშნავდა. ქართლის ხელისუფალთა ასეთ ორიენტაციას, სასანიანთა მხრივ, დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა.369 წელს ირანმა და რომმა ქართლის სამეფო გავლენის სფეროებად გაიყვეს. ასე დასრულდა ქართლის პოლიტიკური განვითარების პირველი ეტაპი.

---

[21] ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა პირველი სასანიანი შაჰის არდაშირ I-ის ძემ -შაბურ I-მა (241-272) დაიწყო.

ქართლის პოლიტიკური განვითარების მეორე ეტაპი 369 წლიდან დაიწყო, როცა ფარნავაზიანთა სამეფო სახლი ორ შტოდ გაიყო. ირანის გავლენაში მოქცეულ ქართლში მირიან მეფის უმცროსი ძის – ბაქარის (ბაკურის) შთამომავლებმა – ბაქარიანებმა გააგრძელეს მეფობა, ხოლო რომის (შემდეგში ბიზანტიის) გავლენაში მოქცეულ ქართლს 369 წლიდან მირიან მეფის უფროსი ძის – რევის – შთამომავლები (რევიანები) განაგებდნენ. ასე გაგრძელდა V ს-ის 40-იან წლების შუახანებამდე, როცა ვახტანგ გორგასლის ზეობაში ქართლის სამეფოს მთლიანობა აღდგა. ქვეყნის გაერთიანებით ქართლის სამეფოს პოლიტიკური განვითარების მეორე ეტაპი დასრულდა.

ქართლის პოლიტიკური განვითარების მეორე ეტაპის დასწყისს დაემთხვა IV ს-ის 70-იანი წლებში მდ. ვოლგის დასავლეთით ჰუნთა გაერთიანების გადმოსვლა, რამაც, თავის მხრივ, მდ. ვოლგასა და მდ. დუნაის შორის მომთაბარე სარმატული გაერთიანებების ბედიც შეცვალა, რაც მთავარია, მდ. ვოლგის დასავლეთით ჰუნთა გადმოსვლას მოჰყვა მდ. დონსა და ვოლგას შორის მომთაბარე სირაქებისა და აორსების სარმატულ გაერთიანებათა იმ ნაწილების, რომლებიც ჰუნებმა დასავლეთში ვერ გაიყოლეს, ჩრდ. კავკასიის ველებისაკენ გადმონაცვლება. მდ. დონის დასავლეთით ჰუნთა შემოსვლამდე გადასული სარმატული გაერთიანებები და ადგილობრივი ხალხები ჰუნებს დამორჩილდნენ, რის შემდეგაც ტერიტორია მდ. ვოლგიდან და ჩრდილო კავკასიიდან მოკიდებული მდ. დუნაიმდე ჰუნთა იმპერიის ხელქვეით მოექცა.

ასეთ პირობებში ირანისა და ბიზანტიის მბრძანებლები განსაკუთრებულ ინტერესს ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი ზეკარებისადმი (დარუბანდი, დარიალი და სხვა) იჩენდნენ. თითოეული ცდილობდა, ზეკარებზე თავისი კონტროლი დაემყარებინა. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, აღნიშნული გარემოებაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ იმპერიების საგარეო პოლიტიკაში გარკვეული ადგილი ქართლსაც ეჭირა. უფრო მეტიც, სასანიანებმა ზეკარების დასაცავად ამიერკავკასიის ქვეყნებში მმართველობის განსაკუთრებული სისტემა შექმნეს.

IV ს-ის 70-იანი წლებიდან სარმატული გაერთიანებების (ოსთა წინაპრების) ჩრდილო კავკასიის ველებისაკენ გადმონაცვლებას თითქოს სასიკეთო გავლენა უნდა მოეხდინა ქართლის სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გამყარების საქმეში (ასეთი გამოცდილება ქართლის სამეფოს მესვეურებს ჰქონდათ[22]), მაგრამ, გარდა იმისა, რომ ზეკარებზე სასანიანთა კონტროლი დამყარდა[23], ქართლის მოსახლეობას ზეკარების დაცვის გარდა, ზოგჯერ თვით ოსთა წინაპრების თავდასხმების მოგერიებაც უხდებოდა[24]. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ირანი კავკასიის ზეკარების დაცვას ვალდებულობდა, სამაგიეროდ, ბიზიანტიას მისთვის ყოველწლიურად სათანადო ფულადი საზღაური უნდა გადაეხადა. ბიზანტია ამ ვალდებულებას ყოველთვის ვერ ასრულებდა, რის გამოც მათ შორის საქმე ომამდე მიდიოდა. V ს-ის შუა ხანებიდან მთელი ქართლი სასანიანთა ხელქვევით მოექცა. ქვეყანაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, ჯერ კიდევ V ს-ის დამდეგს სასანიანებმა პიტიახშის სახელო გააუქმეს, ქართლი და ალბანეთი ალბანეთის ქალაქ ბარდაში მჯდომ მარზპანს დაუქვემდებარეს. ამ ხანებში ირანელთა რელიგიური პოლიტიკაც გამკაცრდა. ქართლის „წურილი ერიდან" მრავალმა ცეცხლმსახურება აღიარა. ასეთ ვითარებაში ვახტანგ მეფემ კურსი ბიზანტიისაკენ აიღო, გაატარა რეფორმები, ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, აჯანყდა ირანის წინააღმდეგ. VI ს-ის დამდეგს ქართლის პოლიტიკური განვითარების მესამე ეტაპი დასრულდა. ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა მმარ-

---

[22] გოილაძე ვ., ვინ იყვნენ ახ. წ. 35 წელს პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ჩრდილოელი მოკავშირეები? ჟურნალი „ქართველოლოგია", 2015, №5; მისივე, ოსთა წინაპრები ძვ. წ. VII - ახ. წ. XV საუკუნეებში, თბ., 2018, თავი IV, §1.

[23] V ს-ის შუა ხანებიდან რამდენიმე ათეული წელი დარიალის კარს ჰუნი ამბაზუკი აკონტროლებდა. იხ. გოილაძე ვ., ოსთა წინაპრები, თავი VI, §3; მისივე, 482-484 წლების ანტიირანული აჯანყება ქართლში. ამბაზუკის ჰუნები, სმა „მაცნე" ისტორიის...სერია, 2018 №2.

[24] გოილაძე ვ., ოსთა წინაპრები, თავი VI და XI.

თველობა მეფობის გაუქმებამდე ქართლის სამეფოს პოლიტიკური განვითარების ცალკე, მეოთხე ეტაპია, ხოლო ქართლის პოლიტიკური განვითარების ახალ-მეხუთე ეტაპად უნდა განვიხილოთ უმეფობისა და ერისმთავართა მმართველობის ხანა არაბთა გამოჩენამდე (642/43 წელი), როცა ბიზანტიის იმპერიამ აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკა გააქტიურა და 628 წელს ქართლიდან სასანინათა განდევნა შეძლო.

თავი II. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი ძველ წყაროებში. გურგენის ვინაობისა და მეფობის პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ზემოთ უკვე ვისაუბრე, როგორ დადგინდა მირიან მეფის შთამომავალ მეფეთა ზეობის წლები, მაგრამ აქვე ისმის კითხვა – რამდენად რეალურია ძველ ქართულ წყაროებში შემონახული მეფეთა რიგი და ვინ იყო წარმომავლობით მირიან მეფე – ქართველი უფლისწული თუ ირანის შაჰის ძე, როგორც ამას პროფ. მ. სანაძე და პროფ. მ. ჩხარტიშვილი და სხვანი ამტკიცებენ?

ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა რიგის რეალურობის შესახებ 1990 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში[25] ვისაუბრე და არ მეგონა, მის დასაცავად კიდევ თუ დამჭირდებოდა მსჯელობა. რადგან მეფეთა რიგის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეფეოდალური ხანის ქართლის ისტორიის სრულად წარმოსაჩენად, ქვემოთ მასზე მოკლედ მოგახსენებთ. ამ გადაწყვეტილებისკენ მით უფრო მიბიძგა 1992 წლიდან ამ საკითხისადმი მიძღვნილმა სხვადასხვა ავტორის საჟურნალო წერილებმა, განსაკუთრებით კი, ამ ბოლო ხანს გამოსულმა მ. სანაძისა და მ. ჩხარტიშვილის მონოგრაფიებში[26] გაცხადებულმა მათმა მტკიცებებმა.

ძველ ქართულ წყაროებში არსებული მეფე მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგის საკითხით, როგორც ითქვა, აკად. ს. ყაუხჩიშვილი გასული საუკუნის 50-იანი წლებში „ქართლის

---

[25] მხედველობაში მაქვს „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“, რომელიც 1991 წელს საქ. მეცნიერებათა აკადემიაში-აკად. ს. ჯანაშიას პრემიაზე მქონდა წარდგენილი (16 -დან მივიღე 14 ხმა).

[26] სანაძე მ., ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია. თბ., 2016; ჩხარტიშვილი მ., საქართველო III-V საუკუნეებში, ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია, თბ., 2018.

ცხოვრების“ პირველი ტომის ტექსტის გამოცემისას დაინტერესდა. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ხელნაწერად (XV ს.) მიჩნეულ ანა დედოფლისეულ ნუსხას ქრისტიან მეფეთა ათვლაც ჰქონდა შემონახული. მას უცნაურად მოეჩვენა ის გარემოება, რომ ტექსტში, სადაც მეფე არჩილის გარდაცვალების შესახებ იყო საუბარი, უადგილოდ იყო „ჩაჩხერილი“ სიტყვა „ცხრასა“[27]. მას მოსდევდა ათვლა: „მოკუდა დაჩი თორმეტი წლისა“, „მოკუდა ბაკურ ცამეტისა წლისა“ და „მოკუდა ფარსმან თოთხმეტი წლისა“. ამ უცნაური მითითებების გასწორება XVIII ს-ში „სწავლულ კაცთა“ კომისიამ სცადა. მათ 9, 12, 13 და 14 ამ მეფეთა ზეობის წლებად მიიჩნიეს და ტექსტი ასე გამართეს: დაჩიმ იმეფა თორმეტი წელი, ბაკურმა 13, ფარსმანმა 14 და ასე შემდეგ. ამ მასალის გაცნობის შემდეგ ბ-მა სიმონმა დაასკვნა: „ამის შემდეგ აღარ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მეფეთა სათვალავი წერებულა, მაგრამ ისე დამახინჯებულად ყოფილა, რომ მეფეთა სათვალავი მეფობის წელთა რაოდენობად მიუჩნევიათ“, რის შემდეგაც მირიან მეფის შთამომავალ მეფეთა რიგი ასე წარმოადგინა:

1. მირიანი
2. ბაქარი
3. მირდატი
4. ვარაზ-ბაქარი
5. თრდატი
6. ფარსმანი
7. მირდატი
8. არჩილი
9. მირდატ V
10. ვახტანგ გორგასალი
11. დაჩი
12. ბაკური

---

[27] ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, წიგნში – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I., თბ., 1955, გვ. 026.

13. ფარსმან V

14. ფარსმან VI[28]

15. [ბაკური]

ბატონმა სიმონმა ასე გამართა მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგი, მაგრამ არ გაითვალისწინა ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში მეფე არჩილი რომ მეცხრე იყო, დაჩი მე–12, ბაკური მე–13, ფარსმანი მე-14 და ასე შემდეგ, ე. ი. მირიან მეფიდან არჩილამდე მეფეთა რიგის ათვლას ერთი ქრისტიანი მეფის სახელი აკლდა.

ამ მხრივ, ყურადღება მივაქციე ლეონტი მროველის იმ ცნობას, რომლის თანახმად, ხანში შესულმა მეფე მირიანმა თავისივე სიცოცხლეში უფროსი ძე რევი ტახტზე დასვა, მაგრამ რევი მირიანის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა[29].

---

[28] იქვე, გვ. 026-027, მირიან მეფის შთამომავალთა (ბაქარიანთა და რევიანთა არეული ათვლა არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშურ რედაქციასა (იხ. გოილაძე ვ., „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართების საკითხი. წიგნში - ქართლის მოქცევამ ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელ. გიუნაშვილისა; გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვ. გოილაძისა, თბ., 2009, გვ. 89-90), ასევე „ახალი კოლექციის Sin-48“-ში. იხ. მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბ., 2007, გვ. 16-18.

[29] ლეონტი მროველი, მოქცევა მირიან მეფისა.., .ქართლის ცხოვრება, I, გვ. 129, ჩემი ქრონოლოგიით, რევი 300 წელს იყო დაბადებული და 334 წელს 34 წლის ასაკში მისი ნაადრევი გარდაცვალება ყოველთვის აღძრავდა კითხვას, იგი ბავშობიდანვე ხომ არ ავადმყოფობდა და ნინოს „ცხოვრების“ მე-11 თავში მოთხრობილი ამბავი, ნინომ „რვა წლის სეფენული“ რომ განკურნა (მოქც. ქართ. შატბერდის კრებული, გვ. 345), ეს სეფენული რევ მირიანის ძე ხომ არ იყო? „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არის მითითება რევის 34 წლის ასაკში გარდაცვალების შესახებ (გვ. 129), ამიტომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში რევი ბაკურის მეფობაშიც რომ ცოცხლად იხსენიება (გვ. 324), რევიანული ტენდენციის რედაქტორის ნახელავი უნდა იყოს. „ქრონიკის“ რედაქტორის ამ ჩასწორებას პროფ. მ. ჩხარტიშვილი ასე ამართლებს: „რევი არ იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისაკენ მიდრეკილი ადამიანი“ და „სულის საცხონებელი საქმეებით“ იყო დაკავებული. იგი ისეთ „ ღრმად მორწმუნე“ პიროვნებად წარმოგიდგება, რომელიც უარს ამბობს სამეფო

აღნიშნულის გათვალისწინებით და ჩემ მიერ დადგენილი ქრონოლოგიით მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგმა, ზეობის წლებით, ასეთი სახე მიიღო:

1. მირიანი - 298-334
2. რევი ?-334
3. ბაკური - 334-დაახლ. 356
4. მირდატი - დაახლ. 356-368
5. ვარაზ-ბაკური - 368/9-383
6. თრდატი - 383-395
7. ფარსმანი - 395-397
8. მირდატი - 398-399
   უმეფობა– 400-402
9. არჩილი - 402-426
10. მირდატი - 426-438
11. ვახტანგ გორგასალი - 438-491
12. დაჩი - 491-505/6
13. ბაკური - 505/6-?
14. ფარსმანი - გარდ. დაახლ. 525
15. ფარსმან სხვაჲ - დაახლ. 525-დაახლ. 535
16. ბაკური - დაახლ. 535-დაახლ. 537

მეფეთა რიგში რევის ჩასმით, მართალია, ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში" არსებული ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი გაიმართა, მაგრამ, რადგან რევი მირიანის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა, როგორც ჩანს, ჯუანშერი მას არ აითვლიდა, რის გამოც მასთან ვახტანგი მირიანიდან მეათე მეფედაა ათვლილი (იხ. ქვემოთ). ასე რომ, V-VI ს-ების ქართლის ისტორიის გადმოცემისას უმჯობესია ბ. სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი რიგით ვისარგებლოთ.

ტახტზე, რათა მთელი სააქაო ცხოვრება გარდაცვალებისათვის სამზადისად აქციოს" (იხ. მისი, უფლისწული რევ მირიანის ძე. მის კრებულში – სახეები საქართველოს წარსულიდან, თბ., 2009, გვ. 53). „ქრონიკაში" რევის შესახებ არსებული ცნობები ასეთი მსჯელობის საფუძველს არ იძლევა.

რადგან „ქართლის ცხოვრების“ პირველ მატიანეებში ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა ისეთივე რიგია, როგორიც XII ს-ში შესრულებულ ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში, ცხადია, ეს რიგი XII ს-ის წინა ხანიდან მოდის. XII ს-ის წინა ხანიდან შემონახულ ზემომოტანილ მეფეთა რიგში, როგორც ვხედავთ, ვახტანგ გორგასლის შემდგომ მეფეთა შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლის მეფედ მიჩნეული გურგენი არაა. გურგენი ძველ ქართულ წყაროებში არ იხსენიება. მას ქართლის მეფედ VI ს-ის ბიზანტიელი ავტორი პროკოპიოს კესარიელი იხსენიებს. გურგენის ვინაობის საკითხზე ხანგრძლივი კამათის შემდეგ[30], 1913 წელს გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში აკად. ივ. ჯავახიშვილმა იგი ქართლის მეფედ აღიარა[31]. მან 523 წელს ირანელთა წინააღმდეგ მისი აჯანყება და ახლობლებთან ერთად ბიზანტიაში გაქცევა ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმებად მიიჩნია[32]. ამის შემდეგ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში თვალსაზრისი გურგენის მეფობის შესახებ. უარყოფილ იქნა დაჩის მემკვიდრეთა მეფობა.

გურგენის ქართლში მეფობის შესახებ ძველმა ქართულმა წყაროებმა, მართალია, არაფერი იციან, მაგრამ პროკოპიოსის ცნობის უარყოფა არ შეიძლება. ჯერ კიდევ 1980 წელს, საკანდიდატო დისერტაციის ტექსტში მივუთითე: გურგენი ქართლიდან გამოყოფილი სამხრეთ-დასავლეთ ქართლის ნაწილის გამგებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვით ქართლში დაჩის შემდეგ - ბაკური, ფარსმანი, ფარსმან სხვაჲ და ბაკური მეფობდნენ. ჩემი გამოკვლევით, სასანიანებმა სამეფო ხელისუფლება ქართლში დაახლ. 537 წელს გააუქმეს[33] (გურგენზე ქვემოთ კიდევ მექნება საუბარი).

---

[30] ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის..., თავი IX, §1.

[31] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფილისი, 1913, გვ. 196.

[32] იქვე.

[33] გოილაძე ვ., ფარნავზიანთა სახლის..., გვ. 151-157.

თავი III. ფარნავაზიანი მეფეები პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებასა“ და ძველ ქართულ წყაროებში. ვარაზ-ბაკურის ოჯახის პრობლემა

ზემოთ XII ს-ის წინა ხანიდან შემონახული მირიან მეფის შთამომავალ მეფეთა რიგი წარმოვადგინე, მაგრამ IV-V სს-ების ქართლის მეფეთა რიგსა და ისტორიას სრულად ვერ წარმოვაჩენთ, თუ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეების („მეფეთა ცხოვრება“, ჯუანშერის თხზულება) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკასთან, დაბოლოს, ამ წყაროებთან მიმართებით პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობებს არ გავითვალისწინებთ.

ამ მხრივ, უპირველესად, უნდა აღვნიშნო: ჩვენს მეცნიერებს დიდ ხანს ეგონათ (ზოგი ახლაც ამ აზრისაა), რომ „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ქრონიკაში“ IV ს-ის ქართლის ისტორია ერთნაირადაა გადმოცემული, ამასთან, რადგან „ქრონიკა“ „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ იყო მიჩნეული, თანაც ითვლებოდა, რომ ლეონტი მროველმა „ქრონიკაზე“ დაყრდნობით შეადგინა „მეფეთა ცხოვრება“[34], „ქრონიკის“ ცნობებს უპირატესობას ანიჭებდნენ[35]. ძნელი გახდა IV ს-ში მოღვაწე მირდატ

---

[34] ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 187; არახამია გ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991, გვ. 47, 67; მელიქიშვილი გ., შესავალი, წიგნისა სინ I, გვ. 59-60; ჩხარტიშვილი მ., საქართველო III-V საუკუნეებში, გვ. 20.

[35] გოილაძე ვ., „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართების საკითხი. წიგნში *ქართლის მოქცევა*. ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი, გვ. 5-6; ჯანაშია ნ., კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986, გვ. 136, 146; ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ბაქარიანისა და თრდატ რევიანის ურთიერთმიმართების გარკვევა[36], ვერ გაითვალისწინეს პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის მეფეებად დასახელებულ ბაკურს, ბოზმარიოსს, არჩილს, მხოლოდ რევიან მეფეთა რიგში რომ უნდა მიჩენოდათ თავიანთი ადგილები.

ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის პირველი ნახევრის ქართლის მეფეთა რიგის მოწესრიგება 369 წლიდან V ს-ის 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში ბაქარიან მეფეთა გვერდით, რევიან მეფეთა აღიარების გარეშე შეუძლებელი იყო. ეს სიახლე 1990 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში აისახა[37] (ა. ბოგვერაძის მტკიცებით, 369 წელს გაყოფილი ქართლი 377 წელს გაერთიანდა. დ. მუსხელიშვილის თანახმად კი, ქართლი ორად გაყოფილი 373-378 წლებში

---

[36] ჯანაშია ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 150; ბოგვერაძე ა., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში, სინ. II, თბ., 1973, გვ. 83-84. ა. ბოგვერაძე ბ-ნ გიორგი მელიქიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით აღიარებს, „ქართლის სამეფო“ სახლში მირიანის ძის ბაკურის დროიდან რომ შინაბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაზე დაყრდნობით, ამ ბრძოლის მონაწილეებად რომ ბაკურ რევის ძისა და თრდატ რევის ძის შთამომავლები მიაჩნია (იქვე, გვ. 82-83), შეცდომაა (ბაკური მირიანის უმცროსი ძე იყო). აღნიშნულის გარდა, IV ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიის თხრობისას მან როცა IV ს. 70-ანი წლების ბოლოს ქართლის სამეფოს ერთიანობის აღდგენაზე მიუთითა (იქვე, გვ. 80), ქართლის ტახტზე ხან ბაქარიანი უფლისწული დასვა, ხან რევიანი (იხ. იქვე, გვ. 81-84) და შენიშნა: „მეფეთა ცხოვრების“ მეფეთა რიგთან შედარებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში დაცული მეფეთა თანმიმდევრობა უფრო სწორი უნდა იყოს“-ო (იქვე, გვ. 81, შენ. 1.)

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ცნობებისადმი გადამეტებული ნდობითაა გამოწვეული 2018 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში მ. ჩხარტიშვილი თავგამოდებით რომ ამტკიცებს, მირდატ ბაკურის ძისა და თრდატ რევის ძის იდენტურობას. ამ საკითხის „უეჭველად“ გადაჭრის შემდეგ მათთან გააიგივა 361 წლის ამბების თხრობისას ამიანუს მარცელინუსის მიერ ქართლის მეფედ დასახელებული მერიბანესი და წყაროებში ამ პირთა მოღვაწეობის ამსახველი ცნობები ერთი პირის ნაღვაწად ჩათვალა. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105-108.

[37] გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის..., თავი მეექვსე.

იყო). იმავე მონოგრაფიაში ვაჩვენე, არსებითად რატომ განსხვავდება ბაქარიან მეფეთა რიგი (იხ. ზემოთ) მეფეთა იმ რიგებისაგან, რომლებიც „ქრონიკასა“ და პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ გვაქვს. ეს თხზულებები რევიანთა ორიენტაციისა აღმოჩნდა. მათში ძირითადად ფარნავაზიანთა სახლის რევიანი მეფეები არიან წარმოდგენილნი. ზოგი მკვლევარი დღემდე ვერ მიხვდა პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის მეფედ დასახელებული არჩილი (პეტრე იბერის ბიძა) და ჯუანშერის თხზულებიდან ცნობილი ვახტანგ გორგასლის პაპა - არჩილი სხვადასხვა პირები რომ არიან. ბევრისათვის კვლავ გაუგებარია ის, რომ პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ავტორი შეგნებულად აცხადებს ბაკურ (რევიანს) თრდატის ძეს ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ[38], ხოლო „ქრონიკის“ ავტორი ბაკურ მირიანის ძეს, რევის ძედ.

„მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, მეფე მირიანის უმცროსმა ძემ - ბაკურმა (ბაქარმა) იმიტომ დაიჭირა მირიანის შემდეგ ქართლის ტახტი მისი უფროსი ძმა რევი (რომელიც მირიანის მოხუცებულობის გამო მამის სიცოცხლეშივე იყო ტახტზე), მირიანის სიცოცხლეშივე რომ გარდაიცვალა და მას ძე თრდატი მცირეწლოვანი დარჩა. მეორე მხრივ, თუ „ქრონიკას“ დავუჯერებთ და ბაკურს (როგორც ითქვა, ტახტი მან მეფე მირიანის შემდეგ დაიკავა) რევის ძედ მივიჩნევთ, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ან განა უცნაურად არ გამოიყურება, რომ რევის ძედ მიჩნეული ბაკურის მეფობისას „ქრონიკაში“ რევი ისევ ცოცხლად იხსენიება[39]. ამ გაურკვევლობის გარდა, საყურადღებო არაა ის „ვარჯიში“, რომელიც, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ Sin-48-ის ქრონიკაში გვაქვს. გადამკეთებელმა მირიანის შთამომავალ მეფეთა რიგის ათვლისას, დაჩი მეფის შვი-

---

[38] როგორც ზემოთ ითქვა, ეს ცნობა აკად. ივ. ჯავახიშვილმა ისტორიულ რეალობად მიიჩნია.

[39] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შატბერდის კრებული, X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 324; „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, გვ. 16.

ლიშვილი – ფარსმანი მეცამეტედ აითვალა, მისი მომდევნო მეფე ფარსმან სხვაჲ – მეთხუთმეტედ, შემდეგ ასურელ მამათა ქართლში მოსვლაზე საუბრისას ფარსმანი „მეთოთხმეტე“ მეფედ გამოაცხადა[40], რითიც მეფეთა ათვლაში ფარსმანის სახელის მქონე ერთი მეფე დაუმატა (ასურელი მამები ქართლში ფარსმან სხვაჲს ზეობაში დაახლ. 535 წელს შემოვიდნენ). Sin-48 ტექსტის გადამწერ-რედაქტორის ეს დამახინჯებული რიგი („ესე [აღწერი]ლი“), რა თქმა უნდა, როგორც „სინა-50“-ის შემდგენელი აცხადებს, „გამოკრებულად არს“[41], მაგრამ საიდან? უფრო სავარაუდოა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის იმ რედაქციიდან, რომლიდანაც „მოქცევაჲს“ ჭელიშური ვარიანტი მომდინარეობს[42] (შატბერდულ რედაქციას მეფეთა ათვლა არა აქვს). თავის მხრივ, „ქრონიკის“ თავდაპირველი რედაქცია, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეებიდან გამოკრებილ თხრობას წარმოადგენს.

„ქრონიკის“ „გამოკრებილ“ ტექსტში ერთმანეთშია არეული ბაქარიანი და რევიანი მეფეები. მათგან მხოლოდ რამდენიმეზეა მითითება წინა მეფესთან ნათესაურ დამოკიდებულებაზე, რითიც მეფეთა დიდი ნაწილის წინამორბედ მეფესთან ნათესაური მიმართება მკითხველისათვის უცნობი რჩება (შდრ., ზემოთ, შენ. 36). რომ არ გვქონდეს შესაბამისი ეპოქის ტექსტი „ქართლის ცხოვრებაში“, მირიან მეფის შთამომავალთა დიდი ნაწილის ურთიერთნათესაობის შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ მიჩნეული „ქრონიკის“ ტექსტის ასეთმა ხასიათმა მისცა საფუძველი არაერთ მკვლევარს ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის გადმოცემისას, თავისუფლად ემოქმედა. ამ მხრივ, უპირველესად, ჩვენს მეცნიერთა მიერ ადარნასე ფარნავაზიანის სტეფანოზ I ბაგრატიონის ძედ გამოცხადება და მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობ-

[40] „მოქცევაჲ ქართლისაჲ “, ახლად აღმოჩენილი “ (Sin-48), გვ. 18.

[41] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ახლად აღმოჩენილი. ახალი კოლექციის სინა-50, გვ. 19.

[42] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჭელიშური რედაქცია. წიგნში *ქართლის მოქცევა*, ელ გიუნაშვილისა და ვ. გოილაძის გამოცემა, გვ. 90-91.

ლემები უნდა გავიხსენოთ (ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ქართლის ერისმთავრები სტეფანოზ I და ადარნასე, თბ., 2020).

არანაკლებ სავალალო ვითარება შეიქმნა ჩვენს ისტორიოგრაფიაში მას შემდეგ, რაც თანამედროვე ქართველმა მეცნიერებმა ვარაზ-ბაკურის ძედ პეტრე იბერის მიჩნევის შესახებ ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ დაშვებული შეცდომა არა მარტო ხელახლა ააღორძინეს, არამედ ის ახალი, დაუჯერებელი მასალითაც შეავსეს. მხედველობაში მაქვს პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში" პეტრეს მამად დასახელებული ბოზმარიოსის ვარაზ-ბაკურთან გაიგივება და ბოზმარიოსის მეუღლის ბაკურდუხტიას ვარაზ-ბაკურის მეუღლედ მიჩნევა. აქ თუ იმასაც გავიხსენებთ, „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული ცნობით, ვარაზ-ბაკურს მირიან მეფის თანამედროვე ფეროზის ძისწულისა და თრდატ რევის ძის ასულისაგან სამი ძე – ფარსმანი, მირდატი და თრდატი ჰყავდა, პეტრე იბერი მისი მეოთხე ძე გამოდის.

ვარაზ-ბაკურის ოჯახის შევსება აღნიშნულით არ დასრულებულა. ამ ბოლო ხანს, ვარაზ-ბაკური გაიგივებული იქნა „მოქცევაჲ ქართლის" sin-50-ის ერთ მინაწერში დასახელებულ ვარაზ-ბაკურ ხიდარელთან. ამ უკანასკნელს კი რადგან ორი ძე (ვარაზი და ვარაზ-ჰარანი) და სამი ასული ჰყავდა (მათი დედა სიმენავარ ვასპურაკანელი იყო), ვარაზ-ბაკური 6 ძის, სამი ასულის მამა და ოთხი მეუღლის ქმარი გახდა.

IV ს-ის შუა ხანებში მოღვაწე ვარაზ-ბაკური (ამიანუს მარცელინუსთან იგი ასფაგურად იხსენიება. მის მეფობაში 369 წელს ქართლის სამეფოს რომის ქვეშევრდომობაში მოქცეული ქართლი ჩამოცილდა. ამ ნაწილში მეფობდნენ პეტრე იბერის წინაპრები - რევიანები) ასე გახდა მრავალშვილიანი და მრავალცოლიანი მეფე (ეს საკითხი ვრცლად მაქვს გაანალიზებული ვარაზ-ბაკურისა და პეტრე იბერის მამაშვილობის პრობლემისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რომელსაც, ალბათ, მომავალ წელს გამოვცემ).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, IV-VI ს-ების ქართლის სამეფოს ისტორიის გადმოცემისას, უპირატესობა „მეფეთა ცხოვრების" (ასევე ჯუანშერის) ცნობებს უნდა მივანიჭოთ. ვნახოთ რას წარმოადგენენ ეს თხზულებები.

თავი IV. „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის შეფასება. ამ წყაროთა უახლესი შეფასება

„როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრებაც“ (გულისხმობს „მეფეთა ცხოვრებას“, ვ.გ.) ადგილობრივი წყაროა, და ქართლის გაბმულ ისტორიას გვთავაზობს“, – წერს მ. ჩხარტიშვილი და დასძენს: „მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრება“ უფრო ხშირად შეიცავს ცდომილებებს, ვიდრე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კვლევისას „ქართლის ცხოვრების“ გამოყენება მიზანშეუწონელია. ცდომილებათა მიზეზი არის არა ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი მონაკვეთის ავტორი (მხედველობაში მყავს ლეონტი მროველი, რომელიც XI საუკუნის მოღვაწეა) ეფუძნება არასწორ მონაცემებს ან ცუდად ინფორმირებულ წყაროებს. ის უბრალოდ კი არ იმეორებს წყაროთა ინფორმაციას, არამედ თავად ცდილობს რეპრეზენტირებას ანუ აკეთებს იმას, რასაც თანამედროვე ისტორიკოსები. ამიტომ, ზოგჯერ სწორი ამოსავალი მონაცემების მიუხედავად, „ქართლის ცხოვრების“ მიერ წარმოდგენილი სურათი განსხვავებულია, მაგრამ ვიმეორებ, ცდომილების მიზეზია, „არაადეკვატური რეპრეზენტაცია და არა მონაცემები, რომელსაც ეფუძნება ლეონტი მროველი“ (იხ. მისი, საქართველო III-V საუკუნეებში, გვ. 20, ხაზგასმა ყველგან ჩემია. ვ.გ.).

რა შეიძლება ითქვას მ. ჩხარტიშვილის ამ მსჯელობის შესახებ?

უპირველესად, ის, რომ მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის შესწავლა და, ცხადია, ამ თხზულებას კარგად იცნობს. მისაღებია „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის (ამ ტექსტში, როგორც ცნობილია, XI ს-ში ლეონტი მროველმა არაერთი ჩას-

წორება შეიტანა) მისეული შეფასებაც. მაგრამ „მეფეთა ცხოვრება“ „შეიცავს ცდომილებებს“ არა იმის გამო, რომ ეფუძნება ცუდად ინფორმირებულ წყაროებს“ („მეფეთა ცხოვრების“ ძირითად წყაროდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაა მიჩნეული), ცდომილების მიზეზია „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის ლეონტისეული ჩასწორებები.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გასაკვირია, ზემომოტანილი თხრობის ავტორმა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის ცნობილმა მკვლევარმა და შემფასებელმა, ქ-მა მ. ჩხარტიშვილმა რატომ უარყო „ქრონიკის“ ის ცნობა, რომელშიც მირიანის მამად რევია დასახელებული და რატომ გახდა მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ ლეონტის ჩანასწორების ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი, ამ აქტით რატომ უარყოფს თავისივე მტკიცებებს?

მ. ჩხარტიშვილის ასეთი მიდგომა ამ ცნობისადმი ახალი არაა (ასე მოიქცა, XIX ს-ის დამლევს ვ. ბოლოტოვი. იხ. ქვემოთ, თავი VII-ში მირიან მეფის წარმომავლობა). ლეონტი მროველის ჩანასწორების რეალურობას ამტკიცებდნენ XX ს-ის ბოლოსაც. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ გამოდიოდნენ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ასეთი თვალსაზრისის დამცველებად პროფ. ზ. კიკნაძე და აწ განსვენებული ლელა პატარიძე. ჩემგან ისმენდნენ საწინააღმდეგო მსჯელობას, რატომ არ უნდა გვეღიარებინა ლეონტის ჩანასწორები ისტორიულ რეალობად. მაშინ ჩემთვის მეტად მოულოდნელი იყო, როცა ჩემთან პირადი საუბრისას ისეთმა მეცნიერმა, როგორიც პროფ. მიხეილ ქურდიანი იყო, ლეონტის ჩანასწორების (მირიანი რომ ირანის შაჰის ძე იყო) ისტორიული რეალურობის დამტკიცება სცადა.

მოკლედ გაგაცნობთ „მეფეთა ცხოვრების“ და „ქრონიკის“ შესახებ ჩემს თვალსაზრისს. მოკლედ იმიტომ, რომ მკითხველი მითითებული ლიტერატურიდანაც ნათლად შეიტყობს, რომ ამ საკითხზე ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი და ნამუშევარი. როგორც „მეფეთა ცხოვრების“ ბედზე ჩემ მიერ მომზადებულ ცალკე გამოკვლევაში ვაჩვენებ, ამ საისტორიო წყა-

როს ცნობებზე უარის თქმამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ფარნავაზ მეფის შესახებ არაფერი იყო თქმული, რის გამოც ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდები ფარნავაზ მეფის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ ათეული წლების განმავლობაში ვერაფერს სწავლობდნენ.

„მეფეთა ცხოვრება“

„მეფეთა ცხოვრება“ ფარნავაზის ხანიდან „ჟამითი-ჟამად“ ნაწერ უძველეს მატიანეთა კრებულად წარმოგვიდგება და ეს ერთმა ცნობილმა მეცნიერმა აღიარა[43]. XI ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველი ამ უნიკალური საისტორიო თხზულების მხოლოდ რედაქტორ-გადამწერია[44]. მან „მეფეთა ცხოვრება“ ისევე გადაწერა, როგორც ნინოს „ცხოვრება“, მაგრამ „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიანის წარმომავლობის შესახებ (მირიანის ირანელ უფლისწულად გამოცხადება) თავისი თვალსაზრისის შეტანით, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის ბიოგრაფია დაამახინჯა, რის გამოც არაერთ თანამედროვე მკვლევარს მირიანის წარმომავლობაზე მცდარი თვალსაზრისის გამოთქმის საშუალება მიეცა[45] (სამწუხაროდ, ეს გაუგებრობა თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ჯერჯერობით საკმაოდ ფეხმოკიდებულია, რაც საბოლოოდ ჩვენს ისტორიოგრაფიას შავ ლაქად დარჩება).

---

[43] წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 50, 52; ბარამიძე რ., ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971; პატარიძე რ., ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989. ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ ვ. გოილაძე, ფარნავაზიანთა სახლის, გვ. 9-12.

[44] ბადრიძე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, 1962, №7; გოილაძე ვ., არის ლეონტი მროველი „ქართველთა ჰეროდოტე“?, ჟურნალი „კრიტიკა“, 1989 №4; მელიქიშვილი გ., მირიან III. ქსე, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 11.

[45] მხედველობაში მაქვს მ. ჩხარტიშვილისა და მ. სანაძის დასახელებული მონოგრაფიები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა

რაც შეეხება ჩვენი მეცნიერების მიერ „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ მიჩნეულ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკას, როგორც გაირკვა, მისი პირველი ნაწილი – „მირიანის ქრონიკა“ მეფე მირიანის თანადროულად, მის სიცოცხლეშივე (ე.ი. 334 წლამდე) შეიქმნა[46]. ქრონიკა, ისე, როგორც ეს მათე მოციქულის სახარებაშია (მას აბრაჰამიდან მოყოლებული ქრისტეს წინაპართა სახელები აქვს ჩამოთვლილი. 1,1-16), ფარნავაზიდან დაწყებული მირიანის წარმართ წინაპართა (მირიანის მამის – ლევისა და თვით მირიანის ჩათვლით) მშრალი ჩამონათვალით იწყება[47]. „მირიანის ქრონიკა“ რომ მირიანის სიცოცხლეში შეიქმნა, ამის დასტურია მირიანის მეფობის ბოლო წლებში მის მიერ თანამმართველად დასმული უფროსი ძე რევი (რომელიც მირიანის სიცოცხლეშივე, ე.ი. 334 წლამდე გარდაიცვალა), რომელიც „ქრონიკაში“ ჯერ კიდევ ცოცხლად იხსენიება. რევი, ბოდინში წმიდა ნინოს გარდაცვალებისას (დაახლ. 332 წ.) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ასეთი მსჯელობა სრულიად რეალურად მოგვეჩვენება, თუ აკად. ზ. ალექსიძის იმ დასკვნასაც გავითვალისწინებთ, რომლის თანახმად, ქრონიკისათვის თავდაპირველად დაიწერა ქართლის ისტორია მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მასში ქართლის სამეფოს შექმნისა და მცხეთის შენების მშრალი ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი მოთხრობა გაერთიანდა[48]. „ქრონიკის“ ეს ტექსტი, როგორც

---

[46] გოილაძე ვ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკის“ და „მეფეთა ცხოვრების“ ურთიერთმიმართების საკითხი, „მირიანის ქრონიკა“, კრებულში „წმინდა ნინო“, თბ. 2008.

[47] იქვე, გვ. 163-164.

[48] ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქსე, ტ. 7. თბ., 1984, გვ. 149-150; მისივე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ახლად აღმოჩენილი, გვ. 6. ამ, და საერთოდ, „ქრონიკასთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის („ქრონიკის) შექმნის, შედგენილობის, ხასიათისა და „მეფეთა ცხოვრებასთან“ მიმართების საკითხისათვის. წიგნში-ქართლის მოქცევა, ელ. გიუნაშვილისა და ვ. გოილაძის გამოცემა. გვ. 4-36.

ჩანს, დროთა განმავლობაში რევიანთა ორიენტაციის ავტორის მიერ „მეფეთა ცხოვრებისა“ და ჯუანშერის თხზულებიდან გამოკრებილი მოკლე ცნობებით ივსებოდა, რასაც მოწმობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ჭელიშური რედაქციასა და Sin-50-ში შემონახული მითითებები: „ესე აღწერილი გამოკრებულად არს“-ო[49]. ასეა მიყვანილი თხრობა სტეფანოზ II ფარნავაზიანის დრომდე. X ს-ის 30-იან წლებში ამ ტექსტს დაურთეს ქართლის კათალიკოსთა და ერისმთავართა სია, რომელიც იმავე საუკუნის 70-იან წლებში კიდევ სამი კათალიკოსის სახელით შეივსო[50].

ასე რომ, „ქრონიკის“ ტექსტმა ტენდენციური ხასიათი „მირიანის ქრონიკის“ შედგენის შემდეგ რევიან მეფეთა ღვაწლის წარმოჩენის მცდელობის გამო მიიღო. ასეთი ხასიათის მიუხედავად, „ქრონიკა“ ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისათვის მაინც მნიშვნელოვან ძეგლად რჩება, თუმცა, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში აღიარებული[51] მოსაზრება, თითქოს „ქრონიკა“ „ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულებაა“, გადასინჯვას მოითხოვს. ამ ძეგლის ცნობებს მკვლევარი დიდი სიფრთხილითა და კრიტიკულად უნდა მიუდგეს. აქვე უნდა აღვნიშნო, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითება – ჩვენი „ავტორიტეტული და პატივცემული მკვლევრები“ – ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თითქოს „გვიანდელ და ნაყალბევ თხზულებად მიიჩნევდნენ“[52], მართალი არაა. სწორედ ბატონ ივანეს დამსახურებაა ეს თხზულება უძველეს საისტორიო ნაწარმოებად და „მეფეთა ცხოვრების“ წყაროდ რომ ითვლება.

---

[49] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ვერსია, ელ. გიუნაშვილისა და ვ. გოილაძის გამოცემა, გვ. 91; ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს...“, ახლად აღმოჩენილი, გვ. 19.

[50] ქართლის ერისმთავართა რიგი პრობლემები - ბაკურიანთა წინაპრები. კრებულში - გოილაძე ვ., ახალი გამოკვლევები, თბ., 2018, გვ. 212-228.

[51] ალექსიძე ზ., დასახ. წერილი, ქსე, ტ. 7. გვ.149

[52] ნიკოლოზიშვილი ნ., ზაბილონიდან მირიანამდე. საისტორიო ალმანახი კლიო 17, თბ., 2003, გვ. 58, შენ. 3.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ტექსტის ღირსება ჰიპერკრიტიციზმის დროს დიდად არ დაზარალებულა. „შატბერდის კრებული“, სადაც „მოქცევაჲს“ ქრონიკაა გაერთიანებული, 1888 წელს იქნა მიკვლეული და 1890 წელს გამოქვეყნდა (მისი რუსული თარგმანი 1900 წელს გამოიცა[53]). მის ცნობებს XIX ს-ის რუსი შოვინისტი ისტორიკოსებიდან 1898 წელს სტუდენტ გ. გამრეკელის ხელნაწერი ნაშრომის რეცენზირებისას მხოლოდ ვ. ბოლოტოვი შეეხო (ამ საკითხზე შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ), შესაბამისად, ჩემს მონოგრაფიაში – „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“ – ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების ღამკვიდრებაზე საუბრისას „ქრონიკას“ მხოლოდ ერთხელ ვახსენებ (გვ. 18).

[53] ალექსიძე ზ., დასახ. წერილი, გვ. 149-150.

თავი V. V საუკუნის ისტორიის ამსახველი ქრონოლოგიური მითითებები ძველ ქართულ წყაროებში

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, IV-VI ს-ების ქართლის სამეფოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეების უნიკალური ცნობები. კერძოდ, ის, რომ: I. გვაქვს XII ს-ის წინა ხანიდან მომდინარე ფარნავაზიანთა სამეფო სახლის – ბაქარიანთა შტოს მეფეთა რიგი, მასში წარმოდგენილი მეფეებიდან, ვახტანგ გორგასალის დაბადებისა (431 წ.) და გარდაცვალების (491 წლის გაზაფხული) თარიღები სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლის და ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობითაა მიღებული.

II. 491 წლის გაზაფხულზე ირანელთა ქართლში შემოჭრა (როცა ვახტანგ მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა) ნაწილი იყო ბიზანტია-ირანის იმ ომისა, რომელიც 491 წელს იმპერატორ ზენონის გარდაცვალების (491 წლის 9 აპრილი) შემდეგ დაიწყო. ამ ომის შესახებ VI ს-ის სირიელ ავტორთან – იეშუ სტილიტთან უტყუარი მითითებაა[54].

III. ჩემ მიერ ვახტანგ გორგასლის გარდაცვლების თარიღად მიღებულ 491 წლის სიზუსტეს ადასტურებს ჯუანშერის შემაჯამებელი ცნობა. ჯუანშერის თანახმად, „მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი და წელიწადი ას ორმოცდაჩვიდმეტი, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“[55].

---

[54] Хроника Иешу Стилита. Пигулевская Н. В., Месопотамия на рубеже V-VI вв. н. э., М.- Л., 1940, გვ. 134; გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თავი IV, §3.

[55] ჯუანშერი, დასახ. თხზ. გვ. 159.

მირიანიდან (თუ მის სიცოცხლეში თანამმართველად დასმულ რევს არ ავითვლით), ვახტანგი, მართლაც, მეათე მეფე იყო (ამ ათი მეფიდან ცხრაა ბაქარიანი, ხოლო ერთი – თრდატ რევის ძე რევიანთა სახლს განეკუთვნებოდა), ცხრა ბაქარიანი მეფის თანადროულად „ნათესავი რვა“, ე.ი. რვა რევიანი მეფე ზეობდა. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ის, რომ ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი – მეფე მირდატი იყო „მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი, ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი“ (ქ.ცხ. I, გვ. 138), განა მკვლევართ არ ავალდებულებდა ფარნავაზიანთა სამეფო სახლში 369 წლიდან წარმოდგენილ ამ ორი შტოს საკითხს მეტი ყურადღებით მოპყრობოდნენ?.

ყოველივე აღნიშნულის გარდა, მთავარი ისაა, მირიან მეფის გარდაცვალების თარიღად ჩემ მიერ მიღებულ 334 წლიდან (ამ თარიღზე ვრცლად იხ. ჩემი, ფარნავაზიანთა სახლის, თავი V, §. 1. შდრ., ქვემოთ, შენ. 60) გასული 157 წელი-491 წელზე მოდის. ეს კი სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან და ჯუანშერის თხზულებიდან მომდინარე ის თარიღია, როცა ქართლში შემოჭრილ ირანელებთან ბრძოლაში ვახტანგ მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა. ასე რომ, ჯუანშერის მითითების (მირიანიდან ვახტანგამდე 157 წლის გასვლის შესახებ) სისწორე 1500 წლის შემდეგ ჩემი მიკვლევის შედეგად იქნა დადასტურებული.

IV. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიისათვის უნიკალურია, სავარაუდოდ, ჯუანშერიდან მომდინარე და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში შემონახული მითითება, რომელიც გვამცნობს: როცა ვახტანგ მეფემ „აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ (ე.ი. სვეტიცხოველი - ვ.გ.), და დასუა პეტრე კათალიკოზი....ესე იყო ქართლის მოქცევითგან რ-ო წელსა. მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი, და მთავარეპისკოპოზნი ათცამეტნი, ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე“[56].

ვახტანგ მეფის მიერ ქართლის ეკლესიის მეთაურად „პეტრე კათალიკოზის დასმაში“ საქართველოს სამოციქულო

[56] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, შატბერდის კრებული, გვ. 325.

ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება იგულისხმება, მაგრამ როდის მოხდა ეს?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალ „მნათობში“ (1986 №2) გამოქვეყნებულ გამოკვლევაში[57] წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა 303 წლით, ხოლო ქართველთა მოქცევა 318 წლით განვსაზღვრე[58]. ახლა „ქრონიკიდან“ ზემომოტანილ მითითებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ქართლის მოქცევიდან (318) რო – ე. ი. 170 წელი 488 წელზე მოვა. ეს კი ის წელია, რომელიც მრავალმხრივი კვლევის შედეგად მივიღე. 488 წელს ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ფულონმა ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე ქართლის პირველ კათალიკოსად პეტრე კაპადოკიელი აკურთახა. ამ აქტით ქართლის ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა[59].

ძველ! ქართულ წყაროში მნიშვნელოვანი მითითება ყოფილა მირიან მეფის გარდაცვალებიდან (334 წ.) ქართლში ასურელ მამათა შემოსვლამდე 200 წლის გასვლის შესახებ[60].

---

[57] გოილაძე ვ., წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის. „მნათობი“, 1986, №2. ეს გამოკვლევა შემდეგ შევიტანე 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ქართული ეკლესიის სათავეებთან, თავი IV.

[58] გოილაძე ვ., „წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის...“, გვ. 156-162. ეს თარიღები ისტორიული რეალობის ამსახველად მიაჩნია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძეს. იხ. მისი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლსიის კალენდარი 1998, თბ., 1997, გვ. 169. მეუფე ანანიას სიტყვით, ეს „საინტერესო საკითხი ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ“. იხ. მისი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 190. მეუფე ანანია 2003 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მობრძანდა და დირექტორს სთხოვა, ამ თარიღზე დაყრდნობით ქართლში წმიდა ნინოს შემოსვლის 1700 წელი აღენიშნათ, მაგრამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მხრიდან მხარდაჭერა ვერ მიიღო.

[59] გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თავი X.

[60] ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეულ ნუსხაშია: „მეფობითგან მირიან მეფისა, ვიდრე მეფობამდე მეორისა ფარსმანისა

ამ მითითების საფუძველზე ასურელ მამათა ქართლში შემოსვლა ფარსმან სხვაჲს მეფობასა და ევლავიოსის კათალიკოსობაზე მოდის და 534/35 წლით თარიღდება, რაც გარკვეულწილად რეალურია[61].

ყველა ამ მითითებებისა და ჩემი კვლევების შედეგების საფუძველზე „ვახტანგის ზღაპრულ ისტორიად" მიჩნეულმა ჯუანშერის თხზულებამ V ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიისათვის უპირველესი წყაროს მნიშვნელობა შეიძინა. 1990-1991 წლებში 17300 ტირაჟით გამოცემულმა ჩემმა სამმა მონოგრაფიამ მკითხველთა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც იმ მეცნიერებზე ვერ ვიტყვით, რომლებიც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიას იკვლევდნენ და იკვლევენ (იხ. ქვემოთ).

გასული საუკუნის საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი მიკვლევა, ფარნავაზიანთა სამეფო სახლში ბაქარიანთა და რევიანთა სამეფო შტოების არსებობა 369-439 წლებში და, რაც მთავარია, ქართლის გამოჩენილი მეფის, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ზუსტი წლების განსაზღვრა ბევრისათვის არაფრისმთქმელი აღმოჩნდა. დღემდე ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ან ისევ 502 წელს უთითებენ,[62] ან

(იგულისხმება ფარსმან სხვაჲ – ვ.გ.) გარდახდეს წელნი ორასი" (გვ. 141), რაც (334+200) 534 წელზე მიუთითებს. შდრ.,Такаишвили Е., Описание рукописей. Т. I, Вып.1-4, Тифл., 1902/4, გვ. 424.

[61] გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 153.

[62] მაგალითად, 2003 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში (საქართველო IV-VIII საუკუნეებში) დ. მუსხელიშვილმა ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღად 499-502 წლებს შორის პერიოდი მიუთითა (გვ. 185-186); შდრ., ბერიძე თ., თბილისი V ს-ის მეორე ნახევარში, კრებული „შოთა მესხია 90", თბ., 2006, გვ. 115, 122; ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღად 502 წელს უთითებენ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც. იხ. ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია, ისტორია. საატესტატო გამოცდებისათვის თეორიული საკითხები, ტესტები, თბ., 2013, გვ. 33. ნ. მოლაშვილი „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია", დამხმარე სახელმ-

საერთოდ უარს ამბობენ თარიღის მითითებაზე ან ახალ გააზრებას გვთავაზობენ[63].

ძღვანელო მე-12 კლასისათვის, თბ., 2010, გვ. 34. პროფ. გ. ალასანიას თქმით, „ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების თარიღი არ არის ცნობილი". ის „უნდა გარდაცვლილიყო, არა უადრეს 503 წლისა". იხ. მისი ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბ., 2008, გვ. 39, 42, 45.

[63] საქართველოს ისტორია 8/9, თბ., 1988, გვ. 70 (ავტორი მ. ლორთქიფანიძე); იხ. აგრეთვე, ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მ. ლორთქიფანიძის ხუთი გამოკვლევა მის „რჩეულ ნაწერებში", წიგნი I, თბ., 2016. სანაძე მ., ქართველთა ცხოვრება, III , გვ. 370; ჩხარტიშვილი მ., საქართველო III-V საუკუნეებში, გვ. 281. ეს გულგრილობა აისახა რუსულ ისტორიოგრაფიაში. იხ. Семенов И. Г., Генеалогиа картлийских царей: от Мириана III до Вахтанга Горгасала. Махачкала, 2007, გვ. 58-73. 2018 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში-„ქართველი ერის ბრძოლა", პროფ. ა. აბდალაძე მკითხველს ისე მოუთხრობს ვახტანგ გორგასლის ბრძოლისა და გარდაცვალების ამბავს, რომ გარდაცვალების წელს არ უთითებს (გვ. 38), მხოლოდ ერთგან წერს, ვახტანგი „მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდაო" (გვ. 36).

თავი VI. რას აზრისა იყვნენ მეცნიერები ვახტანგ გორგასლის ზეობის ახალ თარიღზე

1983 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№11) ვახტანგ გორგასლის ზეობის დათარიღების შესახებ ჩემი წერილი უნდა გამოქვეყნებულიყო. ამის შესახებ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბ-ნ გიორგი მელიქიშვილს წინასწარ მივახარე. შემდეგ, როცა ჟურნალიც გადავეცი, მითხრა: „რატომ წუხდებოდი, „მნათობი“ გამოწერილი მაქვს და სახლში მომიტანენო“. ჩემს მიკვლევაზე ბ-ნი გიორგის აზრი მაინტერესებდა, მაგრამ არ მიკითხავს[*], დაახლოებით ვიცოდი ბატონი გიორგის შეხედულება ჩემთან დაკავშირებით. 1984 წელს, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, როცა უფროსი მეცნიერდთანამშრომლის საშტატო ერთელზე ჩემი გადაყვანის საკითხი დაისვა, მან სამეცნიერო საბჭოს წევრებს მიმართა: „ხომ იცით, ვახტანგ გოილაძე როგორ წერილებს წერსო“. ეს სხდომა რატომღაც სხდომათა დარბაზში გაიმართა და ინსტიტუტის რიგითი თანამშრომლებიც ვესწრებოდით.

---

[*] ამის შემდეგ, როცა გამოსაცემად მზად მქონდა საინსტიტუტო გეგმის გარეშე შესრულებული მონოგრაფია „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“, ქ-ნ მარიკა ლორთქიფანიძემ მითხრა, „ამ საკითხზე მინდოდა, ასპირანტი ამეყვანა, ბ-ნმა გიორგიმ უარი მითხრა, ყველაფერი გაკეთებულიაო“. ამ სიტყვების შემდეგ ცოტა შეცბუნებულმა, ბ-ნ გიორგის მაინც შევეხმიანე. გაღიმებულმა მითხრა: „მომავალი წლისთვის თაბახებს გვიმატებენ და აუცილებლად წარმოადგინეო“. უყურადღებობით წარდგენა დამაგვიანდა, ამჯერად მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავჯდომარეს, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ როინ მეტრეველს მივმართე. 1990 წელს ჩემი მონოგრაფია გამოქვეყნდა. როგორც ზემოთ შევნიშნე, ეს წიგნი1991 წელს აკად. ს. ჯანაშიას პრემიაზე მქონდა წარდგენილი.

რაც შეეხება ინსტიტუტის იმდროინდელ საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებას, რომლის 26 მეცნიერ-თანამშრომელს საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. მამია დუმბაძე (გარდ. 25. III, 1990) ედგა სათავეში, ჩემ გამოკვლევას დადებითად ხვდებოდნენ. 1983 წლიდან 1990/1991 წლებამდე (ამ წლებში ჩემი ზემოდასახელებული სამი მონოგრაფია გამოქვეყნდა) ვახტანგ გორგასლისა და V ს-ის ქართლის სამეფოს ისტორიაზე არაერთი საჟურნალო გამოკვლევა გამოვაქვეყნე. განყოფილების მაშინდელი თანამშრომლები – პროფ. ვაჟა კიკნაძე, ნუგზარ სურგულაძე, მარინა მესხია, ზაზა ხიდურელი – დამეთანხმებიან, რომ განყოფილებაში არც ეს გამოკვლევები გამხდარა საკამათო.

1983 წელს ჟურნალ „მნათობში" (№11) ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ბ. ნოდარ ლომოური მობრძანდა და ფირან გუშნასპის „მარტვილობის" გერმანული თარგმანის ტექსტის ქსეროასლი მთხოვა. 1989 წელს მან გამოსცა მონოგრაფია – „საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში". როცა ინსტიტუტში ეს მონოგრაფია გადმომცა, მითხრა: „ვახტანგ, ცოტა გიკბინე და ხომ არ გეწყინებაო".

ამ სიტყვებმა გამაკვირვა. ჩემი ერთ-ერთი პატივსაცემი ლექტორის ბატონი ნოდარის მონოგრაფიაში რა უნდა ყოფილიყო საწყენი, ეს მისი მონოგრაფიის გაცნობის შემდეგ შევიტყვე, მაგრამ რადგან მართალი ვიყავი, არავითარი წყენა არ მიგრძვნია. პასუხი 1991 წელს ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში გავეცი. რადგან ამ საკითხებზე გამოსაცემად გამზადებულ მონოგრაფიაშიც ვსაუბრობ, აღნიშნულის თაობაზე ამჯერად მოკლედ მოგახსენებთ.

ბ. ნოდარის მტკიცებით, ბიზანტია-ირანის 491 წლის ომის შესახებ არც ფირან გუშნასპის „მარტვილობაში" და არც VI ს-ის სირიელი ავტორის – იეშუ სტილიტის თხზულებაში არავითარი მითითება არაა. ამიტომ მან ჩემი მსჯელობა „სრულიად არადამაჯერებლად" და „სრულიად გაუგებრად" გამოაცხადა[65].

[65] ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 44-45.

ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნე, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: ფირან გუშნასპის „მარტვილობაში" არსებული ცნობის (მასში ნათქვამია: ქართლსა და ალბანეთში მიმდინარე ომის /ზავის დადების/ 40 წლის შემდეგ ავიდა ტახტზე ხოსრო პირველი[66]) საფუძველზე (531-40) ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მომხდარი ბრძოლის, რომელიც ირან-ბიზანტიის ომის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო, თარიღად 491 წელს ვღებულობთ. რაც შეეხება იეშუ სტილიტის ცნობას, მასში ნათქვამია: ბიზანტიის იმპერატორის ზენონის გარდაცვალების (491 წლის 9 აპრილი) შემდეგ შაჰმა კავადმა ბიზანტიის ტახტზე ახლად ასულ ანასტასიოსს მოსთხოვა ოქრო, როცა მისგანაც უარი მიიღო, ბრძანა ომი დაეწყოთ (იეშუს თხზულების ტექსტის რუსულ თარგმანშია: „Он (Кавад. В. Г.) то повел войну с ромеями из-за того, что ему не было дано золото")[67].

ძნელი სათქმელია, რატომ დატოვა ბ-მა ნოდარმა უყურადღებოდ ეს ნიშანდობლივი მითითებები. ჩემთან კამათისას იგი იეშუს თხზულების ნ. პიგულევსკაიასეულ თარგმანს კი არ იმოწმებს, სადაც ზემომოტანილი მითითებაა, არამედ ნ. პიგულევსკაიას გამოკვლევის 60-61 გვერდებს[68], სადაც ბიზანტია-ირანის ომზე, მართლაც, არაფერია ნათქვამი. აღნიშნულთან ერთად, იმ მიზეზით მარზპანთა ინსტიტუტის დაწესება თითქოს ხოსრო I-ის მიერ 531 წელს გატარებულ რეფორმას მოჰყვა, ბ-მა ნოდარმა ფირან გუშნასპის „მარტვილობისა" და ჯუანშერის ის ცნობები უარყო, რომელთა თანახმად, მარზპანის სახელო ქართლსა და ალბანეთში 531 წელზე გაცილებით ადრე იყო[69].

---

[66] გოილაძე ვ., „ფირან გუშნასპის მარტვილობის" ცნობათა მნიშვნელობა. მარტვილობის ტექსტი, გვ. 98-99.

[67] Хроника Иешу Стилита, გვ. 13-14. თბილისის ისტორიის (ტ. I, თბ., 1990, გვ. 55) შესაბამისი ტექსტის ავტორს რომ იეშუ სტილიტის ცნობები გაეთვალისწინებინა, 502 წელს ირანელთა ქართლში შემოჭრისა და „უჯარმის ბრძოლაში" ვახტანგ მეფის დაჭრის შესახებ არ მიუთითებდა. ამ წელს ირანელები ქართლში არ შემოსულან.

[68] ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[69] იქვე. ა. ბოგვერაძე, ალბათ, ნ. ლომოურის ზემომოტანილ თვალსაზრისს ეყრდნობოდა, როცა 2001 წელს გამოქვეყნებულ წერილში

ამრიგად, 1990 წელს, როცა ჩემი ნაშრომი „ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია“, ხოლო 1991 წელს „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“ გამოიცა, როგორც ზემოთ შევნიშნე, ნიადაგი გარკვეულწილად მომზადებული იყო იმის უარსაყოფად, რომ ვახტანგ გორგასლის ზეობის ჩემეული მიკვლევა მიუღებელი იყო (იხ. შენ. 63). 1988 წელს გამოცემულ 8/9 კლასებისათვის განკუთვნილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში აკად. მ. ლორთქიფანიძემ ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღად 502 წელი აღარ მიუთითა, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ვახტანგ გორგასალი V ს-ის მეორე ნახევარში მეფობდაო[70].

კატეგორიულად განაცხადა: „საერთოდ, ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: როცა ქართლში ირანის მოხელე მარზპანია სათავეში, ქვეყანაში უმეფობაა და ის ირანის განაპირა ოლქად ითვლება“. შემდეგ კიდევ განმარტა: მარზპანი „ქართლში იჯდა არც მეფის და არც ერისმთავრის დროს“. იხ. მისი, VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა), „ანალები“, 2001, №2, გვ. 73-74.

[70] საქართველოს ისტორია 8/9, თბ., 1988, გვ. 70. ამ წიგნზე მუშაობა უკვე დასრულებული მქონდა, როცა შევამჩნიე, რომ აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში მხოლოდ ისაა აღნიშნული, ვახტანგ გორგასალი V ს-ის მეორე ნახევარში რომ მეფობდა, 502 წელი საერთოდ არაა ნახსენები (იხ. ამ სახელმძღვანელოს 1946 წლის გამოცემა, გვ. 109, 420). ასეთივე მდგომარეობაა, ამ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, აკად. გ. მელიქიშვილის მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიის“ საკითხავ წიგნში, თბ., 1980, გვ. 51-54.

რა უნდა ვივარაუდოთ, ბატონი სიმონი არ იზიარებდა ივ. ჯავახიშვილის მიერ ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღად მიღებულ 502 წელს? ალბათ, ასე იყო. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 502 წელი 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში პროფ. ვ. დონდუამ მიუთითა (გვ. 97). როგორც ვნახეთ, ეს თარიღი 1988 წელს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდან ქ-ნმა მარიკამაც ამოშალა. ასე რომ, ვახტანგ მეფის გარდაცვალების ივ. ჯავახიშვილისეულმა თარიღმა სასკოლო სახელმძღვანელოებში სულ რაღაც 30 წელი იარსება, მაგრამ ისე მყარად დამკვიდრდა ისტორიკოსთა ცნობიერებაში, რომ მასზე დღესაც არ ამბობენ უარს (იხ. ქვემოთ).

ასეთ ფონზე საინტერესოა, ჩემ მიკვლევებზე რა აზრის იყო ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ აღიარებულ მკვლევრად მიჩნეული ა. ბოგვერაძე.

1991 წელს გამოცემულმა ჩემმა მონოგრაფიამ – „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი" არაერთი მეცნიერის მონონება დაიმსახურა[7]. საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობისას ახლად გამოცემული წიგნი ვაჩუქე ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს პროფ. მიხეილ გაფრინდაშვილს. რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე „ბატონო მიხეილ, რა აზრისა ხართ ჩემ მონოგრაფიაზე"-მეთქი? მან სიცილით მიპასუხა: „ვახტანგ, მე მომეწონა, მაგრამ არის ხალხი, რომელთაც არ მოსწონთო". როგორც შემდეგ გაირკვა, მათ შორის, ვისაც ჩემი მონოგრაფია არ მოსწონდა, ჩვენი განყოფილების თანამშრომელი, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების ყოფილი გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ანრი ბოგვერაძე იყო..

ბ. ანრი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როგორც ჩანს, ინტენსიურ კვლევას ჩამოცილებული იყო (ეს მისი გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიიდანაც ჩანს (იხ. სშსის, VIII. თბ., 2005, გვ. 336-337). წლიური ნაშრომის წაკითხვისას ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა ხოლმე, რომ ბ. მამია რამდენჯერმე შესძახებდა: „ანრი, ცოტა ხმამაღლა", ბოლოს განყოფილებიდან გავიდოდა და დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, როცა დაბრუნდებოდა, განყოფილების თანამშრომლები მიაძახებდნენ: „ბ. მამია ანრიმ მოხსენება დაასრულაო" (ეს ამბავი 2015

[7] პროფ. კარლო კუციამ მკითხა, ამ წიგნის მეორე ნაწილს როდის გამოვცემდი. წიგნი არაერთხელ შეაქო პროფ. გიორგი (ჰასან) ნადირაძემ. აკად. ლევან ალექსიძის თქმით, ამ წიგნის გამოცემით მე „თეთრი ლაქა" ამოვავსე. 1995 წელს, როცა ბ-მა თენგიზ მდივანმა დავით გურამიშვილის უამღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში ლექციების კურსი მომცა, მას ჩემი წიგნი ვაჩუქე. ცოტა ხნის შემდეგ, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მითხრა: „ვახტანგ, შენი წიგნის წაკითხვისას მთელი ღამე გავათენეო". დაბოლოს, პროფ. ჯუმბერ ოდიშელმა ხუმრობით არაერთხელ მითხრა: „ვახტანგ, შენ მგონი ვახტანგ გორგასლის ტელეფონის ნომერიც იციო".

წელს ისტორიის ინსტიტუტში ბატონი მამია დუმბაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზეც გავიხსენე). ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი. ბოლოს, ჩემი მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან 8 წლის გასვლის შემდეგ, 1999 წელს, „ანალებში“ (№2) გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი რეცენზია - „ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის შესახებ“ (ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991).

დაკვირვებული მკითხველი ამ რეცენზიის სათაურიდანაც კარგად შეიტყობს, რეცენზიაში მხოლოდ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორის ჯუანშერის პიროვნებისა და მოღვაწეობის დროსთან დაკავშირებულ პრობლემებზე რომ არის საუბარი. ჩემ მონოგრაფიაში ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორისა და მისი ზეობის დათარიღების გარდა, ბევრი სხვა საკითხიცაა გაანალიზებული. მათზე ბ-მა ანრიმ არაფერი თქვა. როგორც ჩანს, მონოგრაფიის სუსტ მხარედ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორთან - ჯუანშერთან დაკავშირებული საკითხი მიიჩნია.

ბ. ანრის განცხადებით, „ამ ბოლო წლებში ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე ინტენსიურად მომუშავე ვ. გოილაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“. ავტორს მიზნად დაუსახავს ამ ნაშრომით დაამტკიცოს, რომ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ „ძირითადი ბირთვი დაწერილია V ს-ში ვახტანგის სპასპეტის ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ“. ამის შემდეგ ა. ბოგვერაძე მკითხველს აცნობს: ამ მხრივ, ვ. გოილაძეს ახალი არაფერი უთქვამს, „ვ. გოილაძემ ააღორძინა თ. ჟორდანიას მიერ ვახტანგის „ცხოვრების“ შესახებ თავის დროზე გამოთქმული აზრი, რომ მისი დამწერი „თანამედროვე უნდა იყოს და თვითმხილველი მოთხრობილისა“. ავტორის ვინაობის საკითხში კი ის იცავს და ანვითარებს თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებას, რომლის თანახმად, ვახტანგ გორგასლის სპასპეტი ჯუანშერი იყო მისი „ცხოვრების აღმწერი“[72].

---

[72] ბოგვერაძე ა., ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის შესახებ „ანალები“, 1999 №2, გვ. 83.

ზემომოტანილი ამონარიდის გაცნობის შემდეგ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ერთია რაიმე საკითხზე აზრის გამოთქმა და მეორე – მასზე 215-გვერდიანი მონოგრაფიის მიძღვნა. რეცენზიის დასასრულს ა. ბოგვერაძე ასკვნის: „ჯუანშერ ჯუანშერიანის V ს-ში გადატანა და მისი გაიგივება ჯუანშერ სპასპეტთან, ხოლო მერე ამ უკანასკნელის ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორად გამოცხადება, წარმოუდგენელია სრულად... XI ს-ის მემატიანის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ მხოლოდ იმაზე შეიძლება ლაპარაკი, რაა მასში საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, რადგან თვითმხილველი თანამედროვის აღწერილი ამ თხზულებაში არაფერია, არა თუ მისი „ძირითადი ბირთვი“[73].

ამ დასკვნიდან კარგად ჩანს, ა. ბოგვერაძემ რატომ არ მიაქცია ყურადღება ჩემს მონოგრაფიაში გაანალიზებულ სხვა საკითხებს. ვახტანგ მეფის „ცხოვრების“ ავტორი აკად. ივ. ჯავახიშვილიდან მომდინარე ტრადიციით, მას XI ს-ში მოღვაწე პირად მიაჩნია. ვახტანგის მოღვაწეობიდან 5 საუკუნის გასვლის შემდეგ დაწერილი თხზულება, მართლაც, არარეალური ცნობების შემცველი იქნებოდა, მაგრამ, ძვირფასო მკითხველო! ჯერ ერთი XI ს-ში ისტორიკოსი ჯუანშერის სახელით არ არსებობდა. თუნდაც მისი არსებობა რომ დავუშვათ, ვახტანგ მეფის შესახებ V ს-ში – ვახტანგის თანამედროვის (როგორც ამას ჯერ კიდევ თ. ჟორდანია წერდა) მიერ შესრულებული თხრობა რომ არ ყოფილიყო, XI ს-ის ავტორი როგორ შეძლებდა ისეთი თხზულება შეექმნა, როგორადაც დღეს ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ წარმოგვიდგება?[74].

აღნიშნულთან ერთად, ამ ძნელად წასაკითხ რეცენზიაში (რომელშიც წინადადება 7-ჯერ იწყება „მაგრამ“-ით და მასში განხილულ საკითხებში გარკვევა მეც მიჭირს) მარტო ის ფაქტი, რომ ე. წ. „არჩილის რეფორმებზე“ საუბრისას, მის სიძედ

---

[73] ბოგვერაძე ა., ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის შესახებ „ანალები“, 1999 №2, გვ. 90.

[74] იხ. ჩემს მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“, V-XII თავები.

მოხსენიებული 7 პირიდან სამი ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ერისთავებია დასახელებული[75], განა ა. ბოგვერაძის მტკიცებებს, არჩილის მიერ გატარებული რეფორმები ისტორიულ რეალობად მიიჩნიოს, საეჭვოს არ ხდის?

აქვე უნდა აღვნიშნო: თხრობა არჩილის რეფორმებზე ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" იმ ნაწილშია, რომელსაც მე ჯუანშერის თხზულებად არ ვთვლი (იხ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, გვ. 9). რეფორმებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც: სტეფანოზ II ფარნავაზიანის ძეების – მირისა და არჩილის შესახებ წყაროთა ანალიზის შედეგად აშკარად ჩანს: ქართლიდან ეგრისში ლტოლვილი სტეფანოზ II-ის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძეებმა მამის ნეშტი რომ მცხეთაში ვერ გადმოასვენეს[76], ხოლო ანაკოფიასთან ბრძოლაში დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ მისმა უმცროსმა ძმამ, არჩილმა, ქართლში დაბრუნება 12 წლის შემდეგ – 731 წელს, მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, როცა, ეგრისში იმპერატორ ლეონ III-საგან ნაბოძები ტერიტორია („კლისურიდან აღმართ ვიდრე შორაპნადმდე") სტეფანოზ III ბაგრატიონს კახეთში გაუცვალა[77]. ასეთ პირობებში არჩილს როგორ შეეძლო ქართლის საერისმთავროს ტერიტორიის ნახევარი მირის სიძეებისთვის დაერიგებინა?[78]

მოხსენიებულ და სხვა გარემოებათა გამო არჩილის რეფორმების ისტორიული რეალურობა მე საეჭვოდ მივიჩნიე.

---

[75] იხ. ჩემს მონოგრაფიაში „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი", V-XII თავები, გვ. 47-49.

[76] ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ. 241.

[77] გოილაძე ვ., რატომ გადავიდა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ოჯახით ეგრისში? იეიშ„ IX , თბ., 2008, გვ. 85. ამ ტერიტორიული გაცვლის შემდეგ სტეფანოზ III ბაგრატიონი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლად" იწოდა. აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 36.

[78] მირის მხოლოდ მეშვიდე ქალიშვილად დასახელებული გურანდუხტი და მისი მეუღლე ლეონ აფხაზთა ერისთავია რეალური პიროვნებები. იხ. გოილაძე ვ., „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი", გვ. 49.

ა. ბოგვერაძის მოწადინება, 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში წარმოდგენილი ჩემი მტკიცებები უარეყო, დასახელებული რეცენზიით არ დასრულებულა. 2001 წელს ისევ „ანალებში" (№2) გამოქვეყნებულ წერილში იგი მკითხველს დასაწყისშივე მოძღვრავს: რეცენზიაში წამოჭრილ „საკითხებზე უკანასკნელი ათწლეულის ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი დაუსაბუთებელი და მიუღებელი აზრი გამოითქვა. კარგა ხანს მათ შესახებ ჩემი დამოკიდებულების გამოთქმისაგან თავს ვიკავებდი, მაგრამ რადგან ბოლო ხანებში ამ მოსაზრებებმა შემდგომი გავრცელება ჰპოვეს, დუმილი გაუმართლებლად მივიჩნიეო"[79].

ქვემოთ ვნახოთ, როგორ გადაარჩენს ა. ბოგვერაძე ქართული ისტორიოგრაფიის ამ პრობლემას.

ამჯერად რა არ მოსწონს ა. ბოგვერაძეს ჩემს მონოგრაფიაში, რის გამო დაარღვია დუმილი?

ეს ვახტანგ გორგასლის ზეობის თარიღებს არ ეხება, მაგრამ მკითხველს მოკლედ მაინც მოვახსენებ. ბ-ნ ანრის არ მოსწონს, რომ VI ს-ის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ იმ თვალსაზრისს ვუარვყოფ, რომლის თანახმად, დაახლ. 523 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყებული გურგენი ქართლის მეფე იყო (ამ საკითხზე ზემოთ ვისაუბრე, II თავში).

ა. ბოგვერაძე ჯერ პროკოპიოსის ცნობას აანალიზებს, შემდეგ კითხვას სვამს: „როგორ დგას ეს საკითხი 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაშიო"? და წერს: „1991 წელს ვ. გოილაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ გურგენი მთელი ქართლის მეფე კი არ იყო, არამედ ერისმთავარი ეგრისის მოსაზღვრე დასავლეთი ქართლისა, რომლის ტერიტორია ტაშისკარიდან და ფარავნიდან შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. ეს მიწა-წყალი, მისი აზრით, ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და გურგენისადმი წაყენებული მოთხოვნა ცეცხლთაყვანისმცემ-

[79] ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები, გვ. 70.

ლობაზე გადასვლის შესახებ, კავადისათვის მხოლოდ საბაბი უნდა ყოფილიყო, რათა გურგენის კუთვნილ ქართლში ბიზანტიელთა გავლენა მოესპო და მას თვით დაპატრონებოდა, რაც მოახერხა კიდეც"[80]. „ვ. გოილაძის თვალსაზრისით, – განაგრძობს ა. ბოგვერაძე, – გურგენის აჯანყების დროისათვის ქართლის სამეფო ტახტზე დაჩის შვილიშვილი ფარსმან I ბაკურის ძე იჯდა", რომლის შემდეგ „ქართლის ტახტი მისმა ძმისწულმა ფარსმან II-მ დაიკავა" და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ზამანარაძე იგივე ფარსმან I-ია (უნდა ეთქვა ფარსმან II, ვ.გ.)[81].

ჩემი მტკიცება იმის შესახებ, რომ „დასავლეთი ქართლისაჲს" მფლობელი გურგენი ვახტანგ გორგასლის უშუალო შთამომავალი (მისი მეორე მეუღლის დედოფალ ელენესაგან) უნდა ყოფილიყო და ოჯახის წევრებთან ერთად ქართლიდან მისი გაქცევის შემდეგ, თვით ქართლში მეფობა გრძელდებოდა (ტახტზე დაჩი ვახტანგის ძის შთამომავლები ისხდნენ), პროკოპიოსის ცნობასთან ერთად, ძველი ქართული წყაროს (ჯუანშერის თხზულების გაგრძელება) მონაცემებს ემყარება. რაც შეეხება, ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად ჩემ მიერ შემოთავაზებულ 537 წელს, ის საისტორიო წყაროთა მონაცემების სათანადო ანალიზის შედეგადაა მიღებული. აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ევსტათი მცხეთელის „მარტვილობის" ცნობიდან გამომდინარე, 541 წლისთავის ქართლში სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობდა[82].

ქართლში მეფობის გაუქმების ჩემეული თარიღის მცდარობის დასასაბუთებლად ა. ბოგვერაძე ცდილობს, უარყოს ბიზანტიელ ავტორებთან (იოანე მალალა VI ს., თეოფანე ჟამთა-

---

[80] ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები, გვ. 72.

[81] იქვე.

[82] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზ. ტ. 1, თბ., 1979, გვ. 285, 319-320. თბილისის ისტორიაში არსებული მითითებით, „ანგარიშგასაწევია ვ. გოილაძის მოსაზრება", რომ VI ს-ის 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში სამეფო ხელისუფლება არსებობდა. იხ. ტ. I, თბ., 1990, გვ. 53, შენ. 30.

აღმწერელი, გარდ. 818 წ.) ქართლის მეფედ დასახელებული ძამანარძოსის (ზამანარძოსი) ქართული წყაროს ფარსმან II-სთან გაიგივება და დაჩი მეფის შთამომავლთა ქართლში მეფობა. „IV ს-ის შუა ხანებში, – წერს ა. ბოგევრაძე, – ქართლში ირანელთა შემოსვლის გამო მეფე ვარაზ-ბაკური „ხიდარად უკუჯდა", რის გამოც მას „ვარაზ-ბაკურ ხიდარელი შეარქვეს". თუ ეს ასე იყო სინამდვილეში, მაშინ მეფობა სამეფო სახლის სხვა შტოში გადასულა[83] და ის მეფეები (ვახტანგის შთამომავლები), ჩვენი წყაროები რომ ასახელებენ, მთლიანად კახეთში ან მის ერთ ნაწილში (როგორც ჩანს, აქ მხედველობაში აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკაში დაჩი მეფის „უჟარმელად" მოხსენიება. ვ.გ.) მთავრობდნენ. მოკლედ, ქართლის ამ მეფეების ვინაობისა და ხელისუფლების საკითხი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული[84], – ასკვნის ა. ბოგვერაძე.

---

[83] ა. ბოგვერაძის ამ მსჯელობაში პირველად გაჩნდა მინიშნება ვახტანგ გორგასალი თითქოს ფარნავაზიანთა „სამეფო სახლის" რაღაც „სხვა შტოს" წარმომადგენელი იყო. ამ თვალსაზრისმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მ. ჩხარტიშვილის ნაშრომში ახალი რეალობა შეიძინა.

[84] ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს..., გვ 71. ასეთი მსჯელობისას ბ. ანრის დაავიწყდა 1977 წელს გამოცმეულ ქსე-ს მეორე ტომში (გვ. 161) დაჩი მეფის შთამომავლები: ბაკურ IV-ისა და ბაკურ V-ის ათვლით ქართლის მეფეებად რომ გამოაცხადა. გურგენი რომ ქართლის მეფე იყო, ეს მტკიცება აკად. ივ. ჯავახიშვილიდან მოდის (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 283-284). ბატონი ივანე, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებს არ ენდობოდა, უპირატესობას უცხოენოვან წყაროთა ცნობებს ანიჭებდა. ამ ფონის გაუთვალისწინებლად ა. ბოგვერაძისათვის მხარდაჭერა განიზრახა 2003 წელს ეგრისის მეფის – გუბაზ II -ისადმი მიძღვნილ ნაშრომში ჩვენი განყოფილების წევრმა, ჩემმა ყოფილმა თანაკურსელმა პროფ. ჯ. სტეფნაძემ. იგი წერს: 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ვ. გოილაძე შეეცადა, დაემტკიცებინა, გურგენი ქართლის მეფე კი არა, ეგრისის მეზობლად მდებარე ქართლის რაღაც ნაწილის გამგებელი უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვგონია, საკითხის ასე დასმა გამართლებული არ უნდა იყოს. პროკოპი კესარიელის ცნობაში იმდენი დეტალია, რაც გურგენის ქართლის მეფობაზე მიუთითებს, რომ საეჭვო აღარაფერი რჩება,...ის კი მართლაც საკითხავია: რომელი ქართლის მეფე იყო გურგენი? (იხ. მისი, ეგრისის (ლაზეთის) მეფე

მას შემდეგ, რაც ა. ბოგვერაძემ ქართლის მეფეების – ვახტანგ მეფის უშუალო შთამომავლების – ვინაობა, წარმომავლობა, მათი ქართლში მეფობა „ბურუსით მოცულად“ მიიჩნია და ისინი უჯარმელ „მთავრებად“ გამოაცხადა, თითქოს დაადასტურა, პროკოპიოს კესარიელი რომ არ ცდებოდა და გურგენი ნამდვილად ქართლის მეფე იყო. ეს „მიკვლევა“ შემდეგი მსჯელობით გაამყარა. მისი მტკიცებით, „ზამანარძოსის შესახებ ბიზანტიურ წყაროებში არსებული ცნობა ძალზედ დიდ ეჭვს იწვევს“. „ზამანარძოსის ჩასვლა კონსტანტინოპოლში მეუღლითა და დარბაისლებით იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ძალზე საეჭვოა“. „ამ სახელის მეფეს ქართული წყაროები არათუ იმ დროისათვის, საერთოდ არ იცნობენ... ეს სახელი უცნობია ქართულ-კავკასიური სამყაროსთვის“[85]. „როცა გურგენ მეფის მემკვიდრეები სისხლს ღვრიდნენ სპარსელების წინააღმდეგ[86], ცხადია, სამეფო ტახ-

---

გუბაზ II. თბ., 2003, გვ. 68, შენიშვნა). ჯერ ერთი უცნაურად გამოიყურება გუბაზ II-სადმი მიძღვნილ წიგნში გურგენის აჯანყებაზე საუბარი. რაც მთავარია, ჯ. სტეფნაძის მიერ ჩატარებული კვლევა იმის დასამტკიცებლად, მე რომ ვცდები და ბოლოს კითხვის დასმა: „მართლაც საკითხავია, რომელი ქართლის მეფე იყო გურგენი“-ო, ალბათ, მკითხველსაც გააკვირვებს. იმავე თავში ჯ. სტეფნაძე გურგენის საკითხს ძამანაძოსის ვინაობის გარკვევასთან დაკავშირებით კვლავ შეეხო (დასახ. ნაშრომი, გვ. 72-78) და ამჯერად უყოყმანოდ დაასკვნა: „ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მივიჩნევთ მეფე გურგენს „აღმოსავლეთ ქართლის“ მბრძანებლად“-ო (იქვე, გვ. 76-77). ჯ. სტეფნაძემ „აღმოსავლეთ ქართლი“ წყაროში ნახსენები „დასავლეთი ქართლისაგან“ საპირისპიროდ შემოიტანა. მკითხველისათვის რომ ნათელი იყოს, მასში ქართლის სამეფოს (მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გარდა) გულისხმობს.

[85] ბოგვერაძე ა., VI საუკუნის ქართლის სამეფოს, გვ. 71.

[86] გურგენის ოჯახის წევრები მნიშვნელოვან სამხედრო თანამდებობებზე იყვნენ ბიზანტიის იმპერიაში. პერანი ჯერ ოსტგუთების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა, 543 წლიდან იბრძოდა აღმოსავლეთში. 544 წელს ქ. ედესასთან ნადირობისას ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა. პერანის ძე ბაკური 552-554 წლებში ებრძოდა იტალიაში ოსტგუთთა მეფეს ტოტილას. პერანის ძმისწული ფაზა 542 წლიდან იბრძოდა ნეაპოლთან. 547 წელს ცნობილ ბიზანტიელ სარდალთან, ველისარიუსთან ერთად ცხენოსანთა რაზმს სარდლობდა

ტზე დაბრუნების იმედით, რა პირით და რისი იმედით მიდის ეს ზამანარძი კონსტანტინოპოლში, თუ ის ქართლის მეფეა და შაჰის მიერ გურგენის მეტოქედ დასმული, იმპერატორთან სამეგობროდ და სამოკავშირეოდ?“[87].

ამის შემდეგ ა. ბოგვერაძე ასეთ აზრს გვთავაზობს: კონსტანტინოპოლში ჩასული ზამანარძოსი იუსტინიანე პირველისგან დახმარებას კი არა, მოკავშირეობას ითხოვდა და ასეთი მოთხოვნა ქართლისთანა პატარა სახელმწიფოსთვის შეუფერებელია[88]. ბიზანტიელი ავტორი ზამანარძოსს „დიდი და დამოუკიდებელი ქვეყნების მეფეებს შორის ასახელებს“. იმხანად იუსტინიანე I „ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალებთან ომს აწარმოებდა“, „შემდეგ გეგმაში ჰქონდა ოსტგოთებისა და ვესტგოთების სახელმწიფოების დაპყრობა“. ყველა „ამ ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის (ე.ი. ძამანარძოსი – ვ.გ.) იყო პირენეის იბერიის მეფე“. „მალალასა და თეოფანეს ცნობებს მე სხვა ახსნას ვერ ვუძებნი და ამიტომ პროკოპისა-ს ვაძლევ უპირატესობას“.[89]

ქ. ტარენტოსთან ბრძოლაში და გაიმარჯვეს. ამ გამარჯვების შემდეგ ბიზანტიელები დაიქსაქსნენ. გუთებმა ფაზას რაზმზე ცალკე მიიტანეს იერიში. ფაზა (ასევე მთელი მისი რაზმი) ამ შეტაკებისას დაიღუპა. ასე რომ, გურგენის შთამომავლები ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებისათვის იბრძოდნენ, რადგან მათ ქართლში დაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდათ.

[87] ბოგვერაძე ა., დასახ.ნაშრომი, გვ. 76, შენ. 7.

[88] იქვე. რატომღაც ა. ბოგვერაძეს ავიწყდება, რომ ძვ.წ. 65 წელს ქართლში ლაშქრობის შემდეგ რომაელმა სარდალმა პომპეუსმა ქართლის მეფე არტაგი რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გამოაცხადა (იხ. მელიქიშვილი გ., რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში. სინ I, გვ. 505). ფაქტობრივად, ეს ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის დადებული ხელშეკრულება იყო. რომაელი ავტორის დიონ კასიუსის თქმით, იმპერატორი ანტონიუსი დიდად ამაყობდა იბერებთან და ალბანელებთან კავშირის შეკვრით (იქვე, გვ. 508-509).

[89] იქვე, გვ. 71-72. ფარსმან II-ის (ძამანარძოსის) „პირენეის იბერიის მეფედ“ მიჩნევა ა. ბოგვერაძის ისეთივე „დიდი“ მიკვლევაა, როგორც მის მიერ ქართლის ერისმთავრად ვარსამუსეს დასმა. იხ. გოილაძე ვ., ქართლის ერისმთავრები სტეფანოზ I და ადარნასე, გვ. 32 და შემდეგი.

ამ მსჯელობის შემდეგ ა. ბოგვერაძე დასძენს: ვ. გოილაძის მთელი „შეხედულების საფუძველი იმდროის ბიზანტიური და გვიანდელი ქართული წყაროების ვითომდა შესაძლებელ შევსება-შეთანხმებაზეა დამყარებული". „პროკოპის... აღწერილობიდან ცხადია, რომ იბერია ერთი, მთლიანი ქვეყანაა ერთი მეფით სათავეში, რომელიც მისი სამხრეთ-დასავლეთი პროვინციებითურთ ირანის მორჩილებაშია". ერთი სიტყვით, – ასკვნის ა. ბოგვერაძე, – გურგენ მეფის ქვეყნისა და მისი ხელისუფლების" ვ. გოილაძისეული განმარტება მოკლებულია დამაჯერებლობას"[90]. „მაგრამ ეს ხელს არ უშლის მ. სანაძეს ვ. გოილაძის თვალსაზრისი სახელმძღვანელოდ მიეღო. მ. სანაძე წერს: ვ. გოილაძემ „ქართული და ბიზანტიური წყაროების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებლად წარმოაჩინა გურგენის ვინაობა და წარმომავლობა. ვიზიარებთ რა ვ. გოილაძის თვალსაზრისს გურგენის ვინაობისა და წარმომავლობის შესახებ, ჩვენი მხრივ, გვინდა შევამაგროთ მთელი რიგი არგუმენტებით"[91].

ქ-ნ მ. სანაძის ასეთი თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, ა. ბოგვერაძისათვს მიუღებელი იყო, ამიტომ გარკვეული მსჯელობის შემდეგ ისევ დაასკვნა: „როგორც ვხედავთ, ვ. გოილაძისა და მ. სანაძის მოსაზრებებს (მისი დამატებითი არგუმენტებით) საფუძველი არ გააჩნია"[92]. ამის შემდეგ ბ. ანრი გვეკამათება „უმეფობის დადგომისა და მისი ხანგრძლივობის" საკითხზე და გვმოძღვრავს ქართლში მარზპანის ინსტიტუტის არსებობის შესახებ ზემომოტანილი განმარტებით (იხ. ზემოთ შენ.69).

ამით ვასრულებ ა. ბოგვერაძის „კრიტიკული მიმოხილვის" იმ ნაწილს, რომელიც მე და ქ-ნ მანანა სანაძეს ეხება. „მიმოხილვის" შემდეგ ნაწილში (გვ. 74-75) პროფ. მ. ჩხარტიშვილს

---

[90] ბოგვერაძე ა., დასახ.ნაშრომი, გვ. გვ. 72.

[91] იქვე.

[92] იქვე, გვ. 73. გურგენის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის საკითხში შემდეგში მ. სანაძემ თვალსაზრისი შეიცვალა. იხ. მისი, ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, გვ. 378-381.

გურგენის მეფობის საკითხთან დაკავშირებით ეკამათება. მას მ. ჩხარტიშვილმა 2005 წელს სპეციალურად ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ასეთი პასუხი გასცა (მომყავს ამონარიდი ბოლოთქმიდან):

„ფრიად გავრცელებული შეხედულებით", 523 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყებული პიროვნების სახელი „გურგენი საკუთარ სახელად მიიჩნეოდა", მაგრამ ირკვევა, რომ გურგენი ამ შემთხვევაში საზოგადო სახელია და არაქართულ სამყაროში ქართველი მეფის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენს". „აჯანყებული მეფის (ე. ი . გურგენის. ვ.გ.) სახელის გაიგივება უნდა მოხდეს ან ბაკურ დაჩის ძესთან ან მისი მომდევნო მეფე ფარსმანთან". აღნიშნულიდან გამომდინარე, „ქართლში მეფის ხელისუფლება არ შეწყვეტილა", „მეფობის შეწყვეტა უკავშირდება 571 წლის ანტიირანულ აჯანყებას... წინამძღოლი ამ აჯანყებისა იყო გურგენი (ე.ი. ქართლის მეფე)". გურგენი „ამ შემთხვევაში იმ ბაკურს მიემართება, რომელზეც ქართული წყაროს მიხედვით, ქართლში მეფობა შეწყდა". „ამ მოვლენას დაახლოებით VI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ ქართლში ირანის უშუალო გამგებლობა დამყარდა. უზენაესი საერო ხელისუფალი შაჰის დიდმოხელე მარზპანი გახდა".[93]

სხვადასხვა ფაქტით გამყარებული ა. ბოგვერაძის, ჯ. სტეფნაძისა (იხ. შენ. 84) და მ. ჩხარტიშვილის მსჯელობიდან ზემომოტანილი თხრობა ძველი ქართული წყაროების (ჯუანშერის თხზულების გაგრძელება, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკა) იმ ცნობების უარსაყოფად რომ არ გამოდგება, რომლებშიც „დაჩი უჯარმელის" შთამომავალ ქართლის მეფეებზეა მითითებები, ამაზე, ალბათ, მკითხველიც დამეთანხმება. დაჩი მეფის ოთხი შთამომავალი რატომ უნდა ამოვშალოთ საქართველოს ისტორიიდან და მათი ღვაწლი უგულვებელვყოთ? პროკოპიოს კესარიელის მიერ ქართლის მეფედ დასახელე-

[93] ჩხარტიშვილი მ., „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" და VI-VIII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნარკვევი, თბ., 2005, გვ. 136-137.

ბულ გურგენს თუ „დასავლეთი ქართლისაჲს“ გამგებლად მივიჩნევთ, ამით საქართველოს ისტორიას არაფერი აკლდება, პირიქით, ძველი ქართული წყაროს ცნობათა რეალურობა დასტურდება.

ვახტანგ გორგასლის ზეობის დათარიღების საკითხზე 1999 წელს გამოსული ა. ბოგვერაძის კრიტიკული წერილის შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო 2003 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის იმდროინდელი დირექტორის, აკად. დ. მუსხელიშვილის მონოგრაფიის – „საქართველო IV-VIII საუკუნეებში“ გამოქვეყნება. მასში, როგორც ზემოთ შევნიშნე (შენ. 62), ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 499-502 წლებს შორის პერიოდია მითითებული.

დ. მუსხელიშვილმა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად იგივე წლები მიუთითა 2012 წელს საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის მეორე ტომში[94], თუმცა, 2014 წელს, ენციკლოპედია საქართველოს მესამე ტომში მოთავსებულ სტატიაში – „ვახტანგ გორგასალი“ – წერს: ვახტანგ გორგასალი V ს-ის მეორე ნახევარში მეფობდაო[95].

ვფიქრობ, ჩემს მონოგრაფიაზე ა. ბოგვერაძის კრიტიკული გამოხმაურების შემდეგ, აკად. მარიამ ლორთქიფანიძისა და აკად. დ. მუსხელიშვილის ზემომოტანილი თვალსაზრისი არაერთი ისტორიკოსისათვის, უპირველესად, იმ პირთათვის, რომლებიც საქართველოს ისტორიის სალექციო კურსებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს ადგენდნენ (იხ. ქვემოთ გ. გაფრინდაშვილის წიგნზე ჩემი შეხედულება), საკმარისი აღ-

---

[94] საქართველოს ისტორია, თბ., 2012, გვ. 70. თხრობაში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღზე მსჯელობისას ბ-ნი დავითის მიერ იეშუ სტილიტის ცნობის უარყოფა (ამ ცნობით, კავადმა ბიზანტიის იმპერატორის ზენონის გარდაცვალების (491 წლის 9 აპრილი) და საიმპერატორო ტახტზე ანასტასიოსის ასვლისთანავე დაიწყო ომი) და უსახელოდ დასახელებული იმპერატორის გარდაცვალების დროდ 491 წლის დეკემბრის მითითება (იქვე), უცნაურად მეჩვენება.

[95] მუსხელიშვილი დ., ვახტანგ I გორგასალი, საქართველო. ენციკლოპედია. ტ. 3, თბ., 2014, გვ. 222.

მოჩნდა, უარეყოთ ჩემი მიკვლევები, ჩვენი გამოჩენილი მეფის – ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობისათვის ზღაპრული ელფერი მიეცათ. ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღნიშნულით არ დაკმაყოფილებულა, თურმე, ვახტანგ მეფე ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი არ იყო (გავიხსენოთ ა. ბოგვერაძის თვალსაზრისი. იხ. შენ. 83).

თავი VII. ახალი თვალსაზრისი ვახტანგ გორგასლის წარმომავლობაზე. იყო მირიან მეფე ირანელი უფლისწული?

ვახტანგ გორგასლის წარმომავლობა

ამ ბოლო ხანს აღმოჩნდა, თურმე მ. ჩხარტიშვილი ვახტანგ გორგასალს მის მიერ წარმომავლობით სასანიანად მიჩნეული მირიან მეფის შთამომომავლადაც აღარ თვლის. მისი მტკიცებით, „ბაგრატიონების წინამორბედი ხოსროვანების დინასტია როცა ორად გაიყო, ერთი იყო „დაბადებით ანუ წარმომავლობით ხოსროვანები", რომელთა მეფობა შეწყდა მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში: „უკანასკნელი ხოსროვანი მეფე ქართლის ტახტზე იყო მირიანის შვილიშვილი არჩილ რევის ძე. თავად არჩილი, – დასძენს მ. ჩხარტიშვილი, – უშვილო გახლდათ, მიუხედავად ამისა, მან ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს, კერძოდ, ხიდარელების წარმომადგენლის, ვარაზ-ბაკურის ძის მირდატის შვილად აყვანის გზით, გააგრძელა ქართლის ტახტზე ხოსროვანთა დინასტიის ხაზი. მირდატი, რომელიც მეფობდა ხოსროვანთა სახელით, იყო საქართველოს დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მამა". ამგვარად, ასკვნის მ. ჩხარტიშვილი, მირდატი „მამამისის (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, პაპამისის ანუ ვარაზ-ბაკურის) მიერ სამეფო ოჯახთან გაფორმებული სოციალური კონტრაქტის გზით გახდა ხოსროვანი". „ხოსროვანების მიერ ხიდარელი მირდატის შვილების ფაქტს მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი. შვილობილთა ანუ ხოსროვანების სახელით ხელისუფლებაში მოსულ ხიდარელთა ზეობა გაგრძელდა VI საუკუნის მეორე ნახევრამდე... ვიდრე მეფობა არ შეწყდა ქართლში".

ამის შემდეგ მ. ჩხარტიშვილი კვლავ დასძენს: „პირადად V ს-ის მეორე ნახევარში და VI საუკუნეში ხოსროვანთა სახელით მოღვაწე ქართლის მეფეები არ მიმაჩნია ნამდვილ ანუ წარმოშობით ხოსროვანებად. არც მეფობის გაუქმების შემდეგ დროინდელი ქართლის... ერისმთავართა ხოსროვანობის შესახებ ცნობას ვთვლი სარწმუნოდ. ხოსროვანთა დინასტია ეს ის ქართული სამეფო დინასტიაა, რომელიც ასოცირდება ირანის სამეფო სახლთან, კერძოდ, სასანიანთა დინასტიასთან“[96].

ამრიგად, მ. ჩხარტიშვილის მტკიცებით, მხოლოდ „ხოსროვანები“ იყვნენ მირიან მეფის უშუალო შთამომავლები და ეს დინასტია „ასოცირდება სასანიანთა დინასტიასთან“. რაც შეეხება V ს-ის მეორე ნახევარსა და VI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მეფეებს, წარმომავლობით ისინი ვინ იყვნენ, ამის შესახებ მ. ჩხარტიშვილის აზრი მეც ვერ გავიგე. მირიან მეფის შთამომავლებისადმი მ. ჩხარტიშვილის ასეთი მიდგომა იმის მცდელობა ხომ არაა, ხიდარელებად სახელდებული მეფეების (მის მიერ ირანელ უფლისწულად მიჩნეული) მირიანიდან წარმომავლობა უარყოს?

როგორც ვხედავთ, ამ ბოლო ხანამდე თუ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის წარმომავლობით ირანელად მიჩნევის გამო, ქართლის (და არა საქართველოს) გამოჩენილი მეფის ვახტანგ გორგასლის ფარნავაზიანთა სამეფო სახლისადმი კუთვნილება იყო უარყოფილი, ახლა აღმოჩნდა (თუ მ. ჩხარტიშვილს დავუჯერებთ), იგი მირიანის შთამომავალი კი არ იყო, ხიდარელთა „ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს“ განეკუთვნებოდა.

---

[96] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 9-10. მოყვანილ ამონარიდში ბევრი უზუსტობაა. I. უშვილო არჩილ რევიანს შვილად არავინ არ აუყვანია. II. ვახტანგ გორგასლის მამა მირდატი იყო არჩილ ბაქარიანის ძე. ამ არჩილის პაპა იყო ვარაზ ბაკური. III. ვარაზ-ბაკურს არჩილ რევიანთან არავითარი „სოციალური კონტრაქტი“ არ გაუფორმებია. ვარაზ-ბაკური ხიდარელთა „ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი კი არა, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ნევრი - მირიან მეფის შვილიშვილის - მირდატის ძე იყო. IV. მეფობა ქართლში 540 წლის წინა ხანებში გაუქმდა და არა VI საუკუნის მეორე ნახევარში.

ძვირფასო მკითხველო! გჯერათ IV-V ს-ების ქართლში – არაგვის ხეობაში ასეთი ძლიერი, თანაც ფეოდალური საგვარეულოს არსებობა? ან ბოგვერაძის მინიშნება ვახტანგ მეფე რომ ფარნავაზიანთა სამეფო სახლის რაღაც „სხვა შტოს" განეკუთვნებოდა?

ახლა მირიან მეფის წარმომავლობის საკითხს გავეცნოთ. XXI საუკუნეში მოღვაწე ქართველი მკვლევრები ქართველთა მიერ ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ – ქართლის პირველ ქრისტიან მეფე მირიანს, რომ ირანელ უფლისწულად, ხოლო მის შთამომავლებს სასანიანებად (მ. ჩხარტიშვილი მირიანის შთამომავლად ქართლის მეფეთა მხოლოდ რაღაც ნაწილს მიიჩნევს) თვლიან, ქართული ისტორიოგრაფიის ანომალიად მეჩვენება. რუს მოხელეს ა. გოლოვინს 1865 წელს ხელთ რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკის ცნობა (მირიანის მამა, რომ ლევი/რევი იყო) ჰქონოდა, „მეფეთა ცხოვრებაში" ლეონტი მროველის ჩანასწორებს, ალბათ, უკრიტიკოდ არ გაიმეორებდა (იხ. ქვემოთ, შენ. 102). დღეს, როცა „ქრონიკის" ცნობაც გვაქვს და ლეონტის ჩანასწორების მეცნიერული ახსნაც, დაჟინებით იმის მტკიცება, რომ მირიანი ირანელი უფლისწული იყო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ მეფე მირიანსა და ათასწლოვან ფარანავაზიანთა სამეფო დინასტიას აკნინებს.

მირიან მეფის წარმომავლობა

ქვემოთ კიდევ ერთხელ გადავხედოთ მეფე მირიანის წარმომავლობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას.

ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის „დიდი და სახელოვანი" წინაპრის გამონახვით დაინტერესებულმა ლეონტი მროველმა (XI ს.), როგორც ცნობილია, „მეფეთა ცხოვრების" ტექსტში შეიტანა ჩასწორება და მირიანი დედით ირანში ცნობილ მიჰრანთა გვარის მხევალი ქალის მიერ ნაშობ სასანიან უფლისწულად გამოაცხადა. ლეონტის ამ ჩანასწორების

მცდარობაზე ცნობილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ (გარდ. 1890 წ.) ჯერ კიდევ 1889 წელს მიუთითა (იხ. ქვემოთ, შენ. 161). ეს იყო პასუხი რუსეთის ეკლესიის ცნობილი მკვლევრის ვ. ბოლოტოვის იმ მტკიცებაზე, რომელიც მან სტუდენტ გ. გამრეკელის ნაშრომზე დაწერა. ამ რეცენზიაში, როგორც ითქვა, ვ. ბოლოტოვმა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების“ ცნობაზე დაყრდნობით ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი კი არა, დიდი ბაკური მიიჩნია.

ვ. ბოლოტოვი ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი იყო იმ შოვინისტი რუსი ისტორიკოსებიდან, რომლებიც „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანეების, როგორც საისტორიო წყაროთა მნიშვნელობას უარყოფდნენ. როცა ვ. ბოლოტოვი რეცენზიას წერდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა უკვე სამეცნიერო ბრუნვაში იყო (მას ვ. ბოლოტოვიც იყენებს. იხ. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი., გვ. 18-19), მაგრამ მან ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის წარმომავლობის საკითხში „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა გაიზიარა და მირიანი ირანელ უფლისწულად გამოაცხადა. ძველი ქართული წყაროებისადმი ვ. ბოლოტოვის ასეთი მიდგომა ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ 1905 წელს გამოცემულ ნაშრომში გააკრიტიკა. მისი თქმით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უმთავრესად საეკლესიო მატიანეა და იგი უფრო სისწორით უნდა გვიხატავდეს ჩვენი მეფეების გენეალოგიას, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ „უძველესი თხზულებანი“ (მხედველობაში აქვს „მეფეთა ცხოვრება“. ვ.გ.). „თუ ჩვენი მოსაზრება შესაწყნარებელია, გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ პატივცემულის ვ.ვ. ბოლოტოვის მიერ აღნიშნული საბუთი მირიანის სპარსელობისა (=სასანიანობისა), რომელიც მას მისგანვე სასაცილოდ აგდებულის „ქართლის ცხოვრებიდან“ მოაქვს, ძლიერ საეჭვო ღირსების საბუთად უნდა ჩაითვალოს, ან უკეთ რომ ვთქვათ, იგი საისტორიო საბუთად ვერ გამოდგება“ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48). ამის შემდეგ ს. გორგაძე კიდევ წერს: „მირიანი არც სპარსი ყოფილა და არც სპარსთა მეფის მიერ დაყენებული, არამედ რომის ვასალი იყო და იქიდანვე ჰქონდა

სამეფო ნიშნები მიღებული 298 წლის მახლობლად" (იქვე, გვ. 58).

როგორც ითქვა, ვ. ბოლოტოვის კვალდაკვალ ივ. ჯავახიშვილმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დიდი ბაკური აღიარა, მაგრამ ამ თვალსაზრისმა ქართულ მეცნიერებაში ფეხი ვერ მოიკიდა (მისი დაცვა მხოლოდ პროფ. გ. გოზალიშვილმა სცადა). „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკის ცნობა გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართველი ხალხის აზროვნებაში საქართველოს პირველ ქრისტიან მეფედ მირიანის სახელის დასამკვიდრებლად.

„მეფეთა ცხოვრების" ცნობა მირიან მეფის ირანული წარმომავლობის შესახებ კარგა ხანს ქართული ისტორიოგრაფიისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ლეონტის ჩანასწორები (მის ცდარობაზე ჯერ კიდევ ცნობილმა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ მიუთითა) „საქართველოს ისტორიის" სასკოლო სახელმძღვანელოებში არ ასახულა. ამ სახელმძღვანელოთა ავტორების (აკად. ს. ჯანაშია, აკად. გ. მელიქიშვილი, აკად. მ. ლორთქიფანიძე და სხვანი) დამსახურებაა, ქართველ მორწმუნეთა უდიდესმა ნაწილმა ლეონტის ჩანასწორების შესახებ რომ არ იციან. თუ გავითვალისწინებთ იმას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკაში მირიან მეფის მამად რევ ფარნავაზიანია დასახელებული, ეს მეცნიერები სწორად მოიქცნენ, მოსწავლე-ახალგაზრდობას ქვეყნის გაქრისტიანების ამბავი ლეონტის ცნობის ხსენების გარეშე რომ მოუთხრეს. მაგრამ, ამ ბოლო ხანს, ჩვენს მეცნიერებაში არის მცდელობა, ლეონტის ჩანასწორები ისტორიულ რეალობად გამოაცხადონ, თითქოს ქართველი ერისათვის საამაყოა მათი პირველი ქრისტიანი მეფე რომ ირანელი მხევალი ქალისაგან ნაშობი სასანიანი უფლისწული იყო. გასული საუკუნის 80-იან წლებში ლეონტის ცნობა ჯერ ქსე-ში აისახა (იხ. აქვე შენ. 98), შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში და ისეთ მრავალტირაჟიან გაზეთში, როგორიც იყო „ახალგზარდა კომუნისტი". 1990 წლის 10 თებერვალს ამ გაზეთში გამოქვეყნდა ლელა პატარიძის წერილი „მირიანი". მისასალმებელია ის, რომ წერილში ქართლის მოქ-

ცევის თარიღად 318 წელია მითითებული, ხოლო წერილის დასასრულს მირიანის შორეულ წინაპრად ფარანავზია დასახელებული, მაგრამ ამ ყველაფერს აუფერულებს წერილის დასაწყისში არსებული მითითება – „მირიანმა რომ შეიყვარა ქართველნი, დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული“ (გვ. 6). რა თქმა უნდა, ირანელი უფლისწულისათვის ფარანავაზი შორეული წინაპარი ვერ იქნებოდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, პროფ. მ. ჩხარტიშვილმა ამ ჩიხიდან გამოსავალი იპოვა – რევი მირიანის მამამძუძედ გამოაცხადა. ვნახოთ, როგორ ამტკიცებს ამას.

მიუხედავად იმისა, რომ ლეონტის „შემოქმედების“ მიზეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ იყო ახსნილი[97], 1982 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში დეტალურად გავაანალიზე ყველა ის პირობა, რამაც ლეონტი მროველს ასეთი ქმედებისაკენ უბიძგა[98]. ამ გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგაც მკვლევართა ნაწილი მაინც დაჟინებით წერს მეფე მი-

---

[97] მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. სმაიშ, ტ. IV, ნაკ. I, თბ., 1958, გვ. 162; ბოგვერაძე ა., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში. სინ, II, თბ., 1973, გვ. 60; მისივე, მირიან III. ქსე, ტ. 7, თბ., 1984, გვ.11. იმოწმებს ჩემს გამოკვლევას – ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში. „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1982, №4. ამავე გამოკვლევაში იხ. აკად. გ. მელიქიშვილის პროფ. ნ. ლომოურის, გ. მამულიას, ლ. ჯანაშიას თვალსაზრისთა შესახებ.

[98] გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა. ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ გამოცემულ ქსე-ს მე-6 ტომში (თბ., 1983, გვ. 344) შესულ სტატიაში - „მაეჟანი“ ა. ბოგვერაძე წერს:“ ასფაგურ მეფის გარდაცვალებით დაესრულა ფარნავაზიანთა დინასტია და მაეჟან სპასპეტის თაოსნობით ქართლში ირანის შაჰის ძე მირიანი მოიწვიეს. ამით დაედო ქართლში საფუძველი ხოსროიანთა დინასტიას. 1984 წელს გამოცემულ ქსე-ს მე-7 ტომში მოთავსებულ სტატიაში – „მირიან III“, მართალია, ა. ბოგვერაძემ ლიტერატურაში ჩემი ზემოდასახელებული გამოკვლევა მიუთითა, ტექსტში კი აღნიშნა: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, მირიანი ქართლის მეფის ლევის ძე იყოო, მაგრამ იქვე გაიმეორა ლეონტი მროველის ჩანასწორები მირიანის წარმომავლობის შესახებ, რითაც ამ ოფიციალურ გამოცემაში ძველი თვალსაზრისი დააფიქსირა. ეს, როგორც ჩანს, ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა შემდეგში მკვლევრებს უფრო გაბედულად მიეთითებინათ მირიან მეფის ირანული წარმომავლობის შესახებ.

რიანის სპარსული წარმომავლობისა და მის შთამომავლთა ხოსროიან-სასანიანობის შესახებ, მაგალითად, მ. სანაძესთან ასე გახდა ვახტანგ გორგასალი „ვარან/გუარამ ხოსროთაგანი“, რომელიც თურმე 470-531 წლებში ცხოვრობდა და 531 წელს ხოსრო I-თან ბრძოლაში დაიღუპა[99]. მანვე ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი „ჰორმიზდ-არდაშირის ძის – ჰორმიზდაკ-რევ(ნიზ)ი I-ის (რევ მართალი) (დაახლ. 265-280/285 წწ.)“ ძედ გამოაცხადა. მირიანის სახელს ვაჩე (მირიან/ვაჩე) დაუმატა და მისი შთამომავლები ქვეთავში „სასანიანები ქართლის სათავეში“ გააერთიანა[100].

რაც შეეხება მ. ჩხარტიშვილის „სიახლეებს“, ცხადია, მას, როგორც მირიანის სპარსული წარმომავლობის თვალსაზრისის ერთ-ერთ მტკიცე დამცველს, არ მოსწონს 1982 წელს ჟურნალ „მაცნეში“ (№4) გამოქვეყნებული ჩემი ის გამოკვლევა, რომელშიც „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის ჩანაწორებებია გააანალიზებული და უარყოფილია მეფე მირიანის სპარსული წარმომავლობა. ამ გამოკვლევის შესახებ იგი წერს: „ვ. გოილაძე გვთავაზობს ისტორიას, რომელიც, ფაქტობრივად, წყაროს ალტერნატიული თხრობაა, რაც გამართლებულად არ მიმაჩნია. მისი რეკონსტრუქცია მთლიანად ვარაუდების სფეროა. ამიტომ, არ მესმის, რატომ უნდა ჩავანაცვლოთ ლეონტი მროველის რეპრეზენტაცია თანამედროვე მკვლევრის ვარაუდებით, თუნდაც რომ წყაროს მონაცემები გარკვეულ კითხვებს აღძრავდეს“. შემდეგ იქვე დასძენს: სპეციალისტები და მათ შორის, ვ. გოილაძეც, მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ლევი მეფედ არაა ნახსენები. „ზოგი მკვლევარი... წყაროს ჩვენებაში უმატებს კიდეც „მეფის“ ტიტულს ლევისათვის. ცხადია, ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულება წყაროსადმი ცდომილების საფუძვლად იქცევა მისი ინტერპრეტაციისათვის“[101].

---

[99] სანაძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 370. ყველა იმ „სიახლეებზე“ რეაგირება, რასაც მ. სანაძე ამ სქელტანიან მონოგრაფიაში გვთავაზობს ამ ნაშრომში შეუძლებელია.

[100] იქვე, გვ. 236, 259, 273. იხ. იქვე თავი VIII - სასანიანთა დამკვიდრება ქართლში.... (გვ. 233, 249).

[101] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ.41.

მ. ჩხარტიშვილის მითითება, თითქოს მე „მხედველობაში არ ვიღებ იმ ფაქტს, „ქრონიკაში“ მირიანის მამა ლევი მეფედ რომ არ იხსენიება“, გაუმართლებელი ბრალდებაა. ამ გამოკვლევაში ჩემი დასკვნა: „მირიანი ფარნავაზიანთა იმ სახლის უფლისწული რომ უნდა ყოფილიყო, რომელნიც ქართლის სამეფოში მეფის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ და პიტიახშ-სპასპეტებად იწოდებოდნენ“ (გვ. 121), განა იმას არ ნიშნავს, ლევს მეფედ რომ არ ვთვლიდი?

იქვე ვწერ: როცა ლეონტიმ მირიანი სასანიან უფლისწულად მიიჩნია, სახელ მირიანს („მიჰრანს“) ორიგინალურად დაუკავშირა ამიერკავკასიის ქვეყნებში მიჰრან-სპანდიატთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ხანგრძლივ მემკვიდრეობით სამსახურის რეალურ ფაქტზე შექმნილი, მის დროისათვის უკვე ქართველიზირებული საისტორიო ტრადიცია და მირიანის უფლება-მოვალეობანი ქართლ-ალბანეთის მარზპანთა სახელომდე განავრცო.

1982 წელს ჟურნალ „მაცნეში“ (№4) გამოქვეყნებულ ჩემს გამოკვლევას – „ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში“ (მირიანის შესახებ ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობის განმარტებისათვის), რომელიც მ. ჩხარტიშვილის შეფასებით, „წყაროს ალტერნატიული თხრობაა“ და „მთლიანად ვარაუდების სფეროა“, გამოქვეყნებამდე ბ-ნი გიორგი მელიქიშვილი გაეცნო, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ აკად. დ. მუსხელიშვილმა შემაქო. დაინტერესებულ მკითხველს ახლაც შეუძლია მას გაეცნოს და შეაფასოს ჩემი გამოკვლევა.

ახლა მეფე მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ ისევ მ. ჩხარტიშვილის მტკიცებებს გავეცნოთ. მ. ჩხარტიშვილის დამოძღვრით, მიუხედავად იმისა, რომ მირიან მეფის სპარსული წარმომავლობა უარყოფილია მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ, „ამასთან ერთად, არსებობს გამოკვლევები, რომელთა მიხედვით, ნდობის ღირსია „ქართლის ცხოვრების“ (უნდა ეთქვა „მეფეთა ცხოვრება“ – ვ.გ.) ცნობები ქართველთა მეფის სპარსული წარმომავლობის შესახებ (აღნიშნული პო-

ზიციის დამცველებად ასახელებს მ. სანაძესა და ლ. პატარიძეს[102]). მისი თქმით, „სპარსელი მეფის ძეობის ფაქტს ვერ მოვაშორებთ მირიანის ბიოგრაფიას“. ამის შემდეგ მ. ჩხარტიშვილი მირიან მეფის ბიოგრაფიის ახალ ვარიანტს გვთავაზობს. მისი სიტყვით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში „ლევი მირიანის მამად კი არის დასახელებული, მაგრამ მეფედ არა[103], უნდა შევიდეთ მირიანის მდგომარეობაშიც. ლევი მცირეწლოვანი მირიანის მამამძუძედ უნდა წარმოვიდგინოთ, მას, ბუნებრივია, მამას უწოდებდა შვილობილი. მითუმეტეს, მძაფრი უნდა ყოფილიყო მამამძუძეობის განცდა ისეთ შემთხვევაში, როგორც მირიანისა იყო“: „ამ უკანასკნელს ნამდვილი მამა, იმის შემდეგ რაც ქართლში ჩამოიყვანეს, ალბათ, მეტად აღარც უნახავს“[104].

მ. ჩხარტიშვილს არც ის ავიწყდება, მირიანს ირანელი მამამძუძე – მირვანოზი რომ ჰყავდა. ცხადია, ლეონტიმ როცა „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტი ჩაასწორა და ფარნავაზიანთა სამეფო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლის – ლევის (რევის) ძე – 7 წლის მირიანი ირანის შაჰის ძედ გამოაცხადა და ქართლში „ჩამოიყვანა“, მის მამამძუძედ ირანიდან მირვანოზის გამოყოლების შესახებაც მიუთითა[105]. ასეთი ცნობიდან გამომდინარე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში მირიანის მამად დასახელებული ლევი (რევი) ზედმეტი პირი აღმოჩნდა. ამიტომ, მ. ჩხარტიშვილმა მირიანის მამა ლევი (რევი) მირვანოზთან გააიგივა და მირიანის „გამზრდელ რეგენტად“ მიიჩ-

---

[102] იქვე. როგორც ახლა, პროფ. გ. საითიძის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულიდან გახდა ჩემთვის ცნობილი, ლეონტის თხრობაზე დაყრდნობით მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ „Кавказский календарь“-ში გამოქვეყნებულ გამოკვლევაში - „Об истории Грузии“, ა. გოლოვინმა ჯერ კიდევ 1865 წელს მიუთითა (იხ. კრებული, მეისტორიე, თბ., 2019, გვ. 294), რაც სხვა არაფერია თუ არა წყაროს ცნობის უბრალო გამეორება. ასე იქცევიან დღეს ის მკვლევრებიც, რომლებიც მირიან მეფის სპარსულ წარმომავლობაზე წერენ.

[103] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი. გვ. 47.

[104] იქვე.

[105] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ. გვ. 65.

ნია (გვ. 231). ასეთი ქმედებით, მ. ჩხარტიშვილმა სცადა, სასანიანთა ქართლში გამეფებისათვის ლეგიტიმური საფუძველი გამოენახა. ქართველი უფლისწული – მირიანი „საკულტო პერფორმანსის დიდოსტატად", „უზენაეს ქურუმად"[106], III-V საუკუნეების ქართლის მეფეთა – ხოსროვანთა სამეფო სახლის დამაარსებლად გამოაცხადა[107]. მირიანმა თავის უფროს ძეს რომ რევი დაარქვა, ეს ლევ/რევისადმი „მირიანის... განსაკუთრებული მიჯაჭვულობით" ახსნა[108] (ამ „მიკვლევებს" უკომენტაროდ ვტოვებ – ვ.გ.).

მეფე მირიანის წარმომავლობის შესახებ ბევრი ვწერე, მაგრამ აქ მაინც უნდა აღვნიშნო: ქართლში გამეფებულ მირიანს, გარდა იმისა, რომ ლეონტი ქართლის, სომხითის, რანის, მოვაკანის, ჰერეთის (შემდეგ ამ ჩამონათვალს ეგრისსაც უმატებს) მმართველად აცხადებს (ეს ტერიტორიები ეგრისის გარდა ქართლ-ალბანეთის მარზპანთა სახელოში შედიოდა), მის მთავარ მტრად ჩრდილო კავკასიაში ხაზარებს მიიჩნევს[109], რაც, ცხადია, ცნობის გვიანდელობაზე მიუთითებს. ლეონტიმ ვერ გაითვალისწინა მირიანის თანადროულად ჩრდილო კავკასიაში ხალხი ხაზარების სახელით რომ არ არსებობდა.

რაც შეეხება მირიანის ირანელ (სასანიან) უფლისწულად მიჩნევას, ამ მხრივ ლეონტის წყაროს, მის თანადროულად ფართოდ გავრცელებული იმ თქმულებათა ციკლი წარმოადგენს, რომლის თანახმად, შაბურ I-ის ვაჟის – ჰორმიზდის დედა მიჰრაკის (მიჰრანის) ასული იყო და ეს უფლისწული 7 წლამდე შაჰისაგან მალულად იზრდებოდა დედასთან[110].

ირანში 7 წლამდე (სხვა წყაროებით 5 წლამდე) ბიჭი დედასთან იზრდებოდა (ლეონტის თქმით, ამიტომ ჩამოჰყვა მი-

---

[106] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 57. 231

[107] იქვე, გვ. 57.

[108] იქვე, გვ. 232.

[109] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 65.

[110] არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი. ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, თბ., 1975, გვ. 19, 26.

რიანს დედა ქართლში და იგი აღსაზრდელად სხვას ჩააბარა), ხოლო 15 წლის ყმაწვილი ფიზიკურად და ინტელექტუალურად ზრდასრულად ითვლებოდა[111]. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღარ გაგვიკვირდება ლეონტის თხრობაში რატომაა საუბარი 7 (ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში 5 წლის მირიანის ჩამოყვანაზეა მითითება[112]) და 15 წელზე. 7 წლის მირიანი დედას მოაშორეს, ხოლო 15 წლისას მეუღლე გარდაეცვალა და მან ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო[113].

რაც მთავარია, IV ს-ის მეორე ნახევრისა და V ს-ის პირველი ნახევრის ქართლის ისტორიის გადმოცემისას მ. ჩხარტიშვილმა ერთმანეთისგან არ გამიჯნა ბაქარიანი და რევიანი მეფეები. ასე, მაგალითად, ვარაზ-ბაკურ ბაქარიანი პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ პეტრე იბერის მამად დასახელებული ბოზმარიოსთან (რევიანთა შტო) გააიგივა და მან ისე, როგორც ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ, პეტრე იბერი ვარაზ-ბაკურის ძედ გამოაცხადა, რის შედეგადაც მაკარი ხუცესის მიერ პეტრე იბერის ასურული „ცხოვრებიდან“ ქართულად ნათარგმნ (თუ გადმოკეთებულ) ტექსტში თვით მაკარის, ან XV ს-ში მცხოვრები ვინმე პავლე დეკანოზის მიერ შეტანილად მიჩნეული მცდარი ჩასწორება ისტორიულ რეალობად მიიჩნია[114]. ასეთი

---

[111] იქვე, გვ. 26. სასანიანთა ირანში არსებული გაძიძავებისა და აღზრდის ინსტიტუტის, ასევე აღზრდისას 7 და 15 წლების მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხილეთ: თეო ჩხეიძე, აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში, თბ., 1979, გვ. 10 და შემდეგი.

[112] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 67.

[113] მირიანმა როგორც სრულწლოვანმა, თითქოს ირანის ტახტისათვის დაიწყო ბრძოლა, მაგრამ როგორც მიჰრანის გვარის მხევალი ქალისაგან ნაშობს, ტახტზე უარი უთხრეს. სამაგიეროდ, ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი მისცეს. ამ საკითხზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა, გვ. 115-116.

[114] მაკარი ხუცესის მიერ ნათარგმნ ტექსტთან დაკავშირებული საკითხები ვრცლად აქვს გაანალიზებული პროფ. ა. გაწერელიას; ერთგან იგი წერს: „ქართულ ტექსტზე პავლეს ავბედითმა „მუშაობამ“

გაიგივებით ვარაზ-ბაკურის ძეები: ფარსმანი, მირდატი და თრდატი პეტრე იბერის ძმები გამოდიან, ამიტომ ვინ იყო მათი მამა, აღარ მიუთითა. ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი, ამიანუს მარცელინუსის მიერ ასფაგურის (იგივე ვარაზ-ბაკური) ძედ დასახელებულ, ირანში მძევლად მყოფ ულტრასთან გააიგივა და პეტრე იბერის უშვილო ბიძას – არჩილს მიაშვილა. მ. ჩხარტიშვილის მტკიცებით, ვახტანგ მეფის მამა „მირდატი და პეტრე ნახევარძმები იყვნენ", ხოლო „პეტრე ვახტანგის ბიძა გახლდათ"[115].

პეტრე იბერისა და ვახტანგ გორგასლის ურთიერთნათესაობის შესახებ, მართალია, არაერთგან მაქვს მითითებული, მაგრამ აქ კიდევ ვიმეორებ: ძველ წყაროთა მონაცემებით, პეტრე იბერი მირიან მეფის უფროსი ძის – რევის, ხოლო ვახტანგი უმცროსი ძის ბაკურის (ბაქარის) შთამომავალი იყო (იხ. ტაბულა); პეტრე ვახტანგ მეფისათვის (ისე, როგორც მისი თანამედროვე რევიანი უფლისწულები – მირიანი და გრიგოლი), აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, ბიძა კი არა, „მხოლოდ შორეული სახლიკაცი" გახლდათ[116].

ქ-მა მარინამ რატომღაც ქართლის მეფეთა რიგში ჩასვა ქართლ-ალაბანეთის მარზპანი – ვახტანგ გორგასლის პაპა ბარზაბოდი (ბარზაბოდის ძემ ვარაზ-ბაკურმა რა დააშავა, ისიც ხომ მარზპანი იყო?). ვახტანგ გორგასლის პაპა – არჩილ ბაქარიანი უშვილო არჩილ რევიანთან გააიგივა (იხ. ზემოთ, შენ. 96), რის შემდეგაც ვახტანგ მეფის პაპა – არჩილ ბაქარიანი მეფეთა რიგში აღარ შეიყვანა. წარმოდგენილ მეფეთა რიგში არცერთი მეფის ზეობის მიახლოებითი წელიც კი არ მიუთითა, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროდ, უბრალოდ, V ს-ის

ბევრი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში. საბოლოოდ მაინც არ მოტყუვდნენ: ნ. მარი, კ. კეკელიძე და ე. ჰონიგმანი (იხ. მისი, პეტრე იბერის ბიოგრაფიის საკითხები. „მნათობი", 1970, №3, გვ. 149). შემდეგ დასძენს: „პავლეს მანიპულაციები „ცხოვრების" ტექსტზე, ყალბისმქნელობაში გადადის" (იქვე, გვ. 165).

[115] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 256, 281.

[116] ბერძენიშვილი ნ., [ჯუანშერი], სის, IX, გვ. 29.

II ნახევრი მიიჩნია[117]. III-V ს-ების ფარნავაზიანთა სახლის ქართლის მეფეების სასანიანთა და არარსებული ხიდარელთა დინასტიების შთამომავლებად გამოცხადებითა და მეფეთა რიგის არევით ქართული ისტორიოგრაფია კიდევ უფრო „გაამდიდრა“. ეს ყველაფერი, ძირითადად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ცნობებისადმი გადამეტებული ნდობითაა გამოწვეული. ამიტომ, ქვემოთ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ წყაროების ცნობათა ისტორიულ ღირებულებებს.

[117] ჩხარტიშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28. აკად. მ. ლორთქიფანიძის, აკად დ. მუსხელიშვილისა და პროფ. მ. ჩხარტიშვილის მიერ ვახტანგ გორგასლის გარდაცვლაების ჩემეული თარიღის უარყოფა ალბათ საფუძველი გახდა გ. გაფრნიდაშვილისათვის 2019 წელს გამოცემულ, აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ წიგნში მიეთითებინა: „ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ზუსტი თარიღები ცნობილი არაა. იგი დაახლოებით V საუკნის მეორე ნახევარსა და VI საუკუნის დამდეგს შორის მეფობდა“-ო (გვ. 66). როგორც ქვემოთ ვნახავთ ასე მოიქცა იტალიაში მოღვაწე ქართველი მკვლევარი გ. შურღაიაც.

თავი VIII. ძალიან მოკლედ ისევ ძველ ქართულ წყაროთა ღირსების შესახებ

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა

ზემომოტანილი თხრობის შემდეგაც, რა თქმა უნდა, იმის მოლოდინი არა მაქვს, მ. სანაძე და მ. ჩხარტიშვილი ჩემ მიერ აღძრულ საკითხებზე თვალსაზრისს შეიცვლიან (პირიქით, მათი თვალსაზრისის გამყარების მცდელობასთან გვაქვს საქმე[118]), მაგრამ იმის იმედი მაქვს ახლგაზრდა თაობის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის კვლევას დაიწყებენ, ჩემი მიკვლევები მისაღები იქნება. უპირველესად, აუცილებლად უნდა გადაიხედოს ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მტკიცება, თითქოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა „უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებია“ და XI ს-ში ლეონტი მროველმა მის ცნობებზე დაყრდნობით (მათი მტკიცებით, „ქრონიკა“ ლეონტის „უმთავრესი წყარო იყო“) შექმნა საქართველოს უძველესი ისტორიის (ძვ. წ. IV ს-ის დამდეგი - ახ. წ. IV ს-ის დასასრული) ამსახველი„მეფეთა ცხოვრება“. სწო-

[118] მხედველობაში მაქვს ჩემი თანაკურსელისა და ახლო მეგობრის პროფ. გრანი ქავთარიას მიერ 2018 წელს სეპციალურად მირიან მეფისადმი მიძღვნილი მონოგრაფია. მასში გ. ქავთარია წერს: ასფაგურ მეფის (რომელსაც ძე არ ჰყავდა), მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ „ტახტის მემკვიდრეობის ქართული ტრადიციით, გვირგვინის სრულუფლებიან მფლობელად (მისი) ასული არ ითვლებოდა... მეფობის შესაფერისი კაცი ფარნავაზიანთა საგვარეულოში არ მოიძებნებოდა“ (ქავთარია გ., მირიანი, თბ., 2018, გვ. 66), ამიტომ ლეონტი მროველის მტკიცებით, მოხდა „სპარსეთის მეფეთა მეფის ძის მირიანის მოწვევა ქართლში“ (იქვე, გვ. 60), „სპარსი უფლისწული ჩამოყალიბდა ქართველად და ქართველთა მოყვარედ“ (იქვე, გვ. 88). „სპარსი უფლისწულის ქართველად გადასახვა ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ“ (იქვე, გვ. 91).

რედ ამ „ღირსების“ გამო საქართველოს ძველი ისტორიის გადმოცემისას „ქრონიკის“ ცნობებს, „მეფეთა ცხოვრების“ მონაცემებთან შედარებით, უპირატესობა ენიჭებოდა და, ძირითადად, მის ცნობებს იყენებდნენ და იყენებენ.

ამ თხზულების ცნობებისადმი ასეთმა მიდგომამ, როგორც ვნახეთ, ბევრად დააზარალა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის სრულყოფილი გააზრება და არაერთი მიუტევებელი შეცდომის წყაროდ იქცა. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ, როგორც წინაქრისტიანული, ისე შემდგომი ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყარო ფარნავაზის ხანიდან „ჟამითი-ჟამად“ ნაწერი „მეფეთა ცხოვრებაა“, რომლის თხრობას ვახტანგ გორგასლის თანამედროვე ავტორი – ჯუანშერი აგრძელებს. ეს იმას არ ნიშნავს დრო და დრო „მეფეთა ცხოვრებისა“ და ჯუანშერის თხზულების ტექსტებდან გამოჭრებილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკის“ მონაცემები მთლიანად უარსაყოფია. როგორც აღვნიშნე, თხრობის ტენდენციური ხასიათის გამო, მის ცნობებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

„მეფეთა ცხოვრება“

რაც შეეხება „მეფეთა ცხოვრებას“, როგორც ითქვა, აკად. ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული საისტორიო მწერლობისადმი მიძღვნილ ნაშრომში (1916 წ.) ფარნავაზის ხანიდან „ჟამითი-ჟამად“ ნაწერი „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად ლეონტი მროველი მიიჩნია. ძირითადად მას შემდეგ დამკვიდრდა ამ თხზულებისადმი ლეონტის ავტორობის საკითხი ქართულ მეცნიერებში[119], მაგრამ ახლა, ერთი საუკუნის გას-

[119] ჯავახიშვილი ივ., ლეონტი მროველი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ნიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თბ., 1916, გვ.112-126; შდრ., მისივე. თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 176, 187. 1942 წელს ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეული ნუსხის გამოცემისას, აკად. ს. ყაუხჩიშვილმა „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა“-ს ავტორის მითითებისას, ლეონტი მრო-

ვლის შემდეგ ხომ მაინც შეიძლება დავუკვირდეთ: XI ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველი (რომელმაც ქართველთა ეპონიმის – ქართლოსის უფროს ძმად ჰაოსი, ხოლო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი ირანელ უფლისწულად გამოაცხადა, წმ. ნინოს „ცხოვრების" სიტყვასიტყვით გადანერისას, წმ. ნინო სომხური ენის მცოდნედ მიიჩნია და ფარავნის ტბასთან მას სომეხი მწყემსები დაახვედრა[120], წმ. ნინოს მონათხრობი ამბების ჩამწერად მხოლოდ წარმოშობით სომეხი დედოფალი – სალომე დაასახელა[121]), „ქრონიკის" მშრალ თხრობაზე დაყრდნობით, ისეთ საისტორიო თხზულებას ვერ შექმნიდა, როგორადაც დღეს ჩვენ „მეფეთა ცოხვრება" წარმოგვიდგება (აქ აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, ზოგი მკვლევარი „ქართლის ცხოვრების" მთელ თხრობას X საუკუნემდე ლეონტი მროველს რომ აკუთვნებს).

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება"

ვახტანგ გორგასლის ზეობის წლების ჩემეული ქრონოლოგიისა და მისი მოღვაწეობის სხვა მხარეების შესახებ, ზემომოტანილი თხრობის შემდეგ, უპირველესად, უნდა ვთქვა: ის ავტორები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სალექციო კურსებს ადგენენ, თუ

ველი კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვა (გვ. 1). რაც იმას ნიშნავს, იმ დროისათვის ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი ჯერ კიდევ სავარაუდოდ იყო მიჩნეული.

[120] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 85; ჯავახიშვილი ივ., ლეონტი მროველი , გვ. 177-188; მელიქიშვილი გ., ლეონტი მროველი, ქსე, ტ. 6, თბ., 1983, გვ. 194-195.

[121] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 72. ამ თხზულების ბოლოს ნინოს ნაამბობთა ჩამწერად სალომესთან ერთად, პეროჟავრ სივნელიცაა დასახელებული (იქვე, გვ. 127). ასევე, ლეონტის ჩანასწორები ჩანს, ცნობა, თითქოს ქართლში საბერძნეთიდან (რომის იმპერიიდან) დაბრუნებული მირიან მეფე კონსტანტინე მეფისაგან იყო „ოტებული" (იქვე, გვ. 102). ნისიბისის ზავის მოქმედების ხანაში (298-338 წწ.) ქართლის სამეფო რომის პროტექტორატში იყო და რომს პირიქით მისი დაცვა ევალებოდა.

კიდევ მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ამ საამაყო მეფის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი V ს-ის მეორე ნახევარში ცხოვრობდა[122], ძალაუნებურად ეთანხმებიან XIX ს-ში მოღვაწე საქართველოს ძველი ისტორიის გამყალბებელ რუს შოვინისტ ისტორიკოსებსა და მათ მხარდამჭერ – ვიქტორ ლანგლუას, რომლის მტკიცებით, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ „ეროვნული გმირის შექმნის მიზნით“ დაწერილი თხზულებაა, რომელშიც ვახტანგ მეფე „ნახევრად ღმერთად და ნახევრად გმირად“ არის წარმოდგენილი[123]. ზეობის წლების მიუთითებლობის გამო თითქმის ასეთი მიდგომაა დღესაც ვახტანგ გორგასლის პიროვნებისადმი[124], და გამოდის, რომ საქართველოს მთვრობა ქვეყნის წინაშე დამსახურებულ პირებს, როცა ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით აჯილდოებს, არ ვიცით, რომელ წლებში მოღ-

---

[122] ლორთქიფანიძე მ., რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989, გვ. 78-79.

[123] გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, გვ. 15-16. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ივ. ჯავახიშვილის მიერ მიღებული 502 წლის უარყოფის შემდეგ თეზისი-„ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. მეორე ნახევარზე“ ლ. ჯანაშიადან მოდის (იხ. მისი, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962, გვ. 163, შენ; შდრ, მისივე ნაწილი სინ II-ში, გვ. 106-107). აქ კიდევ უნდა აღვნიშნო: სამწუხაროდ ვახტანგ გორგასლის ზეობის წლების მიკვლევის (1983 წელი) შემდეგაც ლ. ჯანაშიადან მომდინარე თვალსაზრისს მკაცრად იცავდა აკად. მ. ლორთქიფანიძე. იხ. საქართველოს ისტორია 8/9, თბ., 1988, გვ. 67. შდრ. მისივე ხუთი სტატია ვახტანგ გორგასალზე მის „რჩეულ ნაწერებში“, ტ. I, თბ., 2016, გვ. 404-446. მათგან ერთ-ერთ გამოკვლევაში ვახტანგ გორგასალის ზეობის წლების მიუთითებლობას ქ-ნი მარიკა ასე ხსნის: „თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში“ ამ საკითხზე „აზრთა ერთიანობა“ არ არსებობსო. ამის შემდეგ უთითებს ჩემი მონოგრაფიის (ფარანავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია), გვ. 55-57 (ამ გვერდებზე ვახტანგ მეფის ზეობის წლებია დადგენილი) და გვ. 126-133 (ამ გვერდებზე ვახტანგ მეფის ოჯახურ ქრონოლოგიაზეა საუბარი). იხ. მისი, „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 104, შენიშვნა №2. ე.ი. იმ სიახლის შესახებ, რაზეც მე 37 წელია ვდაობ, მან კარგად იცოდა.

[124] იხ. აქვე, თავი VII.

ვაწეობდა იგი. აქ იმის მტკიცებაზე, თითქოს, ვახტანგ მეფე სპარსული წარმომავლობისა იყო, აღარაფერს ვიტყვი.

ვახტანგ გორგასლის ზეობის ზუსტი თარიღის გარკვევიდან (ჟურნალი „მნათობი", 1983, №11) 37 წლის გასვლის შემდეგ მაინც უნდა აღიარებულ იქნას ჩემი მიკვლევა ვახტანგ გორგასლის დაბადების (431 წ.) და ზეობის წლების (438-491 წწ.) შესახებ და შეტანილ იქნას საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და უმაღლესი სასწავლებლების სალექციო კურსებში[125]. ამით ვახტანგ გოილაძეს კი არა, დიდ ქართველ მეფეს – ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ქვეყნისათვის თავშეწირულ მოღვაწეს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ მეფეს მივაგებთ კუთვნილ პატივს. უარი უნდა ეთქვას იმ მკვლევართა ნააზრევის დამკვიდრებას, რომლებიც ვახტანგ მეფეს ხან ხიდარელად, ხან კი „ხოსროიანად" და სასანიანთა დინასტიის ჩამომავლად მიიჩნევენ. ასეთი მიდგომით პატივს მივაგებთ ჩვენთვის უცნობ იმ ავტორებს, რომლებიც ფარნავაზის ხანიდან მოკიდებული „ჟამითი-ჟამად" ქართლის სამეფოს ისტორიას წერდნენ. სწორედ მათი ღვაწლის ნაყოფია, დღეს ჩვენ ხელთ რომ გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი საისტორიო თხზულება „მეფეთა ცხოვრება".

---

[125] ამ მხრივ მისასალმებელია ის, რომ 2017 წელს აკად. რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ პროფ. ავთანდილ წოწკოლაურის საქართველოს ისტორიის სალექციო კურსში ვახტანგ მეფის დაბადების, გამეფების და გარდაცვალების ჩემეული წლებია მითითებული. იხ. გვ. 126-127.

თავი IX. ახალი მონოგრაფიები ვახტანგ გორგასალზე

ამ გამოკვლევაზე მუშაობისას პროფ. ელდარ ბუბულაშვილისაგან შევიტყვე – იტალიაში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსს გაგა შურღაიას ვახტანგ გორგასალზე რომ მონოგრაფია ჰქონდა. ცხადია, მაინტერესებდა, ჩემთვის საინტერესო საკითხები როგორ იყო მასში წარმოდგენილი. ამ ცნობის შეტყობიდან მალე, 2019 წლის 11-13 სექტემბერს, თბილისში გრიგოლ ფერაძის სადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე გ. შურღაიამ წაიკითხა მოხსენება – „ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის (+502) საეკლესიო რეფორმის ახლებური ინტერპრეტაციისათვის“. ამ მოხსენების თეზისებში გ. შურღაია წერს: „ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის (440-502) ცხოვრება და მოღვაწეობა 150 წელზე მეტი ხნის კვლევის შემდეგაც გამოუცნობია. იგივე ითქმის მის საეკლესიო რეფორმასთან დაკავშირებით, რამაც კათალიკოსობა შემოიღო“. „ჩვენთვის ცნობილი ქართულ, ბიზანტიურ, სომხურ და სირიულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოვლენათა ახალი ინტერპრეტაცია გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ რეფორმას წინ უძღოდა კონფესიური კონფლიქტი პრო-მონოფიზიტ ვახტანგ მეფესა და ქალკედონელ ქართლის ეპისკოპოს მიქაელს შორის.

475 აპრილიდან 476 წლის თებერვალ-მარტის ჩათვლით განხორციელებულმა ამ რეფორმამ განაპირობა ქართლის ეკლესიის არსებითი პოლიტიკური და საეკლესიო რეორგანიზაცია, რაც დაგვირგვინდა იმპერიის საზღვრებს მიღმა არსებულ სახელმწიფოში ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებით და მის სუვერენულ ლიდერად კათალიკოსის აღიარებით“[126].

---

[126] იხ. წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია. „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“. მოხსენებათა თეზისები. თბილისი-ბაკურციხე., 2019, გვ. 54.

სანამ გ. შურღაიას მიერ „ქართულ, ბიზანტიურ, სომხურ და სირიულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოვლენათა ახალ ინტერპრეტაციაზე“ დაყრდნობით წარმოდგენილ ვახტანგ გორგასლის „საეკლესიო რეფორმის“ ახლებური კვლევის შედეგს შევაფასებ, უნდა აღვნიშნო: მას საკმაო სისრულით აქვს გამოყენებული ვახტანგ გორგასლის ეპოქისადმი მიძღვნილი ჩემი არა თუ მონოგრაფიები, საჟურნალო გამოკვლევებიც (მ.შ.– მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი...“, „მნათობი“ 1987 №4) კი. ჩემი ამ გამოკვლევათა გაცნობის შემდეგ მისი მითითება: ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება და მოღვაწეობა 150 წელზე მეტი ხნის კვლევის შემდეგაც გამოუცნობია“ და „იგივე ითქმის მის საეკლესიო რეფორმასთან დაკავშირებით“-ო, უცბაურად მეჩვენა. ვიფიქრე, მოხსენებასა და ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში იგი რაღაც ჩვენთვის უცნობ სიახლეს შემოგვთავაზებდა, მაგრამ „ქართულ, ბიზანტიურ, სომხურ და სირიულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოვლენათა ახალ ინტერპრეტაციაზე“ დაფუძნებულმა მისმა დასკვნამ – „რეფორმას წინ უძღოდა კონფესიური კონფლიქტი პრომონოფიზიტ ვახტანგ მეფესა და ქალკედონელ ქართლის ეპისკოპოს მიქაელს შორის“ და რეფორმა ვახტანგ მეფემ 475 წლის აპრილიდან 476 წლის თებერვალ-მარტის ჩათვლით განახორციელა“ – იმედგაცრუებული დამტოვა. ამ საკითხებში გაცნობიერებული მკვლევარი ადვილად მიხვდება, რომ გ. შურღაიამ სიახლე ვერ შემოგვთავაზა. საეკლესიო რეფორმას აკად. მ. ლორთქიფანიძეც ხომ „475 წ. იანვარსა და 476 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში იმპერატორ ვასილისკისა და ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის დროს მომხდარად თვლიდა“[127]. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის კონფესიურ ნიადაგზე წარმოშობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმთავითვე მიუთითებდნენ[128] და კონ-

[127] ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 70. ამ მონოგრაფიას გ. შურღაია იცნობს.

[128] ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, თავი X.

ფლიქტის კონფესიურ ნიადაგზე ახსნა ჯერ თ. ჟორდანიას, შემდეგ ზ. ალექსიძის, ა. კოხრეიძისა და ვ. გოილაძის მიერ კარგა ხნის წინ რომ იქნა უარყოფილი[129].

ასევე, ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების თარიღის ძიებისას რატომ უნდა უარვყოთ ძველ ქართულ წყაროში არსებული ის ცნობა, რომლის თანახმად, ეს აქტი ქართლის მოქცევიდან 170 წლისთავზე (ე.ი. 318+170)=488 წელს მოხდა (იხ. ზემოთ) და არა 475-476 წლებში, როგორც ამას მ. ლორთქიფანიძე და გ. შურღაია ამტკიცებენ.[130] რა თქმა უნდა, მიუღებელია ვახტანგ მეფის „პრომონოფიზიტად" გამოცხადება (ამავე აზრისა იყო აკად. ივ. ჯავახიშვილი), ხოლო მიქაელის მრწამსის განსასაზღვრავად ნახმარი სიტყვა „ქალკედონელი" უფრო მეტად ამ პიროვნების სადაურობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ქართული მეცნიერებისათვის ძალიან მნიშვნელოვან ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების (საერთოდ ზეობის) წელს, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ზემომოტანილ თეზისებში ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღად გ. შურღაია ისევ ივ. ჯავახიშვილისეულ 502 წელს მიიჩნევს, მაგრამ რატომ უარყო მან ჯუანშერის ცნობა – გარდაცვლებისას ვახტანგ მეფე რომ 60 წელს იყო მიღწეული, გაუგებარია. 440 წელს დაბადებული პიროვნება 502 წელს 62 წლის იქნებოდა.

გ. შურღაიას მოხსენების თეზისების გაცნობის შემდეგ მის მონოგრაფიაშიც ჩავიხედე. დიდი ფორმატის 703-გვერდიან მონოგრაფიის ქვეთავში – L'ultima battaglia e la morte di Vaxt'ang" (გვ. 274) – ამ ბრძოლის შესახებ ჯუანშერის ცნობების გაანალიზების შემდეგ, ისევე, როგორც ჩემს მონოგრაფიაშია, გ. შურღაია ჯერ განიხილავს ა. ბოგვერაძის წიგნის იმ ნაწილს, სადაც აკად. ს. ერემიანის მონაცემებიდან გამომდინარე, ვახტანგ

---

[129] გოილაძე ვ., მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი", მაგრამ არ იყო..., „მნათობი", 1984, №11.

[130] Gaga Shurgaia, Vaxt'ang Gorgasali I re de Kartli. Roma, 2018, გვ. 272, 280, 283. 2019 წლის შემოდგომაზე თბილისიში ყოფნისას გ. შურღაია ჩვენს ინსტიტუტს ესტუმრა და ბიბლიოთეკას თავისი მონოგრაფია გადასცა.

გორგასალი შეიძლება 492 წელსაც გარდაცვლილიყო[131], შემდეგ აანალიზებს ჩემს იმ გამოკვლევას („ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", „მაცნე", ისტორიის...სერია, 1988, №2), სადაც ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 491 წელი მაქვს მიღებული და ისევ ძველ თარიღს – 502 წელს მიუთითებს.

ერთი სიტყვით, საშველი არაა.

განათლების სამინისტროში ენციკლოპედია „საქართველოს" მესამე ტომის პრეზენტაციისას, როცა სინანული გამოვთქვი ამ ტომში გამოქვეყნებულ ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილ წერილში მხოლოდ ის რომაა მითითებული, იგი V ს-ის მეორე ნახევარში რომ მოღვაწეობდა, ერთმა პიროვნებამ მომაძახა: „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო". მართლაც, ის ფაქტი ისტორიკოსი ვ. ღუნაშვილი, პროფ. ა. წონკოლაური და ინგლისელი მკვლევარი დევიდ ბრაუნდი ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ჩემეულ თარიღს რომ უთითებენ, ბევრის მთქმელია[132].

რაც მთავარია, მას შემდეგ, რაც ენციკლოპედია „საქართველოს" რედაქციის თხოვნით, ამ გამოცემის მეოთხე ტომში შესულ აკად. გ. მელიქიშვილის სტატიას – „იბერია" საქართველოს III-V სს-ების ისტორია დავურთე, და მასში აისახა ჩემი კვლევების შედეგად მიღებული თარიღები: ქართლის მოქცევისა (318 წელი), ავტოკეფალიის მოპოვებისა (488 წელი), ქართლში მეფობის გაუქმებისა (დაახლ. 537 წელი) და ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებისა (491 წელი), ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ პირველი აღიარებები უკვე სახეზეა[133].

---

[131] პეტრე ფულონის მიერ ქართლის ეკლესიისათვის 488 წელს ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ თხრობაა მეუფე ანანიას მონოგრაფიაში - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", თბ., 2009, გვ. 302-303.

[132] ღუნაშვილი ვლადიმერ (ვალო), ვახტანგ გორგასალი. პოლიტიკური ორიენტაცია და სეპარატიზმი, თბ., 2013, გვ. 99-106; წონკოლაური ა. (იხ. ზემოთ შენ. 125), ბრაუნდი დ., საქართველო ანტიკურ ხანაში (თარგმანი ინგლისურიდან). ბათუმი, 2014, გვ. 411.

[133] ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად 491 წელია მითითებული ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის ლერი მუსხელი-

P.S. 2019 წელს პროფ. ჯაბა სამუშიას პროექტის – „ქართველი მეფეები“-ს სერიით ხელახლა გამოიცა აკად. მ. ლორთქიფანიძის (გარდ. 2018. 8. I) მიერ 1979 წელს გამოქვეყნებული გარკვეულწილად გაფართოებულ-შევსებული ნაშრომი „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (ამჯერად მისი სათაურია „ვახტანგ გორგასალი“). 1979 წელს ვახტანგ გორგასლის ზეობის ახლებური დათარიღება ჯერ კიდევ არ მქონდა მიკვლეული და წიგნზე დაწერილ დადებით რეცენზიაში, ცხადია, ვახტანგ მეფის ზეობის თარიღზე არაფერი მითქვამს[134]. 1983 წლის შემდეგ ჩემი შეხედულებები ვახტანგ გორგასლის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებითად შეიცვალა.

მ. ლორთქიფანიძის წიგნის გამოცემამდე ორი წლით ადრე, ბ. ჯაბა მეც შემეხმიანა, დამეწერა პოპულარული ნარკვევი ვახტანგ გორგასალზე. მე ვუთხარი, რომ „მეომრის ბიბლიოთეკის“ სერიით უკვე გამოცემული მქონდა წიგნი (ამ ნაშრომმა სამხედრო-მომსახურეთა ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ პირველი გამოცემიდან საავტორი ეგზემპლარებიც არ შემხვდა). ბ. ჯაბამ მითხრა, რომ ამ წიგნს იცნობდა. მან, როგორც ახლა გაირკვა, არჩევანი მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაზე შეაჩერა.

ვახტანგ გორგასალზე აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ 40 წლის წინ დაწერილ, 131-გვერდიან გამოკვლევაზე დაყრდნობით შესრულებული ახლად გამოქვეყნებული ახალი გამოცემა

ძის ვახტანგ გორგასლის რომანიზირებულ ბიოგრაფიაში. იხ. მისი, ვახტანგ გორგასალი. თბ., 2010, გვ. 321. მწერალი ავთანდილ ბუხრაშვილი და პოეტი შოთა ხოდაშნელი სწორედ ჩემ მონოგრაფიაზე დაყრდნობით ადგენდნენ ვახტანგ გორგასლის რომანიზებულ ბიოგრაფიებს.

[134] გოილაძე ვ., ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე. „ცისკარი“, 1983, №8. გამოქვეყნებამდე ქ-ნ მარიკას რეცენზიის ტექსტი როცა გავაცანი მითხრა: „რეცენზია ასე უნდა იწერებოდესო“. ქ-ნი მარიკა, როგორც ჩვენი განყოფილების თანამშრომელი და უფროსი კოლეგა ყოველთვის მხარში მედგა. ზოგი გამოჩენილი მეცნიერი თუ უარს ამბობდა ჩემი წიგნების რედაქტორი ყოფილიყო, ის ჩემი თხოვნისთანავე არა მარტო მთანხმდებოდა, ტექსტსაც გულმოდგინედ ეცნობოდა.

უხვად ილუსტრირებული (24 სურათი) 244-გვერდიანი მონოგრაფიაა, რომელშიც III თავის ერთი ნაწილი (გვ. 82-98) ახლადაა დაწერილი. წიგნის შენიშვნებში, მართალია, მითითებულია 1979 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ზოგიერთი სამეცნიერო ლიტერატურა, მაგრამ მათში ვახტანგ გოილაძის მონოგრაფიად „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი" (თბ., 1991) ვერ მოხვდა, შესაბამისად, ახალ გამოცემაში არ აისახა ის მიღწევები, რომლებიც კვლევისას მივიღე (ქ-ნი მარიკა ამ წიგნის რედაქტორია), სამაგიეროდ, წიგნის შენიშვნებში მრავლადაა დამოწმებული მ. სანაძის „მიკვლევები" (გვ. 84, 97, 88, 91, 92, 95, 225), რომელთაგან მხოლოდ ერთს დავასახელებ. ვახტანგის პაპის სახელი „ბარზაბოდი" თურმე „ირანელი პიტიახშის" ეპითეტია. მისი ნამდვილი სახელი „საჰაკი" იყო (გვ. 84 შენ.).

ბარზაბოდის სახელის მ. სანაძისეულ ინტერპრეტაციაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, ისე კი ბარზაბოდი და მისი ძე ვარაზ-ბაკური რომ ქართლ-ალბანეთის მარზპანები იყვნენ, ეს საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი მეგონა, მაგრამ მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში ბარზაბოდის „რანის პიტიახშად" (გვ. 85), „რანის ერისთავად" (გვ. 167), ხოლო ვარაზ-ბაკურის „ალბანეთის პიტიახშად" (გვ. 85) მოხსენიება, ქართლის ერთი ნაწილის გამგებლის გურგენის ისევ ქართლის მეფედ მიჩნევა (გვ. 188), დღეისათვის მიღწეული მეცნიერული სიახლეების დაუსაბუთებელი უარყოფაა. ასევე, როგორც ითქვა, კარგა ხანია, რაც მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის კონფესიურ საკითხთან დაკავშირება უარყოფილია. ამის შემდეგ წიგნში არსებული მითითება: „არ არის გამორიცხული, რომ დედაქალაქის მცხეთიდან გადატანის გადაწყვეტილებაში მღვდელმთავართან კონფლიქტმაც შეიტანა წვლილი" (გვ. 195), უცნაურად მეჩვენება. V ს-ში „ქრისტიანული სირია და პალესტინა" ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, ამიტომ ბიზანტიის გვერდით მათი დასახელება (გვ. 198) უხერხულობას ქმნის. რაც მთავარია, მას შემდეგ, რაც 1988 წელს ქ-მა მარიკამ უარყო ვახტანგ გორგასლის ზეობის ჩემეული წლები და ვახტანგ გორგასლის გარდაცვა-

ლების ივ. ჯავახიშვილისეულ 502 წელზეც უარი სთქვა, ვახტანგ გორგასალისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ამ მეფის გარდაცვალების წლები არ მიუთითებია[135]. ამჯერად რადგან ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შესახებ თხრობა 1979 წელს გამოცემული მონოგრაფიიდანაა გადმოტანილი (ძველი გამოცემა გვ. 87-89; ახალი გამოცემა გვ. 185-188), წიგნში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალება ისევ 502 წელს დაწყებულ ბიზანტია-ირანის ომთანაა დაკავშირებული. ახალ მონოგრაფიაში (გვ. 34) ძველი გამოცემიდან გადმოტანილ თხრობაში იმ ავტორთა შორის, რომლებიც ვახტანგ გორგასლის ზეობას სხვადასხვა წლებით განსაზღვრავენ, მითითება იმაზე, რომ „ვახტანგ გოილაძე გვთავაზობს 431-491 წლებს“ და წიგნისადმი დართულ შენიშვნებში ჩემი მონოგრაფიის დასახელება (გვ. 206-207, შენ. 20), გასული საუკუნის დიდი მეცნიერული მიკვლევის უარყოფის ახალი მცდელობაა.

მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიის ხელახლა გამოქვეყნების შემდეგაც მკითხველისათვის უცნობი დარჩა, რომელ დინასტიას განეკუთვნებოდა ქართლის გამოჩენილი მეფე ვახტანგ გორგასალი, მისი დედა – საგდუხტი ირანში ცნობილი მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს წევრი რომ იყო. ქართლ-ალბანეთის მარზპანთან-ვარაზ-ბაკურთან ერთად 22 წლის ვახტანგ მეფის სამწლიანი ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ 456 წლის შემოდგომაზე რომ დასრულდა. ქართული წყაროს ეს ცნობა ესპანელი ქრონისტის ჰიდატიუსის მონაცემებით დასტურდება. რას ნიშნავდა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ დასახელებული „გზა რანისა“, რომელი ქალაქი იგულისხმებოდა „პონტო ქალაქში“. რა განასხვავებდა „პეროჟა კაფას“ „პეროჟ-კავატისგან“[136], რომელი ქალაქი იგულისხმებოდა ჯუანშერისეულ ქ. ანტიოქიაში. ირანის შაჰთან ერთად

---

[135] იხ. 2016 წელს გამოსულ მის „რჩეულ ნაწერებში“ (წიგნი I) შეტანილი ვახტანგ გორგასლისადმი მიძღვნილი ხუთი გამოკვლევა.

[136] ამ ტოპონიმთა რაობის გარკვევამ საშუალება მომცა ამეხსნა, რას ნიშნავდა, სუმბატ დავითის ძის გამოთქმა აშოტ კურაპალატი ქართლიდან არტანუჯში გადასვლის შემდეგ „კუალად [რომ] ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ (ქ.ცხ. I, გვ. 377).

ვახტანგ მეფის რვაწლიანი ლაშქრობა 468 წელს რომ დასრულდა (ამ მხრივ, ჯუანშერის მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული თარიღი ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში ლაშქრობის დასრულების თარიღად მითითებულ 468 წელს[137]) და ეს ლაშქრობა „ჰეფთალების" წინააღმდეგ კი არა, ჰუნი ქუშანების წინააღმდეგ წარმოებდა. ირანის შაჰი პეროზი ვახტანგ მეფესთან ერთად ჯორჯანეთში, ინდოეთსა, სინდეთსა და აბაშეთში ქუშანთა იმპერიის ადგილზე წარმოქმნილ „მცირე ქუშანთა" სახელმწიფოებს ებრძოდა. დაბოლოს, ჩემ მიერ აბაშეთის ადგილმდებარეობის გარკვევა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა[138] და მასზე დუმილით გვერდის ავლა არ შეიძლება.

აღნიშნულის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, ვახტანგ გორგასლის ზეობის ჩემეული თარიღი ნახსენებიც რომ არაა აბიტურიენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში, ერთ-ერთი მათგანია გ. გაფრინდაშვილის წიგნი. ქვემოთ მინდა ამ წიგნში ვახტანგ გორგასლის შესახებ არსებულ თხრობასაც შევეხო.

---

[137] Пигулевская Н. В., Якубовский А. Ю., и др., История Ирана с древнеищих времен до конца 18 века, Л. 1958, გვ, 54; Гумилев Л. Н., Эфталити и их соседи в VI в. ВДИ,1959, №1, გვ. 133; Marquart I., Eranshahr nach der geographie der Ps. Moses Xorenaci, Berlin, 1901, გვ.58.

[138] ჩემი სადოქტორო დისერტაციის აპრობაციისას (1998 წ.) პროფ. დ. გოგოლაძემ აღნიშნა: „ვახტანგ გოილაძის მიერ ჯუანშერისეული აბაშეთის ლოკალიზაციის გარკვევაც საკმაოა მისთვის ძიებული ხარისხის მისანიჭებლადო".

დამატება

2020 წლის შუა ხანაში გამოიცა 2021 წლით დათარიღებული გ. გაფრინდაშვილის აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი წიგნის მეცხრე შევსებული სახელმძღვანელო. ავტორი გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდის ისტორიკოსებს: ნიკა ხოფერიასა და ბექა კობახიძეს (გვ. 2.). ისე, როგორც წინა გამოცემებში (მაგ. იხ. ზემოთ, სქოლიო 117), გ. გაფრინდაშვილი ამჯერადაც აცხადებს: „ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ზუსტი თარიღები ცნობილი არაა. იგი დაახლოებით V საუკუნის II ნახევარსა და VI საუკუნის დამდეგს შორის მეფობდა. XI საუკუნის ისტორიკოსის, ჯუანშერის სიტყვებით, მეფე 60 წლის იყო, როცა გარდაიცვალა".[139]

ამ სტრიქონების წერისას გ. გაფრინდაშვილი, რა თქმა უნდა, ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებული თვალსაზრისით ხელმძღვანელობს. ჩემს მონოგრაფიას ვახტანგ გორგასალზე კიდეც რომ იცნობდეს, მასში ვახტანგ მეფის ზეობის თარიღებად მითითებულ წლებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში შექმნილ ფონზე, მაინც უყურადღებოდ დატოვებდა. მისთვის, ალბათ, მთავარია, ამ საკითხზე რა აზრის არიან აკადემიკოსები. გ. გაფრინდაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს მთლიანად გაცნობა და მისი შეფასება ჩემს ინტერესებში არ შედის, ამიტომ აქ მინდა მხოლოდ იმ საკითხებს შევეხო, რაც ვახტანგ გორგასლის შესახებ ფურცელნახევრიან თხრობაშია.

ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ზუსტი თარიღი რომ მართლაც არ უნდა იყოს ცნობილი, ამას გ. გაფრინდაშვილის მიერ ვახტანგ მეფის „ცხოვრების" ავტორად XI ს-ში არარსებუ-

[139] გაფრინდაშვილი გ., საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, გვ. 83.

ლი[140] ჯუანშერის დასახელება მოწმობს. აბიტურიენტიც მიხვდება, რომ ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობიდან 500-ზე მეტი წლის გასვლის შემდეგ დაწერილ საისტორიო თხზულებაში V ს-ში მომხდარი ისტორიული ფაქტები რეალურად ვერ აისახებოდა. აქვე უნდა აღვნიშნო: ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორად XI ს-ში მოღვაწე პირის ავტორობა კარგა ხანია, უარყოფილია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩემს მტკიცებას, რომ ჯუანშერი ვახტანგ მეფის თანადროულად მოღვაწეობდა, ზოგი მკვლევარი არ იზიარებს. არ სჯერა გ. გაფრინდაშვილსაც, მაგრამ, იქნებ, აკად. დ. მუსხელიშვილისათვის მოესმინა, მას ჯუანშერი VIII ს-ის მოღვაწედ მიაჩნია[141], VIII საუკუნე უფრო ახლოსაა მეხუთესთან.

ახლა ვნახოთ, ფურცელნახევრიან თხრობაში როგორაა წარმოდგენილი V ს-ის ისტორიული ამბები. ავტორის თანახმად: I. „V ს-ის I ნახევარში" ირანის შაჰი „მტრულად შეხვდა, სამხრეთ კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას"[142].

V ს-ის პირველი ნახევრისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში ქრისტიანობას ერთ საუკუნეზე მეტი ისტორია ჰქონდა.

II. „451 წელს გამართულ ქალკედონიის IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დაგმეს მონოფიზიტობა. ქართლსა და ბიზანტიაში დიოფიზიტობა იქნა აღიარებული"[143].

ქართლში იმთავითვე ნიკეის რწმენა (შემდეგში დიოფიზიტობა) დაინერგა, მაშინ როცა თვით რომის (შემდეგში ბიზანტიის) იმპერიაში, განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ პროვინციებში, სხვადასხვა მწვალებლობა იქმნებოდა. სწორედ

---

[140] ჯუანშერის XI ს-ის ავტორად მისაჩნევად ივ. ჯავახიშვილმა ივერთა მონასტრის №50 ხელნაწერში მოხსენიებული „ილარიონ-ჯუანშერი" დაიმოწმა, მაგრამ იქვე მიუთითა: არავითარი საფუძველი არაა, ეს პიროვნება „ქართლის ცხოვრების" მინაწერში ვახტანგის ცხოვრების ავტორთან-ჯუანშერთან გავაიგივოთ-ო. ამ საკითხზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თავი II და III.

[141] მუსხელიშვილი დ., „ქართლის ცხორება" უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი. კრებულში-საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. თბ., 1999, გვ. 87.

[142] გაფრინდაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

[143] იქვე.

მათ წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა ბიზანტიის ხელისუფლებას. მრწამსის საკითხში ბიზანტიისა და ქართლის ერთ კონტექსტში მოხსენიება რომ არ შეიძლება, ეს XI ს-ის დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმიდელის სიტყვებიდანაც ჩანს. 1057 წელს ანტიოქიის პატრიარქთან თეოდოსი III-სთან კამათისას მან შემთხვევით არ განაცხადა: „ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს არღარა უარგჳყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენიო“[144]. მართალია, V-VI სს-ების მიჯნაზე ქვემო ქართლში მონოფიზიტობის მიმდევრებიც იყვნენ, მაგრამ ეს ქვეყნის საერთო რელიგიურ ვითარებაზე გავლენას ვერ ახდენდა.

III. „V საუკუნის 40-იან წლებში გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი. მისი ძე ვახტანგი 7 წლისა იყო. ვახტანგის მცირეწლოვნობის დროს ქვეყანას მართავდა დედამისი, საგდუხტ დედოფალი, რომელიც ირანის დიდმოხელის, რანის პიტიახშის, ბარზაბოდის შვილი იყო. საგდუხტი ეახლა მამას და სთხოვა, არ გაემაზდიანებინა ვახტანგი. ბარზაბოდი დასთანხმდა, მაგრამ მცხეთაში გამოაყოლა მოგვები“[145].

ამ სტრიქონების წაკითხვისას აბიტურიენტს თუ არა, მასწავლებელს მაინც გაუჩნდება კითხვა, „რანის პიტიახში“ (ე.ი. ძველი ალბანეთის) რა უფლებით ერეოდა ქართლის სამეფოს საშინაო საქმეებში?

ამ საკითხზე თუ გავითვალისწინებთ ჯუანშერისა და სირიული ჰაგიოგრაფიული ძეგლის – ფირან გუშნასპის „მარტვილობის“ იმ ცნობებს, რომლის თანახმად, ქართლსა და ალბანეთს ერთი ირანელი მოხელე – მიჰრან გუშნასპთა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლები მარზპანთა ტიტულით განაგებდნენ[146], ყველაფერი რიგზე დადგება. სასანიანთა

---

[144] გიორგი მცირე, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ. ჩვენი საუნჯე. ტ.1, ძველი მწერლობა, თბ., 1960, გვ. 375.

[145] გაფრინდაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[146] ამ საკითხზე იხ. გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა.

მმართველობის სისტემაში „რანის პიტიახშის“ სახელო არ არსებობდა, იყო „რანისა და მოვაკანის“ პიტიახში.

IV. „ქართლს ჩრდილო კავკასიიდან თავს ესხმოდნენ ალან-ოსები და ჰუნ-თურქები“[147].

არ დადასტურდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ცოდნა, თითქოს, ჩრდილო კავკასიაში ალანებიც ცხოვრობდნენ. ვახტანგ გორგასლის თანადროულ ჩრდილო კავკასიაში ოსთა წინაპრების ორი გაერთიანება – მდ. თერგის აუზში აორსებისა (საიდანაც ნაწარმოებია მათი ქართული სახელი-ოსი, ოვსი) და მდ. ყუბანის ზემო დინებაზე სირაქების სარმატული გაერთიანებები არსებობდნენ. ეს სარმატები ნაწილი იყო იმ ხუთი დიდი გაერთიანებისა, რომლებიც ძვ. წ.VII საუკუნეში დას. ციმბირიდან მდ. ვოლგის დასავლეთით გადმოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. სირაქები და აორსები ყველაზე აღმოსავლეთით მომთაბარეობდნენ და ახ.წ. IV ს-ის 70-იან წლებში, როცა მდ. ვოლგა ჰუნებმა გადმოლახეს, ამ გაერთიანებათა ნაწილი მათ დაიმორჩილეს და თან გაიყოლეს დასავლეთისაკენ. გადარჩენილმა ნაწილებმა კი ზემოდასახელებული მდინარეების აუზების მიმდებარე ველებისაკენ გადმოინაცვლეს. რაც შეეხება თვით ალანთა გაერთიანებას, ის ძვ. წ. VII ს-ში მდ. დონის დასავლეთით გადასული სარმატთა ერთი ნაწილის ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა და ახ. წ. I ს-ში, როცა მათი „ძლიერი და ცხენმრავალი“ გაერთიანება აზოვის ზღვისპირეთში ჩამოვიდა, დასავლეთით რომის იმპერიის მდიდარი პროვინციებისაკენ დაიწყო მოძრაობა. გვიან, რომაელი, ბერძენი და არაბი ავტორები სახელით „ალანი“ მთელი სარმატული სამყაროს შთამომავლებს აღნიშნავდნენ.

ამან შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ალანები, ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ.

ძვ. წ. II ს-ის დასასრულს მდ. ვოლგის აღმოსავლეთ ველებზე მომთაბარე აორსებს შუა აზიიდან ირების = „არიანების“ სახე-

[147] გაფრინდაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

ლით ცნობილი ცეცხლთაყვანისმცემელ ინდოევროპელთა ერთი ნაწილი შემოუერთდა. მათ IV ს-ის 70-იან წლებში აორსებთან ერთად გადმოინაცვლეს ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებისაკენ და ოსთა წინაპრებში ეს რელიგია შემოიტანეს, მაგრამ ალანებთან მათაც არაფერი აკავშირებდა[148].

ვახტანგ გორგასლის თანადროულად ჩრდილო კავკასიაში არც ჰუნთა (ან ჰუნ-თურქთა) გაერთიანებები არ არსებობდნენ. რაც შეეხება დუნაისპირეთში – პანონიაში დამკვიდრებულ ჰუნებს, 453 წელს ჰუნთა ბელადის ატილას სიკვდილის შემდეგ, მის მიერ შექმნილი სხვადასხვა ტომისაგან შემდგარი უზარმაზარი გაერთიანება მალევე დაიშალა. ატილას ძეების წინააღმდეგ აჯანყდა გერმანელი ტომის გეპიდების მეფე არდარიხი. 454 წელს მდ. ნედაოსთან ბრძოლაში გეპიდებმა გაიმარჯვეს. ბრძოლაში მოკლული იქნა ატილას უფროსი ძე ელაკი. გეპიდებმა ჰუნების ნარჩენები პანონიიდან პონტოს ზღვის იმ ადგილებისაკენ განდევნეს, რომელიც ადრე გოთებს ეჭირათ[149]. ჰუნები იქ ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე არც ჰუნ-თურქებად წოდებული ბოლგარებისა და საბირების ტომები იყვნენ მოსულნი[150]. რაც შეეხება იმ 300 ჰუნს, რომლებიც ვახტანგ გორგასალმა 482 წელს აჯანყებული სომხების ბანაკში გააგზავნა, როგორც გაირკვა, ისინი ჰუნთა იმპერიის არსებობის დროიდან დარიალის კარის მცველად დაყენებული წარმომავლობით ჰუნი ამბაზუკის მეციხოვნე ჰუნები იყვნენ[151].

V. V ს-ის ქართლის სამეფოში „მსხვილ ფეოდალებზე“ და „ყმა-გლეხებზე“ საუბარი (გვ. 79) ნაადრევია. იმხანად მხოლოდ თავისუფალ მეთემეთა დაყმევების პროცესზე შეიძლება მივუთითოთ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მინიშნებით, იმ დროისათვის „ყოველ ერისთავს თავის საერისთავოში დაყმევებულ გლეხთა გვერდით უნდა ჰყოლოდა

---

[148] ძველ სარმატულ სამყაროზე იხ. გოილაძე ვ., ოსთა წინაპრები, თავები: I –VI.

[149] იქვე, გვ. 95.

[150] გოილაძე ვ., ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008, თავი IV.

[151] გოილაძე ვ., 482-484 წლების ანტიირანული აჯანყება ქართლში.

მნიშვნელოვანი რაოდენობა მეთემე-ალოდისტებისა"[152] და „მატერიალური დოვლათის მწარმოებლები IV-V საუკუნეებში წარმოდგენილნი უნდა ყოფილიყვნენ, უმთავრესად, თავისუფალი მიწათმოქმედი საზოგადოების სახით"[153].

VI. „V ს-ის 50-იან წლებში ჩრდილოეთიდან გადმოვიდნენ ალან-ოსები"[154].

როგორც ითქვა, V ს-ის შუა ხანებისათვის ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე, ამ სახელწოდების ხალხი არ არსებობდა[155]. გ. გაფრინდაშვილს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ჯუანშერის ის ცნობა, რომლის თანახმად, ოსთა ქართლში შემოჭრა მაშინ მოხდა, როცა ვახტანგი ათი წლისა იყო[156]. ახალი ქრონოლოგიით ვახტანგს ათი წელი 441 წელს შეუსრულდა და ეს ლაშქრობაც ამ წლით უნდა დათარიღდეს. ამ ცნობაში, როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში ჰუნთა ის ლაშქრობა იგულისხმება, რომლის შესახებ 448 წელს ატილას კარზე მყოფ რომაელ დიპლომატსა და ისტორიკოსს პრისკოს პანიელს შეატყობინეს: შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებიდან წასული ჰუნები ვასახისა და კურსახის სარდლობით, ამიერკავკასიაში შეიჭრნენო[157]. ჰუნთა ამ ლაშქრობისას ჩრდილო კავკასიაში მყოფი ოსთა წინაპრები მათთვის გზის მაჩვენებლები უნდა ყოფილიყვნენ.

---

[152] იხ. აკად. დ. მუსხელიშვილის გამოსვლა დისკუსიაში. კრებული-საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია, თბ., 1980, გვ. 166.

[153] დუმბაძე მ., საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. კრებული საქართველოს ფეოდალური ხანის.., გვ. 24.

[154] გაფრინდაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[155] არათუ, V ს-ში, უფრო გვიანაც ოსთა წინაპრები კავკასიონის მთისწინეთიდან შორს ცხოვრობდნენ. X ს-ის არაბი ავტორის იბნრუსთას ცნობით, დარიალის კარიდან ოსთა ქვეყანამდე ათი დღის სავალი იყო. Ибн-Рустэ, Алланы. СМОМПК, вып. 32, Тб., 1903, გვ. 51. თოფჩიშვილი რ., ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008, გვ. 47.

[156] ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ. 145.

[157] Сказания Приска Панийского. УЗВОАН, кн. VIII, вын .1, СПБ, 1861, გვ. 62.

VII. ისტორიულ რეალობას არ ასახავს სახელმძღვანელოში არსებული მითითება, თითქოს, ვახტანგ გორგასალმა გავლენა გაავრცელა ეგრისზე[158]. V ს-ის შუა ხანებიდან ეგრისის სამეფოს წარმატებით მართავდა გუბაზ I[159] და იგი ქართლის სამეფოზე არაფრით არ იყო დამოკიდებული.

[158] გაფრინდაშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[159] გოილაძე ვ., დანიელ მესვეტე და გუბაზ მეფე. ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობის პრობლემები V ს-ის შუა ხანებში. ხუფათი საქართველო-ბიზანტიის საზღვარი. კრებულში-ვახტანგ გოილაძე, ახალი გამოკვლევები, თბ., 2018, გვ. 195. ეგრისისა და ქართლის სამეფოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე უფრო რადიკალურია ა. ბოგვერაძის დასკვნა. მისი მტკიცებით, „ქართლის მეფე-მთავრების ხელისუფლება ეგრისზე ვრცელდებოდა ფარნავაზიდან მოკიდებული, ვიდრე აფხაზთა მთავრის მიერ ეგრის-აფხაზეთის საზღვრის ლიხამდე გადმოტანამდე. იხ. მისი, ქართლისა და ეგრისის სამეფოების ურთიერთობის საკითხები ვატხანგ გორგასლის მეფობაში. კრებული-საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში. თბ., 1999, გვ. 63.

შემაჯამებელი დასკვნები

მირიან მეფის წარმომავლობა და მემკვიდრეები

I. „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ცნობათა ანალიზითა და კვლევების შედეგად ნათლად ჩანს: ფარნავაზ მეფიდან (ძვ.წ. III ს.) მოკიდებული სასანიანთა მიერ მეფობის გაუქმებამდე (დაახლ. 537 წ.) ქართლში დინასტიური ცვლილება არ მომხდარა. მეფე მირიანის პირველი მეუღლის – აბეშურას მამა ასფაგური „მეფეთა ცხოვრების“ დასათაურებაში არშაკუნიანადაა მოხსენიებული, მაგრამ ტექსტში მის ფარნავაზიანობაზეა მითითება (ქცხ. I, გვ. 59). ასფაგურის წინაპარი მეფეებიც რომ ფარნავაზიანთა საბეფო სახლის წარმომადგენლები იყვნენ, ეს არმაზის ბილინგვის ახალმა წაკითხვამ დაადასტურა[160].

II. „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიან მეფე რომ ირანის შაჰის (მიჰრანთა საგვარეულოს მხევალი ქალისაგან ნაშობად) ძედაა დასახელებული, ეს კარგა ხანია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ლეონტი მროველის ჩანასწორებად ითვლება და მირიანისათვის დიდი წინაპრის გამონახვის სურვილითაა ახსნილი (გ. მელიქიშვილი, ლ. ჯანაშია, ნ. ლომოური, ვ. გოილაძე და სხვა). ჯერ კიდევ 1889 წელს, დ. ბაქრაძე წერდა: „მირიანი შვილია არა სპარსეთის მეფისა, არამედ ქართლის მეფის ლევისა“[161].

III. მირიან მეფე არმაზში მჯდომი მეფის შემდგომ მეორე პირების, ფარნავაზიანთა სამეფო სახლის გვერდითი შტოს, ქართლის სპასპეტების (რომელთაც „პოლიტიკური გათიშვის შემთხვევაში“ მდ. მტკვრის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწა-წყალი რჩებოდათ. გ. მელიქიშვილი)

---

[160] გიორგაძე გრ, არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანები“? „მნათობი“, 1886, №10.

[161] ბაქრაძე დ., ახლად აღმოჩენილი შესანიშნავი ქართული მანუსკრიპტი. გაზეთი „ივერია“, 1889, №6.

ჩამომავალი იყო. მირიან მეფის წარმომავლობის საკითხს, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, 1982 წელს სპეციალური გამოკვლევა მივუძღვენი და ავხსენი, ლეონტი მროველმა მირიანის წარმომავლობა რატომ დაუკავშირა მაინცდამაინც მიჰრანთა საგვარეულოს. როგორც ვნახეთ, ამ საკითხზე დეტალურად მაქვს საუბარი ამ გამოკვლევაშიც.

IV. მეფე მირიანი რომ ლევ (რევ) ფარნავაზიანის ძე იყო (როგორც ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკიდან ჩანს, შატ. კრებ. გვ. 321) და მისი შთამომავლები ფარნავაზიანთა სამეფო სახლს განეკუთვნებოდნენ, ამას მოწმობს V ს-ის სომეხი ავტორის ფავსტოს ბუზანდაცის ცნობა. IV ს-ის შუა ხანებში იგი ქართლში სომეხთა მიერ ფარნავაზიანთა ჯვარცმის შესახებ მიუთითებს.

V. მირიან მეფის ძეების – რევისა და ბაკურის შთამომავალთა შორის დაპირისპირებამ განაპირობა ფარნავაზიანთა სამეფო სახლში ორი სამეფო შტოს – ბაქარიანებისა და რევიანების წარმოქმნა. უცხოელთა ჩარევით 369 წელს ქართლი ორ სამეფოდ გაიყო (რევიანებმა ცენტრით არმაზში ძველი სასასპეტო ტერიტორია მიიღეს). ქართლი ორ სამეფოდ გაყოფილი დაახლ. 439 წლამდე დარჩა[162].

* * *

დაბოლოს: რევიანი უფლისწულის პეტრე იბერის მიერ თავის ბიოგრაფისათვის ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ დიდი ბაკურის დასახლების მიზეზი ადრევე გაირკვა და ეს ცნობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის პრობლემა არ გამხდარა. რაც შეეხება რევიანული ორიენტაციის რედაქტორის მიერ „ქრონიკაში“ შეტანილ იმ ჩასწორებას, რომლითაც მირიან მე-

[162] გასული საუკუნის ეს მნიშვნელოვანი მიკვლევა აისახა მ. სანაძისა (იხ. მისი, ქართლის სამეფოს ისტორია VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე. კრებული-მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა. თბ., 2000, გვ. 21) და გ. ბოლქვაძის (იხ. მისი, ქართლის (იბერიის) პირველ ქრისტიან მეფეთა დინასტიური პრობლემები ამიანე მარცელინისა და ქართული წყაროების მიხედვით. ქწ., XIX-XX, თბ., 2017/2018, გვ. 17) გამოკვლევებში.

ფის უმცროსი ძე – ბაკური რევ მირიანის ძედ გამოცხადდა, იმის გამო ეს „ქრონიკა“ „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ და „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ითვლება, დღემდე ვერ იქნა დაძლეული. პირიქით, მისი რეალურობის დადასტურების მცდელობასთან გვაქვს საქმე (იხ. ზემოთ. შენ. 29).

მე არაერთ გამოკვლევაში ვაჩვენე, რამ განაპირობა რევიანული ორიენტაციის რედაქტორის ასეთი ქმედება. ახლა მინდა ამ საკითხზე აშშ-ში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსს, ბატონ გივი ბოლქვაძეს მოვუსმინოთ. მისი დაკვირვებით, „რევიანთა სამეფო-დინასტიური ინტერესებისადმი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიკერძოება თვალსაჩინოა. მართალია მოსაზრება, რომ ის რევიანთა კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში შექმნილი თხზულება უნდა იყოს, რომელიც ქართლის მეფეებად რევიანების წარმოდგენას ცდილობს. ამ მცდელობაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიზანმიმართულად არ აღიარებს ბაქარიანთა სამეფო საგვარეულოს არსებობას და მათთან რევიანების დინასტიურ დაპირისპირებას. რევიანთა აპოლოგეტ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიზნად ჰქონდა, „არ ეღიარებინა ბაქარიანთა არსებობა, რათა არ ეცნო დინასტიურ კონფლიქტში მათი ტრიუმფი და რევიანთა მარცხი[163]. ამ მსჯელობის შემდეგ გ. ბოლქვაძეს მოჰყავს თ. ჟორდანიას მიერ ჯერ კიდევ 1892 წელს გამოთქმული და ამერიკელი მეცნიერის კ. თუმანოვის მიერ გაზიარებული დებულება: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის შემდგენელი ქართლის სამეფო საგვარეულოებს შორის დინასტიურ ბრძოლას განზრახ მალავს, რათა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ოჯახის სიწმინდეს ჩრდილი არ მისდგომოდა[164].

ამ წიგნის გამოქვეყნების ერთ-ერთი დანიშნულება ისაა, ბოლოს და ბოლოს გაირკვეს სიმართლე. მკითხველს და, უპირველესად, მოსწავლე-ახალგაზრდობას მივაწოდოთ არა ძველი გამყალბებლების ნახელავი, არამედ სიმართლე. ქართული ისტორიოგრაფია უნდა გათავისუფლდეს თავის დროზე

[163] ბოლქვაძე მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[164] იქვე

ისტორიულ გარემოებათა გამო შექმნილ დებულებათა გავლენისაგან, კერძოდ, სანამ არ ვაღიარებთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა „მეფეთა ცხოვრების“ ძირითადი წყარო არ იყო, პირიქით, „ქრონიკის“ ტექსტია „გამოკრებილი“ „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ტექსტებიდან, საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ისტორიის თხრობა ყოველთვის ნაკლული და არარეალური იქნება.

ვახტანგ გორგასლის ზეობის თარიღები

I. ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ლაშა (ნიკოლოზ) ჯანაშიამ ჯერ კიდევ 1962 წელს V ს-ის სომეხი ავტორის – ლაზარ ფარპეცის თხზულების ქართული თარგმანის გამოცემისას გააანალიზა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის – ჯუანშერის ის ცნობები, რომლებიც ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებას ეხება. ჯუანშერის ცნობებიდან გამომდინარე, ბიზანტია-ირანის პირველი ომის (ომი დაიწყო ვახტანგი რომ 22 წლისა იყო ე.ი. 453 წელს და 3 წელი გაგრძელდა) დასრულებიდან (456 წ.) მეორე ომის დასრულებამდე 35 წელი იყო გასული. 456 წლიდან 35 წლის შემდეგ დაწყებული ბიზანტია-ირანის ომი (456+35=491) სწორედ ის ომია, რომლის შესახებ ცნობაა სირიულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში.

II. რეალურია ჯუანშერის სხვა მინიშნებაც, მაგალითად,, მისი ცნობებიდან გამომდინარე, ირანელები ქართლში 460 წელს შემოვიდნენ. ამ ლაშქრობისას ზავის დადების შემდეგ, ირანის შაჰის პეროზის თხოვნით, ვახტანგ მეფე ქართლის ლაშქრით შაჰთან ერთად ირანის აღმოსავლეთით მომთაბარე ჰუნების წინააღმდეგ იბრძოდა. ჯუანშერის ცნობით, ლაშქრობა რვა წელი გაგრძელდა, ე.ი. 468 წელს დასრულდა. ეს თარიღი ამ ომის დასრულების შესახებ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ თარიღს (468 წელი) ემთხვევა, რაც ჯუანშერის ცნობის რეალურობას მოწმობს.

III. ირანის შაჰთან-პეროზთან ერთად ვახტანგ გორგასლის 8-წლიანი ლაშქრობა რომ 468 წელს დასრულდა, ეს V ს-ის ქართველი ავტორის – იაკობ ხუცესის ცნობითაც დასტურდება. როგორც იაკობი წერს, ვარსქენ პიტიახში პეროზის მეფობის მერვე – ე.ი. 467 წელს წავიდა ქართლიდან შაჰის კარზე და, როგორც ჩანს, 468 წელს ლაშქრობიდან დაბრუნებულ შაჰს სასახლეში დახვდა. შაჰთან დანათესავებით ვარსქენმა ლაშ-

ქრობიდან დიდი სახელით დაბრუნებული ვახტანგ მეფისგან თავი გადაირჩინა. პეროზ შაჰის სიცოცხლის მთელ მანძილზე იგი ხელუხლებელი პიროვნება იყო. ვახტანგ მეფემ იგი, როგორც ცნობილია, ჰუნ ჰეფტალიტებთან ბრძოლაში პეროზის დაღუპვის შემდეგ მოაკვლევინა.

IV. მას შემდეგ, რაც 1962 წელს ლ. ჯანაშიამ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების ივ. ჯავახიშვილისეული თარიღის (502 წ.) მცდარობა დაასაბუთა, ნათელი გახდა, ამ თარიღზე უარი უნდა გვეთქვა (ასე მოიქცა აკად. მ. ლორთქიფანიძე), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, ჩემ მიერ ახლად მიკვლეული ცნობისა და თვით ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულ ვახტანგ მეფის ცხოვრებისა და ზეობის წლები, იმ მიზეზით, ის რომ ვახტანგ გოილაძის მიკვლევაა, უარეყოთ.

V. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორის, ჯუანშერის, ცნობით, ვახტანგ მეფე „სამოც წელს“ იყო მიღწეული, როცა ირანელებთან „იორსა ზედა“ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა. ჯუანშერი ასევე მიგვითითებს, რა ხდებოდა ქართლის სამეფოში ვახტანგის მოღვაწეობის სხვადასხვა წლებში. ე.ი. თუ გვეცოდინებოდა ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღი, გაირკვეოდა მისი დაბადების წელი. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ქართლის სამეფოში მომხდარი არაერთი მოვლენის ზუსტი განსაზღვრა.

VI. ვახტანგ მეფის ზეობის ბოლო წლებში ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მომხდარ ირანელებთან ბრძოლას ქართული ისტორიოგრაფია 230 წელი ეძებდა. ასეთ ბრძოლას ქართლ-ალბანეთის მარზპანის ფირან გუშნასპის მარტვილობაში მივაკვლიე. ძეგლში ნათქვამია: იმ მხარეში „გურზანისა და არანისათვის ომის დამთავრების (ზავის დადების) მეორმოცე წელს ავიდა ხოსრო მეფე ტახტზე“.

ძეგლში ნახსენები „გურზანი და არანი“ ქართლი და ალბანეთია, ხოლო „ხოსრო მეფე“ ირანის შაჰი ხოსრო I ანუშირვანი, რომელიც 531 წელს გამეფდა. ხოსრო I-ის გამეფების წელი, რადგან ზავის დადების (ქართლსა და ალბანეთში მომ-

ხდარი ბრძოლის) მეორმოცე წელი იყო, ეს ომი (531-40) 491 წელს დასრულებულა. ამ ომის მიმდინარეობისას მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა ვახტანგ მეფე. ჯუანშერის ცნობით, გარდაცვალებისას ვახტანგ მეფე, რადგან 60 წელს იყო მიღწეული, მისი დაბადება 431 წელზე მოვა. ამრიგად, ჯუანშერს 431 წლიდან აქვს ათვლილი ვახტანგ მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენები.

ახლა ვნახოთ, კიდევ რა მითითებებია წყაროებში ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღად ჩემ მიერ მიღებული 491 წლის გასამყარებლად.

I. „იორსა ზედა ბრძოლა" ნაწილი იყო იმ ომისა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის ზენონის გარდაცვალების (491 წლის 9 აპრილი) შემდეგ ირანმა ბიზანტიის წინააღმდეგ დაიწყო. ამ ომის შესახებ ჰაგიოგრაფიულ ძეგლის გარდა, ცნობას გვთავაზობს VI ს-ის სირიელი ავტორის იეშუ სტილტის თხზულება.

II. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" ავტორის ჯუანშერის თანახმად, „მირიან მეფისითგან, ვიდრე ვახტანგ მეფისამდე, გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი, და წელიწადი ას ორმოცდაჩვდმეტი" (ქ. ცხ. I, გვ. 159).

რადგან ვახტანგ მეფის გარდაცვალების წელი ვიცით, მირიან მეფე (491-157) 334 წელს გარდაცვლილა[165]. თავის მხრივ, მირიან მეფის გარდაცვალების თარიღად მიღებული 334 წელი მნიშვნელოვანი საყრდენი შეიქმნა ქართლში მომხდარი ფაქტების დასათარიღებლად. „ქართლის ცხოვრების" ანა დედოფლისეულ ნუსხასა (გვ. 141) და „ქართლის ცხოვრების"

[165] „მეფეთა ცხოვრებაში" არსებული მითითება მირიანმა „ჟამსა სიბერისა მისისასა რომ იცნა ღმერთი დამბადებელი" (ქ.ცხ. .I, გვ. 64), იმაზე მიგვანიშნებს, 334 წელს 84 წლის ასაკში გარდაცვლილი მირიანი 318 წლისათვის, მართლაც ხანშიშესული (68 წლისა) იქნებოდა. მეორე მხრივ, 334 წელს გარდაცვლილი მისი უფროსი ძე რევი 34 წლის იყო (იხ. ზემოთ, შენ. 29), გამოდის, რომ მირიანმა, ისევე როგორც სომხეთის მეფემ თრდატ III-მ ქართლის სამეფო ტახტი, 298 წელს, ქართლზე რომის პროტექტორატის დამყარების შემდეგ დაიკავა და ნანა კაპადოკიელიც იმ დროს შერითო ცოლად. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თავი V.

ძველ სომხურ თარგმანში (გვ. 188) შემონახული ცნობით, მირიანის მეფობიდან ფარსმან მეორემდე ორასი წელი იყო გასული. წყაროში არის ცნობა, რომ ასევე ორასი წელი იყო გასული მირიან მეფის გარდაცვალებიდან (334 წ.) ქართლში ასურელ მამათა მოსვლამდე (იხ. ზემოთ, შენ. 60). ამ ცნობების საფუძველზე ასურელ მამათა ქართლში მოსვლა 534 წლით თარიღდება. ეს წელი ფარსმან სხვაჲს (ბიზანტიური წყაროების ძამანარძოსი) მეფობის ხანაა. ჩემი გამოკვლევით, სწორედ 534/535 წელს შემოვიდნენ ქართლში ასურელი მამები.

III. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიისათვის უნიკალურია ჯუანშერიდან მომდინარე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში შემონახული ის მითითება, რომლის თანახმად, ქართლის მოქცევიდან (ე.ი. 318 წლიდან) „ქვემო ეკლესიის“ (სვეტიცხოვლის) მშენებლობის დასრულებისა და ვახტანგ მეფის მიერ პეტრე კათალიკოსის დასმამდე რო (ე.ი. 170) წელი იყო გასული (შატბერდის კრებული, გვ. 325). ამ მითითების საფუძველზე ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება (318+170) 488 წელზე მოდის. სპეციალური კვლევის შედეგად ეს თარიღი მივიღე 1991 წელს ჩემს მონოგრაფიაში „ქართული ეკლესიის სათავეებთან“.

IV. მნიშვნელოვანია ჯუანშერის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობა, რომ მირიან მეფიდან ვახტანგ მეფემდე გასულ 157 წელში გარდაცვლილი იყო „ნათესავი რვა და მეფენი ათნი“. ამ ცნობაში 369 წლიდან დაახლ. V ს-ის 40-იანი წლების დამდეგამდე ქართლში ორი სამეფოს არსებობაა ასახული. ფარნავაზიანთა სამეფო სახლში რომ ორი დაპირისპირებული შტო იყო, ამას მოწმობს „მეფეთა ცხოვრებაში“ არსებული მითითება, რომ ვარაზ-ბაკურის ძე მირდატი იყო: „მამულად ბაქარიანი და დედულად რევიანი, ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი“ (ქ. ცხ. I, გვ. 138). ჯუანშერის ცნობაში მითითებულ ათ მეფეში იგულისხმებიან ქართლის მეფეები მირიანიდან ვახტანგ გორგასლის ჩათვლით. თუ მათ დაჩისა და მის ოთხ შთამომავალს (ბაკური, ფარსმანი, ფარსმან სხვაჲ, ბაკური) მივუმატებთ, მივიღებთ ქართლის 15 მეფეს. ახლა დანამდვილე-

ბით შეიძლება ითქვას: მეფეთა ეს ათვლა ადრე შუა საუკუნეებიდან, უფრო სწორედ, ვახტანგ მეფის ზეობის დროიდან მომდინარეობს. „რვა ნათესავში“ კი რევიანი მეფეები და უფლისწულები იგულისხმებიან. ბაქარიანები რევიანებს მეფეებად არ თვლიდნენ, თვით რევიანები თავს, მართალია, მეფეებად, ხოლო მირიანს თავის წინაპრად თვლიდნენ, მაგრამ პირველ ქრისტიან მეფედ მირიანი კი არა, „დიდი ბაკური“ მიაჩნდათ.

V. ქართლი ორ სამეფოდ გაყოფილი იყო 369 წლიდან დაახლ. 439 წლამდე. ამ დროის განმავლობაში ფარნავაზიანთა ორივე შტოდან არაერთი დიდი მიღვაწე გამოვიდა. მათ შორის: თრდატი, დიდი ბაკური (რევიანები), მირდატ ბაქარიანი (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული) და სხვანი, რაც შეეხება ვახტანგ გორგასალს, ის ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიანთა შტოს, ხოლო გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი (გარდ. 491 წ.) რევიანთა შტოს განეკუთვნებოდა. მირიან მეფეს ორივე შტოს წარმომადგენლები „მამად“ თვლიდნენ (ქ.ცხ. I, გვ. 163, 169), მეორე მხრივ, ვახტანგ მეფის სიტყვებში „მამის მამა ჩემი მირიან“ (ქ. ცხ.,I, გვ. 160, „მამაში“ უკვე ბაქარიანთა შტოს დამაარსებელი ბაკური (ბაქარი) იგულისხმება. ასეთივე შინაარსია ჩადებული ვახტანგის სიტყვებში, როცა იგი თავის თანამედროვე მირიანს „მამის ძმისწულად“ იხსენიებს (ქცხ. I, გვ, 151). „მამის ძმისწულად“ ვახტანგ მეფეს რევ მირიანის ძის ყველა შთამომავალი ეკუთვნოდა.

VI. ჯუანშერის „თხზულებაში“ არსებული ასეთი ცნობების შემდეგ იმ ქართველი მკვლევრებიდან, რომლებიც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ლანძღვაში რუს შოვინისტებს არ ჩამორჩებოდნენ (იხ. ჩემი, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, გვ. 19-25), ერთ-ერთის – პროფ. ნ. ლომოურის შეგონებას მოვიყვან. მისი სიტყვით, ჯუანშერის „თხზულების სტილი და შინაარსი... უფრო მხატვრულ ნაწარმოებს გვაგონებს, ვიდრე საისტორიო თხზულებას“. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ ნახევრად მხატვრული ნაწარმოებია... მასში ბევრი აშკარად არარეალური ამბავია მოთხრობილი, „უმთავრესი

ნაკლი ამ თხზულებისა ისაა, რომ მასში მთლიანად დარღვეულია ზოგადისტორიული პერსპექტივა"[166].

ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების" „ნახევრად მხატვრულ ნაწარმოებად" მიჩნევით, უარვყოფთ არა მარტო ამ „თხზულების" ავტორის – ჯუანშერის უმნიშვნელოვანეს ცნობებს ვახტანგ გორგასალზე, „ქართლის ცხოვრებასაც" ღირსებას ვულახავთ.

ახლა ყველაფერი მკითხველის, უპირველესად, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაზე მომუშავე მკვლევართა გადასაწყვეტია: ქართლის ორ დიდ მეფეზე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხულ მირიანზე და ვახტანგ გორგასალზე დარჩება თუ არა ძველი შეხედულებები: მირიანის ირანელი უფლისწულობისა და ვახტანგ გორგასლის ზეობის წლების არ ცოდნის შესახებ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მეფეთა ცხოვრება" და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება" ნაწილებია იმ დიდი საისტორიო კრებულისა, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" ეწოდება და რომელიც, აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, სახარებასთან და „ვეფხისტყაოსანთან" ერთად იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაციის საყრდენი იყო. ამ სამი „წმინდა წიგნიდან" „ქართლის ცხოვრება" „ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დაფუძნებას ემსახურებოდა"[167]. „ქართლის ცხოვრების" კრებულს უნიკალურ ხასიათს სწორედ „მეფეთა ცხოვრება" და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება" ანიჭებენ. ამ თხზულებათა არსებობა აღიზიანებდა რუს შოვინისტებს.

---

[166] ლომოური ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[167] ბერძენიშვილი ნ., სის V, თბ., 1971, გვ. 131-132; შდრ., სინ III, თბ., 1979, გვ. 433.

შემოკლებები

იეიშ – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები
სინ – საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სის – საქართველოს ისტორიის საკითხები
სმაიიშ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები
სმა „მაცნე"– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
სშსის – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ქ.ცხ. – ქართლის ცხოვრება
ქწ – ქართული წყაროთმცოდნეობა
ВДИ-Вестник Древней Истории
ППС-Православный Палестинский Сборник
СМОМПК-Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
УЗВОАН-Ученые записки восточного отделения Академии Наук

დანართი, ტაბულა



შინაარსი

წინათქმა
მირიანი და ვახტანგ გორგასალი ქართულ
ისტორიოგრაფიაში 3

თავი I. საკვლევი ხანის ქართლის სამეფოს პოლიტიკური
განვითარების ეტაპები 11

თავი II. ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი
ძველ წყაროებში. გურგენის ვინაობისა და მეფობის
პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში 15

თავი III. ფარნავაზიანი მეფეები პეტრე იბერის ასურულ
„ცხოვრებასა“ და ძველ ქართულ წყაროებში.
ვარაზ-ბაკურის ოჯახის პრობლემა 20

თავი IV. „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“
ქრონიკის შეფასება. ამ წყაროთა უახლესი შეფასება 25
„მეფეთა ცხოვრება“ 27
„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა 28

თავი V. V საუკუნის ისტორიის ამსახველი ქრონოლოგიური
მითითებები ძველ ქართულ წყაროებში 31

თავი VI. რას აზრისა იყვნენ მეცნიერები ვახტანგ გორგასლის
ზეობის ახალ თარიღზე 36
თავი VII. ახალი თვალსაზრისი ვახტანგ გორგასლის
წარმომავლობაზე. იყო მირიან მეფე ირანელი
უფლისწული? 53

თავი VIII. ძალიან მოკლედ ისევ ძველ ქართულ წყაროთა
ღირსების შესახებ 66
„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა 66

„მეფეთა ცხოვრება“ 67
ვახტანგ გორგასლის „ცხოვრება“ 68

თავი IX. ახალი მონოგრაფიები ვახტანგ გორგასალზე 71

დამატება 79
შემაჯამებელი დასკვნები 86
მირიან მეფის წარმომავლობა და მემკვიდრეები 86
ვახტანგ გორგასლის ზეობის თარიღები 90
შემოკლებები 96
დანართი, ტაბულა 97